რას გვასწავლის სტიქია გვ. 22

ინტერვიუ ზურაბ ჯაფარიძესთან გვ. 10

უცნობი მთები გვ. 30

შეთამაშება თვითმკვლელობასთან გვ. 58

რეკვიემი მონაზვნისათვის გვ. 70

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალი

№ 163

ივლისი-აგვისტო 2015

ISSN 1987-7528

9 771987 752008

ფასი 5 ლარი

1737
2015

დაუსველი ქალაქი

გვ. 18



ეროვნული ბიბლიოთეკა



შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი წიგნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალი

№ 163 / ივლისი–აგვისტო 2016

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

ჟურნალის რედაქტორი
გიორგი ჭეიშვილი

პოლიტიკის რედაქტორი
ირაკლი აბსანძე

ვებგვერდის რედაქტორი/
მედიაგანვითარების
დირექტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამბების რედაქტორი
დათო გამისონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

ჟურნალისტები
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, გიორგი ჭეიშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია

კონტრიბუტორები
ლევან ახალაია, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი კეკელიძე, ირაკლი ხვადაგიანი, ზურაბ გურიელიძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, ვახო ხეთაგური, ლიზა ადეიშვილი

ჟურნალის დიზაინერი
თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი/
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

ახალი ამბების სტილისტ/
კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი

გიზნესგანვითარების
დირექტორი
ქეთევან ქავთარაძე

კომუნიკაციის მენეჯერი
ელენე ხარაზაშვილი

პარტნიორებთან ურთიერთობის
მენეჯერი
ირმა მოსულიშვილი,

ადმინისტრაციული მენეჯერი
მზია კუბლაშვილი

დისტრიბუტორი
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით:
247 02 46

www.liberali.ge

30725

რედაქტორის სვეტი

133

"თაფლობის თვის" შემდეგ

მასობრივ კატასტროფებს – ომს, სტიქიას, ჰუმანიტარულ კრიზისებს და მსგავს მოვლენებს, ე.წ „თაფლობის თვე" მოსდევს. ეს ის დროა, როცა ყველა მზადაა დაზარალებულს დაეხმაროს, გვერდში ამოუდგეს, შეიყვაროს, პატივი სცეს, საკუთარი ლუკმაპური გაუნაწილოს.

ასე მოხდა 13 ივნისის ტრაგედიის შემდეგაც. წალეკილი ტერიტორიების გასაწმენდად თუ დაზარალებულთა დასახმარებლად სამუშაოებში უამრავი მოხალისე ჩაერთო, შეგროვდა თანხა უსახლკაროდ დარჩენილთათვის, საზოგადოება იზიარებდა ტრაგედიის მსხვერპლთა მწუხარებას...

დარწმუნებული ვარ, ახლაც იზიარებს. თუმცა თაფლობის თვეს, საქორწინოსაც და არასაქორწინოსაც, ერთი სამწუხარო თვისება აქვს – ის სრულდება.

20 გარდაცვლილი ადამიანი, დაობლებული ბავშვები და შვილებდაკარგული მშობლები, დაქვრივებული მეუღლეები, ათობით უსახლკარო ოჯახი, ფსიქოლოგიური სტრესი და მომავლის შიში... მრავალმილიონიანი ზარალი... მსგავსი კატასტროფის შედეგებთან ბრძოლას ადეკვატური მასშტაბის ინსტიტუციონალიზებული მიდგომა სჭირდება ყველა შესაბამისი სტრუქტურის, პასუხისმგებელი პირისა და ორგანოს, სპეციალისტების მონაწილეობით – მოხალისეობრივი ფაზა დასრულებულია.

არის კი მზად სახელმწიფო „შესაბამისი სტრუქტურებით, პასუხისმგებელი პირებითა და ორგანოებით, ასევე სპეციალისტებით" გამოიჩინოს არა კეთილი ნება, მოგვევლინოს არა მხსნელად და მესიად, გვიჩვენოს არა გმირობა და თავდადება, არამედ უბრალოდ და მარტივად – შეასრულოს საკუთარი მოვალეობა?

პასუხებს გაეცანით „ლიბერალის" ივლისი-აგვისტოს ნომერში. ჟურნალის ბეჭდური ვერსია სექტემბრამდე გემშვიდობებათ. თუმცა ჩვენ მუშაობას ვაგრძელებთ – გვადევნეთ თვალი ონლაინ.

P.S. ის იყო ჟურნალი სტამბაში უნდა გაგვეგზავნა, რომ ინფორმაია გავრცელდა - ყოფილი მათემატიკის ისნტიტუტის შენობა ჩამოინგრა. დაღუპულია ოთხი ადამიანი.

ზურაბ ვარდიაშვილი, მთავარი რედაქტორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი თემა

დაუსველი ჯაჭვი

რა და რატომ მოხდა? შეიძლებოდა ამის თავიდან აცილება თუ არა? რა წილი ჰქონდა ბუნებრივ მოვლენებს 13-14 ივნისს დატრიალებულ ტრაგედიაში? და რამდენად ნაკლები ადამიანი შეიძლებოდა დალუპულიყო, ნაკლები ცხოველი, ნაკლები მატერიალური ზარალი. ყველაფერი რომ სხვანაირად ყოფილიყო, ყველაფერი თუ არა, ნაწილი მაინც... მდინარე რომ მეტ და გრძელ გვირაბებში არ მოექციათ, ჭალა კი საცხოვრებელი სახლებითა და სხვა ნაგებობებით არ ყოფილიყო სავსე... ყველა კითხვაზე ზუსტი პასუხი ჯერაც არ ვიცით.

ეკა მაღალდაძე
გვ.16

მთავარი თემა

ჩას გვასწავლის სტიქია

20 გარდაცვლილი და 3 დაკარგული ადამიანი, 70-ზე მეტი მკვდარი ცხოველი, ათობით უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი... მინდოდა ჩემს სტატიაში მეჩვენებინა, რომ ამ მსხვერპლს უკვალოდ არ ჩაუვლია, რომ ამ მასშტაბის ტრაგედია, გამოაფხიზლებდა, საკუთარ პასუხისმგებლობაზე დააფიქრებდა და სამომავლო გადაწყვეტილებებისას გავლენას მოახდენდა ძალაუფლების მფლობელებზე ამა ქვეყნისათა. რა მივიღეთ შედეგად? თავად შეგიძლიათ ნახოთ სტატიაში და მიიღოთ პასუხი კითხვაზე – რა გვასწავლა სტიქიამ? ან გვასწავლა კი რაიმე?

ზურაბ ვარდიაშვილი
გვ.22

ინტერვიუ

"ახალი პოლიტიკური სცენარი" - ახალგაზრდული ინიციატივები

„ქვეყანაში პრორუსული განწყობების მატება სერიოზული გამოწვევაა და ამ ყველაფერთან გამკლავების ერთადერთი შანსი, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა, შანსი, რომ 2016 არჩევნებში ბიძინა ივანიშვილი დაემარცხებინა და ხელისუფლებაში პროდასავლური ძალა დაბრუნებულიყო, იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ განახლებას შეძლებდა. ეს იყო მოსახლეობის დაკვეთა, თუმცა ამ განახლებას პარტიის შიგნით ვერცერთი ცალკე აღებული ადამიანი ვერ შეძლებდა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი პარტიული თანამდებობა მეკავა, ცხადია, ამას ვერც მე მოვახერხებდი – ეს პარტიის შიგნით კოლექტიურად მისაღები გადაწყვეტილებაა", – იხილეთ ინტერვიუ ზურაბ ჯაფარიძესთან.

გიორგი ჭეიშვილი
გვ.10

ფოტოპროექტი

ჩინიბზას შენიშვნები

ვახო ხეთაგური
გვ. 48–57

ეკოტურიზმი

უცნობი მთები

ლაშქრობების მოყვარულთათვის ზაფხული საუკეთესო სეზონია. ამ დროს მთებს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტები სტუმრობენ. თუმცა ხშირად ტურისტების ყველაზე დიდი ნაწილი ისეთ ადგილებში იყრის თავს, როგორიცაა მესტია, ყაზბეგი, თუშეთი, დანარჩენი მთიანეთი კი აუთვისებელია. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობა, მოუნიშნავი ბილიკები, არასრული გზამკვლევები და რაც მთავარია – ინფორმაციის ნაკლებობა. გადავწყვიტეთ იქ წავსულიყავით სალაშქროდ, სადაც ტურისტები იშვიათად დადიან. ქვემო სვანეთის მაგალითზე იმ ტურისტული ზონის ჩვენებას შევეცადეთ, რომელიც ჯერ კიდევ უცნობია.

თათია ხალიანი სოფო აფციაური
გვ.30

ნომერში:

ილუსტრაცია რუსუდან ბერიძის

უცხოეთი

08 სახალიფოს დაბრუნება

ინტერვიუ

10 „ახალი პოლიტიკური ცენტრი“ – რადიკალური რეფორმები

მთავარი თემა

16 დაუცველი ქალაქი

22 რას გვასწავლის სტიქია

26 როცა ზოოპარკი აღარ გვაქვს

რეპორტაჟი

30 უცნობი მთები

საზოგადოება

36 საქართველოს გე(რ)ები თავშესაფრის ძიებაში

42 ქალები ეკონომიკური თავისუფლების გზაზე

სამართალი

44 ციხის შვილები

ფოტოპროექტი

48 რკინიგზას შეწირულები

ბიბლიოთეკა

58 ბუკინისტების დაისის პირას

60 შეთამაშება თვითმკვლელობასთან

ქალაქი

64 ვერეს ედემის ბაღი

სვეტი

66 ლუდი და მისაყოლებელი

კულტურა

68 იური ზარეცკის კოლექცია

70 რეკვიემი მონაზვნისათვის

სპორტი

75 დუნგა, დუნგა, დუნგა

სამახთალი

ციხის შვილები

ქალთა №5 დაწესებულების სპეციალურ საცხოვრებელში ამჟამად ხუთი ბავშვიანი დედა და ერთი ორსული გოგო ცხოვრობს. შვილებთან ერთად ყოფნა მსჯავრდებულებს ციხეში ცხოვრებას უმსუბუქებს, ბავშვისთვის კი დედასთან ცხოვრება აუცილებელია, რადგან მათ შორის უპირობო მიჯაჭვულობა არსებობს. სამი წლის ასაკში ეს მიჯაჭვულობა წყდება და ბავშვი დაწესებულებას ტოვებს. ამ მხრივ განსხვავებულია საერთაშორისო პრაქტიკა – ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვი ციხეში მხოლოდ რამდენიმე თვე რჩება.

ქეთევან ღვედაშვილი
33.44

ბიბლიოთეკა

შეთამაშება თვითმკვლელობასთან

აკუტაგავამ ვერონალი დალია, კავაბატამ გაზით მოიწამლა თავი, მისიმამ სეპუკუ გაიკეთა, ყველა შემთხვევაში ეს იმ დიდი სამწერლობო გზის დასასრული იყო, რომელსაც ეს ადამიანები ადგნენ. ამ ყველაფერს ახლდა აღწერა. განსაკუთრებით აკუტაგავას შემთხვევაში დაგვრჩა უზარმაზარი სულიერი სიმდიდრე ნაჩვენები ეგზისტენციალურ, ანუ სიკვდილისწინა სიტუაციაში. ამიტომ მწერალი და მკვლელობა, მწერალი და თვითმკვლელობა ამ შემთხვევაში უბრალო რამ აღარ არის.

ლევან ბერძენიშვილი
33.60

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებგვერდი: www.liberali.ge

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გეჭდვა:
შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

HEIDELBERGCEMENT
TBILISIMARATHON

დარეგისტრირდი
www.tbilisimarathon.ge

2015 25 ოქტომბერი თბილისიმარათონი

21.1 კმ ნახევარმარათონი
10 კმ გარბენი
500 მ - 1კმ ბავშვთა გარბენი

არ ჩამორჩე! აჰყევი რიტმს!

გახდი საერთაშორისო სპორტული საქველმოქმედო ღონისძიების მონაწილე!

"სახალიფოს დაბრუნება"

2014 წლის 29 ივნისს „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით ცნობილმა დაჯგუფებამ „სახალიფოს“ დაფუძნების შესახებ განაცხადა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ რადიკალური ისლამის მიმდევრებმა სისიხლიანი ტერაქტები ერთდროულად სამ კონტინენტზე მოაწყვეს: საფრანგეთში – ქალაქ ლიონის მახლობლად; ტუნისში – საკურორტო ქალაქ სუსის სანაპიროზე; და ქუვეითში – შიიტთა მეჩეთში. ექსტრემისტების თავდასხმებს ათეულობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მედიის მიერ „შავ პარასკევად“ წოდებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ აჩვენა მსოფლიოს, რომ, ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ და მისი მიმდევრები დღეს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენენ.

ლევან ახალაია

სირიისა და ერაყის გარდა, სადაც ექსტრემისტები კარგა ხანია აკონტროლებენ მნიშვნელოვან ტერიტორიებს, ერთი წლის განმავლობაში „ისლამურ სახელმწიფოს“ მიმდევრები გამოუჩნდნენ ეგვიპტეში, იემენში, ლიბიაში, საუდის არაბეთში, ალჟირში, ასევე აფრიკის დასავლეთ ნაწილში, ავღანეთსა და კავკასიაშიც. მართალია, სხვადასხვა ქვეყნებში ცნობები „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურებასთან დაკავშირებით ხშირად გაზვიადებულია და ამ სახელმწიფოებში მოქმედი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ დადებული „ერთგულების ფიცით“ შემოიფარგლება, თუმცა საგულისხმოა, რომ სხვადასხვა ინფორმაციით, უკვე დღეს ტერორისტულ დაჯგუფებაში 35 ათასზე მეტი მებრძოლია გაერთიანებული, ზოგიერთი წყაროს ცნობით კი მათი რიცხვი გაცილებით მეტია.

სისასტიკით ცნობილი დაჯგუფების გრძელვადიანი გეგმა კონტროლირებადი ტერიტორიების გაფართოებასა და რეალურთან მიახლოებული „სახელმწიფოს“ ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. რადიკალური ისლამის მიმდევრები ყველა ხერხით ცდილობენ ამ იდეის პოპულარიზაციასა და გავრცელებას. ამას მოწმობს დაჯგუფების მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი პროპაგანდისტული ჟურნალის ერთ-ერთი ბოლო ნომრის ყდაზე გამოტანილი სათაურიც – „სახალიფოს დაბრუნება“.

„მმართველობის“ ერთი წელი

„ისლამური სახელმწიფო“ იგივე „დაეში“ დღეს სირიისა და ერაყის ტერიტორიების მესამედს აკონტროლებს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მეზობელი ისრაელისა და ლიბანის ფართობს. ექსტრემისტების მიერ დაპყრობილ ქალაქებსა და სოფლებში დაახლოებით 4,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. „სახალიფოს“ იდეის ხორცშესხმა სწორედ აქ იწყება. ბევრ მუსლიმურ სახელმწიფოში პირველი სახალიფო დღემდე მითიურ საბურველში გახვეულ დიად წარსულთან არის გაიგივებული. ამას ნაწილობრივ ხელს სასკოლო პროგრამა და ლიტერატურაც უწყობს, რომელიც მმართველობის ამ ფორმის უარყოფით მხარეებზე ხშირად არაფერს ამბობს. ექსტრემისტები ცდილობენ ამ რომანტიკული ნოსტალგიით ისარგებლონ და უფრო მეტი მუსლიმი „შეიტყუონ“, რათა დაჯგუფების რიგები ახალი მებრძოლებით შეავსონ. ჯერჯერობით ეს მათ კარგად გამოსდით. სირიასა და ერაყში გამგზავრების მსურველთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. სხვადასხვა ცნობებით, რადიკალი სუნიტების მხარდამხარ დღეს მსოფლიოს 80 ქვეყნის მოქალაქეებიც იბრძვიან.

სწორედ სახალიფოს აღდგენის იდეით ცდილობენ „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერები მმართველობის სასტიკი მეთოდების გადაფარვას.

რადიკალის მიერ შემოღებული წესები სუნიტი მუსლიმებისა და სხვა მრწამსის ადამიანებისადმი განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს. შიიტებს და იეზიდებს „ისლამურ სახელწმიფოში“ „განდგომილებს“ უწოდებენ, რომელთა დახოცვა ან დამონება კანონით დაშვებულია. ვისაც სიცოცხლის შენარჩუნება სურს, ვალდებულია ხარკი გადაიხადოს.

მკაცრად იზღუდება მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაც. ქალებს ეკრძალებათ მეუღლის თანხმობის გარეშე ქუჩაში გასვლა. აუცილებელია აბაიას (სამოსი, რომელიც ქალს მთლიანად ფარავს) ტარება. წკეპლის 80-ჯერ დარტყმით ისჯება სიგარეტის ან თუთუნის მოწევა ან ალკოჰოლის მიღება. კაცები ვალდებული არიან წვერი ატარონ. ლოცვის დროს ქალაქში ყველა მაღაზია იკეტება. ქუჩებში მუდმივად პატრულირებს, ე.წ. საიდუმლო პოლიცია.

წესების დამრღვევებს აქ მკაცრად სჯიან. გაწკეპვლის გარდა, დაკანონებულია ხელის მოკვეთა. სასიკვდილო განაჩენს კი ქალაქის ხალხმრავალ მოედნებზე წინასწარი გაფრთხილების გარეშე აღასრულებენ ხოლმე.

სახალიფოს დაფუძნებისთანავე ექსტრემისტებმა ცვლილებები შეიტანეს



სკოლის პროგრამაში. ისეთი საგნის სწავლება, როგორიცაა, მაგალითისთვის, ფილოსოფია, აქ აკრძალულია, რადგან რადიკალები მიიჩნევენ, რომ ის მათ რწმენას ეწინააღმდეგება.

ეს მხოლოდ ნაწილია იმ მკაცრი წესებისა, რომელთა დაცვაც მოსულის, რაქას და „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ დაპყრობილი სხვა ქალაქების მცხოვრებლებს უწევთ.

მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ სხვა ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან შედარებით, რომლებიც ასევე ცდილობდნენ „სახელმწიფოს“ შექმნას, „დაეშის“ წევრები ამ მიზანთან ყველაზე ახლოს არიან.

ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ერაყის ხელისუფლების მიერ სუნიტების გამუდმებული შევიწროებაა. სწორედ ამიტომ არჩევნის წინაშე დამდგარი ერაყელების ნაწილმა „დაეშის“ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დარჩენა ისურვა და ახლაც იქ ცხოვრობს.

„ისლამური სახელმწიფო“ სხვა ცნობილი ტერორისტული ჯგუფებისგან სხვა ნიშნითაც განსხვავდება. თუ „ალ-ქაედას“ წევრები ორიენტირებული იყვნენ დასავლეთის ქვეყნებში თავდასხმების მოწყობაზე, „დაეში“ უფრო მეტ ძალას და რესურსებს დაპყრობილ ტერიტორიაზე კონტროლის გამყარებასა და სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების შექმნაზე ხარჯავს.

განათლება, ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება – რადიკალური ისლამის მიმდევრებმა ყველა ამ სფეროში საკუთარი „დღის წესრიგი“ დაამკვიდრეს. ახალი კანონები ნაგვის შეგროვებისა და თევზჭერის წესსაც კი ადგენს. დაპყრობილ ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები მოსახლეობას „სახალიფოს პასპორტებს“ ურიგებენ.

სრულფასოვან სახელმწიფოდ გარდაქმნის მცდელობის ერთ-ერთი ბოლო მაგალითია ვალუტა, რომლის შემოღებასაც „დაეშის“ წევრები ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში აპირებდნენ. 2015 წლის ივნისის ბოლოს მათ მიერ მოჭრილი პირველი მონეტის – „ისლამური დინარის“ ფოტოებიც კი გავრცელდა.

თუმცა ექსტრემისტების ძლიერი „პროპაგანდისტული მანქანის“ გამო, რომელსაც ისინი ეფექტურად იყენებენ, დღეს საკმაოდ რთულია იმის გარჩევა, რა არის მართალი და რა ტყუილი. როგორც ყველა დიქტატორული რეჟიმი „ისლამური სახელწმიფოც“ გულდასმით მალავს არასასურველ ინფორმაციას, დანაშაულს თუ შეცდომას.

რადიკალი სუნიტები ამტკიცებენ, რომ ჩამოაყალიბეს ეფექტური „სახელმწიფო“, თუმცა ფაქტია, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი შიმშილის, დევნისა და ძალადობის მსხვერპლი ყოველდღიურად ხდება.



სუნიტი „ხალიფა“ და მისი თანამებრძოლები

შარშან, ზაფხულში, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების მიერ ერაყის არმიაზე განხორციელებული პირველი შეტევის დროს ყველას ეგონა, რომ ეს იყო რადიკალების მცირე ჯგუფი, რომლებსაც უბრალოდ გაუმართლათ, როდესაც აშშ-ის მიერ წლების განმავლობაში გაწვრთნილ ჯარისკაცებს უკან დახევა აიძულეს. ერთი წლის შემდეგ უკვე ნათელია, რომ ერაყის არმიის „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაზე დახარჯული დაახლოებით 25 მილიარდი დოლარი რადიკალი სუნიტების შესაჩერებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ერაყელი ჯარისკაცების ასეთი წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ყოფილი პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის თანამებრძოლები არიან. ცნობილია რომ „დაეშის" 40 სამხედრო მაღალჩინოსნიდან 25 მაინც თავის დროზე ერაყის ყოფილი ლიდერის ბრძანებებს ასრულებდა.

ეს კი ნიშნავს, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ სამხედრო სტრატეგიას გამოცდილი ოფიცრები განსაზღვრავენ.

2003 წელს აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ უმცროსის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით უსამსახუროდ დარჩენილმა ერაყის ყოფილი მმართველი პარტია „ბაასის“ წევრებმა კი სავარაუდოდ ყველაზე უკეთ იციან, რისთვის არის მზად ერაყის არმია და როგორ ებრძვის ის მოწინააღმდეგეს.

მართალია, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში საერთაშორისო კოალიციამ ერაყსა და სირიაში ბრძოლის ველზე „დაეშის“ წინსვლის შეჩერება და რადიკალებისაგან რამდენიმე ქალაქის გათავისუფლება შეძლო, თუმცა ივნისის ბოლოს თურქეთ-სირიის საზღვარზე ექსტრემისტების ხელახალმა გააქტიურებამ დასავლეთში „ისლამურ სახელმწიფოს“ სწრაფად დამარცხების იმედის ბოლო ნაპერწკალიც კი ჩააქრო.

სტატისტიკა ასეთია, დამოუკიდებელი დამკვირვებლების ცნობით, გასული წლის ივნისიდან „ისლამურმა სახელმწიფომ“ 3095 თავდასხმა მოაწყო. დაღუპულია ათასობით ადამიანი. მილიონობით მოქალაქეს სახლის მიტოვება მოუხდა.

საერთაშორისო კოალიციის, ირანელი და ქურთი მებრძოლებისა და ერაყის არმიის საპასუხო იერიშების მიუხედავად, დღემდე ვერ მოხერხდა დაჯგუფების ლიდერის და თვითგამოცხადებული „ხალიფას“ 44 წლის აბუ ბაქრ ალ ბაღდადის ლიკვიდაცია.

„ისლამური სახელმწიფოს“ სხვა ლიდერების შესახებ, რომლებიც დაპყრობილ ტერიტორიებს მართავენ, მწირი ინფორმაცია ვრცელდება. ცნობილია, რომ ალ ბაღდადის ორი მოადგილე ჰყავს – ერთი ერაყში და მეორე სირიაში. ამ ორ სახელმწიფოში „დაეშის“ წევრების მიერ დაპყრობილ რეგიონებს – „ვილაეთებს“ – 12 მმართველი – „ვალი“ ჰყავს.

ისევე როგორც ხალიფას, „ვილაეთების“ ხელმძღვანელების დაქვემდებარებაშია ოთხი საბჭო: შარია – რელიგიურ საკითხებს განაგებს; შურა, ანუ მრჩეველთა საბჭო; ასევე სამხედრო და უშიშროების საბჭო.

მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ტერორისტული დაჯგუფების ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ წყაროდ ნავთობი რჩება, რომელსაც სხვადასხვა ცნობებით თურქეთში „შავ ბაზარზე“ ჰყიდიან.

თუმცა „დაეშის“ კონტროლირებად საბადოებზე განხორციელებული შეტევების შემდეგ დაჯგუფების ხელმძღ-

ვანელებმა სტრატეგია შეცვალეს და ამჯერად ფსონი „გადასახადებზე“ გააკეთეს. „ნიუ-იორკ თაიმსის“ ცნობით, გამოძალვისა და „გადასახადების“ გაზრდის შედეგად ექსტრემისტებმა 2014 წელს 600 მილიონი დოლარის შემოსავალი მიიღეს. ის მოქალაქეები, რომლებსაც ხელფასებს დღემდე ერაყის ან სირიის მთავრობა ურიცხავს, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებს შემოსავლის 50 პროცენტს უხდიან. იბეგრებიან კომპანიებიც და საწარმოებიც. ამას ემატება "დაეშის" მიერ ერაყის ბანკებიდან მითვისებული 500 მილიონი დოლარი, ნავთობის ვაჭრობით ამოღებული 100 მილიონი და მძევლების სანაცვლოდ გამოსასყიდის სახით მიღებული 20 მილიონი დოლარი. ასევე, რადიკალი სუნიტები საკმაოდ სარფიანად ვაჭრობენ სირიისა და ერაყის მუზეუმებიდან მოპარული არტეფაქტებითაც.

შემოსავლების დიდი ნაწილი „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ შექმნილ „ინსტიტუტებში“ მომუშავე მებრძოლების ხელფასებზე იხარჯება. ეს თანხა თვეში 3-დან 10 მილიონ დოლარამდე მერყეობს. ექსტრემისტები არ აბანდებენ ფულს ინფრასტრუქტურაში, რადგან მიიჩნევენ, რომ მათ მიერ კონტროლირებად ობიექტებზე თავდასხმის ალბათობა დიდია.

„ისლამური სახელმწიფოს“ ექსპანსია

ერაყსა და სირიაში მოქმედი ექსტრემისტების გაცხადებული მიზანი ახალი ტერიტორიების დაპყრობაა. თუმცა ამის მისაღწევად ტერორისტული დაჯგუფების წევრებს თავდაპირველად უკვე დაკავებული ტერიტორიის შენარჩუნება და საკუთარი მმართველობის გაძლიერება სჭირდებათ. ასევე მათ უნდა შეძლონ მოწინააღმდეგე დაჯგუფებებთან ბრძოლაში გამარჯვებაც.

ამიტომ, როგორც ჩანს, დაჯგუფების მოკლევადიანი სტრატეგია სხვადასხვა ქვეყანაში შეჭრის ნაცვლად მარტო მოქმედი მებრძოლების მიერ ტერაქტების მოწყობითა და ამ სახელმწიფოებში ერთგულ თანამებრძოლთა რიცხვის გაზრდით შემოიფარგლება.

ამის მაგალითია 26 ივნისს ტუნისის სანაპიროზე განხორციელებული ტერაქტი. „ისლამური სახელმწიფო“ აქტიურად ცდილობს ამ ქვეყანაში ფეხის მოკიდებას. ჩრდილოეთ აფრიკის არასტაბილურ რეგიონში მდებარე ქვეყნიდან ერაყსა და სირიაში ექსტრემისტებთან ერთად საბრძოლველად 3 ათასზე მეტი ადამიანია წასული. თუმცა თავად ტუნისში „დაეში“ ჯერ მყარ პოზიციებს ვერ ფლობს. ტურისტულ ობიექტებზე თავდასხმები მიუთითებს, რომ რადიკალების მიზანი ქვეყნის ეკონომიკის დასუსტება და ამ ფონზე ექსტრემისტული იდეების გამტარებელ „ამბოხებულთა“ კერების გაღვივებაა.

კიდევ ერთი რეგიონი, სადაც „ისლამური სახელმწიფოს“ ერთგულება შეჰფიცეს ჩრდილოეთ კავკასიაა. საუბარია „იმარატ კავკაზას“ დროშის ქვეშ გაერთიანებულ მებრძოლებზე. მოგვიანებით, „დაეშის“ ლიდერებმა განაცხადეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი „ვილაეთი“ დაფუძნდა. როგორ განვითარდება მოვლენები ამ რეგიონში, ამის თქმა ჯერ ძნელია, თუმცა ფაქტია, რომ ჩრდილოეთ კავკასიელები სირიასა და ერაყში იბრძვიან, ხოლო მათი სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში უსაფრთხოების კუთხით სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება.

ისლამური სახელწმიფოს სტრატეგიის თანახმად, ლოგიკურია, რომ პირველ ეტაპზე ექსტრემისტები სავარაუდოდ ახლო აღმოსავლეთში რაც შეიძლება მეტი ტერიტორიის დაპყრობას შეეცდებიან. ეს მათ მიმართ მოსახლეობის ნდობას მნიშვნელოვნად გაზრდის. მომდევნო ნაბიჯი კი შესაძლოა დასავლეთის ქვეყნებში მასშტაბური ტერაქტის მოწყობა იყოს, რაზეც უკვე საუბრობენ დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში. წარმატების შემთხვევაში „ისლამური სახელმწიფო“ ფაქტობრივად დაასამარებს „ალ ქაედას“ და მსოფლიოში ყველაზე გავლენიან ტერორისტულ დაჯგუფებად იქცევა.

დღეს „დაეშის“ იოლად დამარცხება შეუძლებელია. ამას ბევრი მიზეზი აქვს, თუმცა მთავარი ალბათ მაინც ის გარემოა, სადაც დაჯგუფება ჩამოყალიბდა. სწორედ ის ქმნის ექსტრემიზმის გაღვივებისათვის საჭირო მყარ ნიადაგს.

ახლო აღმოსავლეთში ავტორიტარი მმართველების თავნებობისა და მათ მიერ წარმოებული ომების გამო მრავალი თაობა მუდმივ შიშსა და სიღარიბეში გაიზარდა. ისინი მზად არიან ძალადობისთვის. დასჯის ის სასტიკი მეთოდები კი, რომლებსაც დღეს „ისლამური სახელმწიფო“ მიმართავს, უცხო არ არის როგორც ირანში, ისე საუდის არაბეთსა და სადამ ჰუსიენის-დროინდელ ერაყში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ლევან ხერხეულიძე

"ახალი პოლიტიკური ცენტრი" - რადიკალური რეფორმები

ზურაბ ჯაფარიძემ, გოგა ხაჩიძემ, პავლე კუბლაშვილმა და გიორგი მელაძემ პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", საპარლამენტო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და ყველა ის თანამდებობა დატოვეს, რომელიც პარტიასა თუ პარლამენტში ეკავათ. რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება? რას მიიჩნევენ ისინი „ნაციონალური მოძრაობის" მიერ დაშვებულ შეცდომებად? როგორ ხედავენ „ახალი პოლიტიკური ცენტრის" დღევანდელ და ხვალინდელ დღეს? რას ელიან 2016 წლის არჩევნებიდან?

ინტერვიუ ზურაბ ჯაფარიძესთან



გიორგი ქეიშვილი

თვეზე მეტი გავიდა, რაც „ნაციონალური მოძრაობა" დატოვეთ. „მიზეზები, რომელთა გამოც ეს ნაბიჯი გადავდგით გაცილებით სერიოზული მსჯელობის საგანია, ვიდრე ჩვენთან მიმართებაში სრულიად უადგილო განცხადებები „უპასუხისმგებლობასა" და „წნეხის ვერგაძლებასთან" დაკავშირებით" – რა არის ეს მიზეზები?

თავიდანაც განვაცხადე, რომ თავს შევიკავებდი შიდა პარტიულ საკითხებზე საუბრისგან, რაც „ნაციონალური მოძრაობის" შიდა სამზარეულოს ეხება. თავს ვიკავებ ახლაც. რაც შეეხება პარტიიდან წამოსვლის ზოგად მიზეზებს, მიგვაჩნია, რომ ქართული პოლიტიკა დაჭაობებულია, ცვლილებებს, სიახლეს საჭიროებს. ეს მოსახლეობის განწყობებში

აისახება – ყველა კვლევა ცალსახად აჩვენებს, რომ მოსახლეობა არსებული პოლიტიკური სპექტრით უკმაყოფილოა და სიახლეს ელის.

ქართული პოლიტიკური სპექტრი გარკვეული კონიუნქტურის გამო გარკვეულწილად ჩაკეტილია. ძალიან რთულია ახალი ადამიანების, რომელთაც სურვილი აქვთ საკუთარი იდეები ცხოვრებაში გატარონ და ქართულ პოლიტიკაზე იქონიონ გავლენა, ამ პოლიტიკურ სპექტრში მოხვედრა.

ჩვენი მიზანია შევქმნათ ახალი პოლიტიკური ცენტრი, სადაც მოვიზიდავთ ახალ ადამიანებს. მათ შორის შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, თუნდაც წარსულ წლებში სხვადასხვა მიმართულებით გარკვეული რეფორმების გატარებისა.

ვთვლით, რომ ქვეყნისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია 2016 წლის არჩევნებისთვის ასეთი ადამიანების გააქტიურება და პოლიტიკაში მოსვლა. გვჯერა – ეს გამოსავალია. სხვა შემთხვევაში ქართული პოლიტიკა ისეთივე იქნება, როგორიც ახლაა – უკიდურესად პოლარიზებული, დაპირისპირებული, სადაც ადამიანებს, გამონაკლისების გარდა, მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ან რაღაც ფორმით ხელისუფლებაში დარჩენის სურვილით აქვთ.

ქვეყანას ახალი ენერგია, ახალი ხალხი და ახალი იდეები სჭირდება. ვფიქრობ, 2016 წლის არჩევნები არ იქნება არჩევნები მემარცხენეებსა თუ მემარჯვენეებს შორის. მგონია, რომ ეს იქნება არჩევნები თეთრსა და შავს, სინათლესა და სიბნელეს შორის, არჩევნები, რომელმაც ალბათ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტოს – საქართველო გახდება ევროპული, თავისუფალი ქვეყანა, თავისუფალი სამყაროს ნაწილი თუ, როგორც მინიმუმ, გააგრძელებს წვალებას, ისე, როგორც ახლა წვალობს ან საერთოდ შეტრიალდება ეს კურსი.

ეს არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების გადაწყვეტილება მივიღეთ. ადამიანები, რომლებმაც პარტია ჩემთან ერთად დატოვეს, ჩემი მეგობრები არიან. ისინი არ აპირებენ კენჭი იყარონ 2016 წლის არჩევნებში. ისინი წამოვიდნენ ჩემს დასახმარებლად, რომ შევქმნა პოლიტიკური მიზიდულობის ახალი ცენტრი, სადაც ბევრი ახალი, გონიერი ადამიანი მოვა და ეცდება, რომ პოლიტიკაში საკუთარი იდეები გაატაროს.

სპეკულაციები თემაზე, რომ თქვენ მიერ „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვება გარკვეულწილად მიხეილ სააკაშვილთან იყო დაკავშირებული. ასევე, რას თვლით „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაშვებულ შეცდომებად როგორც ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ასევე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ?

ცხადია, შეცდომები იყო და ამაზე „ნაციონალურ მოძრაობასაც“ არაერთხელ უსაუბრია. გარკვეულ შეცდომებზე პარტიაში მისვლამდეც ვსაუბრობდი. პირველ რიგში, ეს იყო სამართალდამცავი სტრუქტურების დამოკიდებულება ბიზნესისადმი, რის გამოც „ნაციონალურ მოძრაობას“ ხშირად ვაკრიტიკებდი. შეცდომას უშვებდნენ მედიასთან დამოკიდებულებაშიც. საბოლოო ჯამში ყველაფერი ერთ მთავარ შეცდომად იყრიდა თავს – ვარდების რევოლუციის შემდეგ სახელმწიფომ და ამ შემთხვევაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო ძალაუფლების უკიდურესი კონცენტრაცია ერთ ხელში, ძლიერი ვერტიკალის შექმნა. ჩემი აზრით, ეს გადაწყვეტილება მაშინ სწორი იყო, სხვა შემთხვევაში იმ დროს არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას, იქნებოდა ეს ქურდული სამყარო, რუსული სპეცსამსახურები თუ ყველა მიმართულებით ფესვგადგმული კორუფცია, სახელმწიფო ვერ შეძლებდა.

თავიდან ამან გაამართლა და პოზიტიური შედეგებიც მოიტანა. თუმცა გარკვეულ ეტაპზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერ გაიაზრა, რომ ის გამოწვევები, რაც მანამდე არსებობდა, პრაქტიკულად აღმოიფხვრა. აღარ იყო საჭირო ძლიერი ვერტიკალი და ლიბერალიზაციის კუთხით სვლის დრო დადგა. ასევე, შეცდომა იყო იმ რეფორმების რეფორმებად ჩათვლა, რომლებიც თუნდაც 2004-2007 წლებში გატარდა, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ავტორი კახა ბენდუქიძე იყო. რეფორმებად ჩაითვალა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, თუნდაც ქალაქების გარემონტება, რაც თავისთავად ცხადია, ცუდი არ არის, მაგრამ ეს არ არის რეფორმები. ის რეფორმები, რომლებიც ეკონომიკის ლიბერალიზაციის კუთხით გატარდა, უკიდურესად შენელდა.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს და პარტიას, ეს მიხეილ სააკაშვილის დაფუძნებული პარტიაა. თუ თქვენ ნახავთ ამ პარტიის მხარდამჭერებს, დაინახავთ, რომ ეს ადამიანები მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერნი არიან. ამიტომ, ვერ წარმომიდგენია რომელიმე ადამიანი პარტიაში ან პარტიის გარეთ მივიდეს და სააკაშვილს უთხრას, რომ პოლიტიკაში და „ნაციონალურ მოძრაობაში“ არ უნდა იყოს.

ქვეყანაში პრორუსული განწყობების მატება სერიოზული გამოწვევაა და ამ ყველაფერთან გამკლავების ერთადერთი შანსი, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა, შანსი, რომ 2016 არჩევნებში ბიძინა ივანიშვილი დაემარცხებინა და ხელისუფლებაში პროდასავლური ძალა დაბრუნებულიყო, იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ შეძლებდა განახლებას. ეს იყო მოსახლეობის დაკვეთა, თუმცა ამ განახლებას პარტიის შიგნით ვერცერთი ცალკე აღებული ადამიანი ვერ შეძლებდა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი პარტიული თანამდებობა მეკავა, ცხადია, ამას ვერც მე მოვახერხებდი – ეს პარტიის შიგნით კოლექტიურად მისაღები გადაწყვეტილებაა.

სწორედ ამაზე ვსაუბრობდი, როცა ვამბობდი, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დემოკრატიის გარკვეული გაკვეთილები ჩააბარა. მათ შორის პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი იყო – 2012 წელს ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარება. მეორე, ჩემი აზრით, ამაზე ბევრად მნიშვნელოვანი, რასაც ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც აფასებენ – „ნაციონალური მოძრაობა“

გადარჩა, როგორც ძლიერი ოპოზიციური ძალა და ესეც არის პირველი პრეცედენტი ამ ქვეყნის ისტორიაში. და მესამე გამოცდა, რომელიც ასევე უნდა ჩაებარებინა – პარტიის განახლება იყო. პარტია მოსახლეობის წინაშე ახალი იდეებით, ახალი ენერგიით უნდა წარმდგარიყო. სამწუხაროდ, ბევრი ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა. ჩემი აზრით, არასწორია, რომ ამაში ერთი ადამიანის ბრალეულობა ვეძიოთ და ხელი გავიშვიროთ მიხელ სააკაშვილისკენ ან ნებისმიერი სხვა ადამიანისკენ.

სამწუხაროდ, განახლება ვერ მოხერხდა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ამის გამო გადავწყვიტეთ, რომ აგველო პასუხისმგებლობა და შეგვესრულებინა მოსახლეობის დაკვეთა – პოლიტიკაში ახალი იდეები, ახალი ადამიანებია საჭირო.

„ახალი პოლიტიკური ცენტრი“ – არაერთი ინიციატივა და განცხადება, რომ 2016 წელს საპარლამენტო მანდატისთვის იბრძოლებთ... როგორ ხედავთ თქვენი პოლიტიკური გაერთიანების დღევანდელ და ხვალინდელ დღეს? ასევე, როგორ და საიდან გეგმავთ თქვენი პოლიტიკური გაერთიანებისთვის როგორც ადამიანური, ისე ფინანსური რესურსების მოძიებას?

გვინდა დავამსხვრიოთ სტერეოტიპი, რომ პოლიტიკაში მუდმივად ერთი და იგივე სახეები უნდა იყვნენ. თითქოს ეს ისეთი პროფესია იყოს, რომელსაც რაღაც სპეციალური ხასიათი სჭირდება და რომელიც მხოლოდ დღევანდელ პოლიტიკურ კლასს აქვს.

რაც შეეხება „ახალ პოლიტიკურ ცენტრს“, ერთი მხრივ, ძალიან ბევრ ადამიანთან გვაქვს კომუნიკაცია, რომელთა დიდი ნაწილიც აქტიურია, მაგალითად, სოციალურ ქსელებში. ვესაუბრებით ისეთ ადამიანებს, რომელთა ღირებულებებთან დაკავშირებით კითხვები არ გვაქვს. ჯერ არ გვაქვს უკვე ჩამოყალიბებული პარტია, სადაც რომელიღაც ხედვები ცალსახად ჩაბეტონებულია. ღია ვართ განსხვავებული იდეებისთვისაც. ცხადია, მე მაქვს ჩემი ხედვა და საზოგადოებისთვის ის ცნობილია – თავისუფლების მომხრე ადამიანი ვარ და ამ მხრივ ჩემი შეხედულებები ემთხვევა მემარცხენე შეხედულებების მქონე ადამიანების აზრებს, იმიტომ რომ მხარს ვუჭერ პიროვნულ თავისუფლებას ყველა მიმართულებით. ასევე ემთხვევა ჩემი და მემარჯვენე შეხედულების ადამიანების აზრები, იმიტომ რომ ცალსახად ვემხრობი ეკონომიკურ თავისუფლებას – მგონია, რომ ეკონომიკური თავისუფლება ნებისმიერი თავისუფლების წინაპირობაა.

სერიოზული გამოწვევები გვაქვს და ცხადია, რომ პირველი გამოწვევა ფინანსური რესურსია. შეუძლებელია ამის გარეშე პარტიის ფუნქციონირება. თუმცა პროდასავლური განწყობის ადამიანები ვართ, ამიტომ ვერ დავიწყებთ ფინანსების მოძიებას ისე, როგორც ამას „ნაციონალური მოძრაობიდან“ წამოსული ადამიანები აკეთებდნენ, როდესაც მათ კრემლში დაიწყეს სირბილი. ასეთი რამ კატეგორიულად მიუღებელია.

საქართველოში დაფინანსების ორი წყაროა, ერთი – ბიძინა ივანიშვილი, მეორე კი ქართული ბიზნესი, ვისაც შეიძლება ესაუბრო, აუხსნა, რა იდეები გაქვს და ეცადო, რომ რაღაც დაფინანსება მიიღო. მესამე შეიძლება იყოს შემოწირულობები რიგითი ადამიანებისგან, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში ძალიან მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, ფიზიკურ პირთა შემოწირულობებისგან თანხების მობილიზების მაინცდამაინც დიდი იმედი არ გვაქვს.

ერთადერთი გზა, რაც გვრჩება ქართული ბიზნესია. მასთან მიმართებაში საზოგადოებაში სხვადასხვა ტიპის განწყობები არსებობს. საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართულ ბიზნესში არ არიან „ანგელოზები“ და ა.შ. ახლა ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს – ჩვენ გვაქვს კონკრეტული იდეები, ხედვები, თუ როგორ უნდა წავიყვანოთ ეს ქვეყანა წინ და მათ შორის მთავარი, რაც სხვა ნებისმიერი პოლიტიკური ჯგუფისგან განგვასხვავებს არის ის, რომ კონკრეტულად ვიცით, როგორ შეიძლება 10 წელიწადში საქართველო გავხადოთ ისეთივე მდიდარი ქვეყანა, როგორიც თუნდაც პოლონეთია. არ ვსაუბრობ მხოლოდ მატერიალურ სიმდიდრეზე, საუბარია იმაზე, რომ გვქონდეს განათლების, ჯანდაცვის და ა.შ. მაღალი დონე, იმიტომ რომ ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში ეკონომიკასთან არის გადაჯაჭვული.

სიმართლე რომ გითხრათ, რეალობა ნამდვილად არ არის ისეთი, რომ ბიზნესმენები მორბოდნენ და გვეუბნებოდნენ - აბა ანგარიში გვაჩვენეთ, სად ჩაგირიცხოთ ფულიო. ბიზნესსაზოგადოება, ყოველ შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი, ვისთანაც ურთიერთობა გვაქვს, პირადად ჩემდამი კეთილგანწყობილია. მისმენდნენ, რაზე ვსაუბრობდი პარლამენტში ორ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ესმით, რომ ეკონომიკის თვალსაზრისით სწორი ხედვები მაქვს და ცხადია, ეს ხედვები მათთვისაც საინტერესო და მომგებიანია. მათ შორის რაღაც ნაწილს ახსოვს, რომ, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი არ ვიყავი, ვაკრიტიკებდი მათ ისეთ პოლიტიკას, რომელიც ეკონომიკისთვის არამართებულად მიმაჩნდა. ცხადია, აქვთ შიში, რომ თუკი ისინი ჩემს მოძრაობას დააფინანსებენ, ამ შემთხვევაში მთავრობამ შეიძლება პრობლემები შეუქმნას. მათი შიში ბუნებრივია. სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, ხელისუფლების დამოკიდებულება ბიზნესისადმი ყოველთვის ასეთი იყო. ამ თვალსაზრისით ზოგიერთი მათგანი გარკვეულ გარანტიებს ითხოვს. სამწუხაროდ, ჩვენ განსაკუთრებული ბერკეტები არ გაგვაჩნია და ერთადერთი, რასაც ვპირდებით არის ის, რომ თუკი ჩვენ გვექნება პარტნიორული ურთიერთობა, ეს პირველივე დღიდან გამჭვირვალე უნდა იყოს. ეს არის გარკვეული ბერკეტი, რომ ისინი დაცულნი იყვნენ. ხოლო თუკი ისინი მთავრობის წნეხის ქვეშ მოექცევიან, ჩვენ გვაქვს საპარლამენტო ტრიბუნა, საიდანაც ვეცდებით მათ დაცვას. ასევე, ჩავრთავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, უცხოელ პარტნიორებს, რომლებიც ასევე შეეცდებიან მათ დაცვას.

რაც შეეხება ინიციატივებს და რეფორმებს, რადიკალური რეფორმების გატარებას ვაპირებთ, იმიტომ რომ, ჩვენი აზრით, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა რადიკალური ნაბიჯების გადადგმას საჭიროებს. სხვა შემთხვევაში ამ ვითარების პოზიტივისკენ შემოტრიალება შეუძლებელია.

არჩევანი გვაქვს – დავრჩეთ ქვეყანად, რომელიც წელიწადში 2%-ით იზრდება, როგორც წელს. ეს მაჩვენებელი შეიძლება აიწიოს 4-5%-მდე. ვიყოთ ასეთი ქვეყანა თუ გადავრჩეთ, გავატაროთ რადიკალური რეფორმები, დაახლოებით იმ ტიპის, რომლებიც თუნდაც 2004-2007 წლებში გატარდა. ანუ, ერთი მხრივ, წავიდეთ ეკონომიკის კიდევ უფრო ლიბერალიზაციის კუთხით, მეორე მხრივ კი, სოციალური დახმარება, რომელსაც სახელმწიფო გასცემს, უფრო მიზნობრივი გავხადოთ – სახელმწიფო დაეხმაროს არა ყველას, არამედ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც უჭირთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია კარდინალურად შევცვალოთ ეკონომიკური პოლიტიკა და მივაღწიოთ 15%-იან ეკონომიკურ ზრდას.

უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრა, შიმშილის დაძლევა, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვა და განათლება – ამ ყველაფერს სჭირდება ეკონომიკური მხარდაჭერა, რესურსები, რომლებიც საიდანღაც უნდა მოიტანო. ან მოგაქვს რესურსები და ქმნი ამ ყველაფერს, ან რესურსები არ გაქვს და ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვაკრიტიკოთ ნებისმიერი მთავრობა და ვიოცნებოთ ისეთ ჯანდაცვაზე, როგორიც გერმანიაშია.

ამ თვალსაზრისით ჩვენი ხედვები რადიკალური და განსხვავებული იქნება. მომზადებული გვაქვს ძალიან კონკრეტული გეგმა, მათ შორის ეკონომიკური გათვლებით, თუ როგორ შეიძლება ამის მოხერხება. მათ შორის ერთს ექსკლუზიურად გაგიმხელთ – თუნდაც წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა რომ ავიღოთ, ვაპირებთ მის დაახლოებით 3 მილიარდი ლარით შევკვეცას. ეს არ იქნება იოლი გასაკეთებელი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს ერთადერთი სწორი გზაა. ასეთი ნაბიჯის გადადგმის შედეგად გამოჩნდება ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც სახელმწიფოს ახლა უბრალოდ ხელფასზე ჰყავს და ისინი რეალურად არაფერს ქმნიან. მარტივად რომ შეხედოთ, ელიავას ბაზრობაზე მომუშავე ადამიანი, რომელიც წვალობს და გადასახადებს იხდის, აი ამ გადასახადებს უამრავი ადამიანი ხელფასის სახით იღებს. „ქართულმა ოცნებამ“ ამ ადამიანების რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდა.

ეს ხელფასები ჩასახსნელია. სახელმწიფო ამდენ ფულს არ უნდა ხარჯავდეს. ეს ფული ქართულ ეკონომიკაში უნდა დარჩეს. ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომ ეკონომიკა სწრაფად ამუშავდეს და შევძლოთ სწრაფად ვიქცეთ იმ ქვეყნად, რომელზეც მრავალი ქართველი ოცნებობს. შეიძლება მოვისმინოთ მილიონი ვერსია, არაერთი ტრაფარეტული განცხადება, მაგრამ სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს.

ქართული პოლიტიკური სპექტრი და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. რას ელით ამ არჩევნებიდან და როგორ ფიქრობთ, კვლავ უნდა ველოდოთ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ დაპირისპირებას?

იმედი მაქვს, რომ ჩვენი პოლიტიკური ცენტრი, რომელიც მომავალი წლის სექტემბერში პარტიად გარდაიქმნება, ამ პოლიტიკური სპექტრის აქტიური მოთამაშე იქნება. სხვა შემთხვევაში, ეს პოლარიზაცია და დაპირისპირება „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის ისევე გაგრძელდება, როგორც აქამდე იყო. ვერ ვხედავ ვერანაირ ნიშანს, რომ ეს რამენაირად შეწყდეს. ზოგადად არ მგონია, რომ ეს პოლარიზაცია ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი იყოს.

რაც შეეხება ახალ მოთამაშეებს, არის შანსი, რომ ახალი მოთამაშეები გაჩნდნენ, მათ შორის, დიდი ალბათობით, ძველი პოლიტიკური სახეები, რომლებიც მხოლოდ წინასაარჩევნოდ აქტიურდებიან. მოველი, რომ იანვრიდან თუ არა, მომავალი წლის შუა პერიოდიდან მაინც, ძალიან ბევრი მოლაპარაკე გამოჩნდება მედიაში, და ისაუბრებენ ათას სისულელეზე, რისი მოწმენიც არაერთხელ გავმხდარვართ უკანასკნელ პერიოდში.

ჩემი აზრით, 2016 წლის არჩევნებისთვის მთავარი მიზანი ამ პოლიტიკური სპექტრის გარღვევა და ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენაა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა დაუბრუნდეს დემოკრატიული განვითარების გზას. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს სერიოზული პრობლემები, იმიტომ რომ გვყავს ადამიანი, რომელიც კულისებიდან მართავს ცალკე მთავრობას, ცალკე პარლამენტს და ცალკე სხვადასხვა სტრუქტურებს, მაგალითად, პროკურატურას. ამის არდამთავრება ნიშნავს იმას, რომ საქართველო დემოკრატიული განვითარების გზას უბრალოდ აცდენილია. ეს არის მთავარი მიზანი. ამის მისაღწევად ბრძოლის მრავალი გზა შეიძლება არსებობდეს. თუმცა, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია გარკვეული პროდასავლური ძალების გაერთიანება. სამწუხაროდ, ეს გაერთიანება „ნაციონალური მოძრაობის“ გარშემო ვერანაირად ვერ მოხდება, ბევრი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. მაგრამ კარგი იქნება, თუ სხვა ძალები, რომელთა პროდასავლურ განწყობებში საზოგადოებას ეჭვი არ ეპარება, წინასაარჩევნოდ ერთიან პოლიტიკურ ბლოკად მოახერხებენ კონსოლიდაციას.

ეს მოსახლეობის დაკვეთაა. თუკი „NDI“-ის ბოლო კვლევას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ამომრჩევლების დიდი ნაწილი, 45%-ზეა საუბარი, არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ჩვენ გვინდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ამ პოლიტიკურ სპექტრში ვერ ვხედავთ ვერავის, ვისაც შეიძლება მივცეთ ხმა. ჩემი შეფასებით, ამომრჩევლების ეს სეგმენტი მაინც პროდასავლური განწყობების მქონე მოქალაქეებისგან შედგება, იმიტომ რომ პრორუსული განწყობის მქონე მოქალაქეებს არჩევანი უკვე გაკეთებული აქვთ – ისინი ან ინაშვილთან არიან, ან ბურჯანაძესთან, ან „ქართულ ოცნებასთან“.

ამ 45%-ის ხმების მაქსიმალური წამოღება არის მიზანი, რომელიც, ჩემი აზრით, ყველა პროდასავლურად განწყობილ გუნდს უნდა ჰქონდეს. თუკი ასეთი ჯგუფები დაიქსაქსებიან, ამ შემთხვევაში ბევრი ასეთი ხმა დაიკარგება. თუ ამ პოლიტიკური ჯგუფების კონსოლიდაცია მოხდება, ამ შემთხვევაში მეტია ალბათობა, რომ რაც შეიძლება მეტი ასეთი ხმა მიიღო, რაც მნიშვნელოვნად შეცვლის პოლიტიკური განწყობების განლაგებას 2016 წლის არჩევნებში.

რუსეთი, რუსული კაპიტალი და რუსული რბილი ძალა საქართველოში.

საქართველოში საკუთარი ინტერესების გასატარებლად რუსეთი რამდენიმე სტრატეგიასა და ბევრ სხვადასხვა ტაქტიკას იყენებს. ახლა, როგორც ჩანს, ამ მომენტისთვის რუსეთი არ ფიქრობს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ღიად პრორუსული ძალა სჭირდება.

რუსეთს აწყობს საქართველოში დღეს არსებული რეალობა. ჩვენ გვყავს სრულიად დისფუნქციური მთავრობა, რომელმაც, ერთი მხრივ, სრულიად ჩამოშალა ეკონომიკა, ყოველ შემთხვევაში, არაფერი გააკეთა ბევრი პრობლემის თავიდან ასაცილებლად, მეორე მხრივ კი, სახელმწიფო ინსტიტუტების თვალსაზრისით, შექმნილია ვითარება, როდესაც დემოკრატიული ინსტიტუტები ჩამოშლილია, იმიტომ რომ ქვეყანაში არაფორმალური მმართველობა გვაქვს.

ეს არის ის, რაც დღეს რუსეთს აწყობს. კრემლში ხედავენ, რომ მოსახლეობის განწყობა უმეტესწილად პროდასავლურია და ამ კურსს ქვეყანაში ძალიან მაღალი მხარდაჭერა აქვს. ამიტომ, მისთვის მარტივი არ იქნება საქართველოში პრორუსული ძალების ხელისუფლებაში მოსაყვანად თამაშის წამოწყება. ამიტომაც, რუსეთი თამაშობს გრძელვადიან თამაშს, ის თამაშობს მოსახლეობის განწყობებზე, ცდილობს შეცვალოს ისინი და ამისათვის იყენებს ყველა ინსტრუმენტს, მათ შორის ისეთს, როგორსაც დემოკრატიული ნიშნები გასდევს, მაგალითად, სიტყვის თავისუფლებას. ეს მას საშუალებას აძლევს, რომ საქართველოში გააჩინოს არასამთავრობო ტიპის ორგანიზაციები, რომლებიც მოსახლეობაში სხვადასხვა ტიპის აგიტაციას ეწევიან. ეს მას საშუალებას აძლევს პოლიტიკურ სპექტრში ჰყავდეს პრორუსული განწყობის ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის გზავნილებს გააჟღერებენ, მაგალითად, როგორიც აქვს ბურჯანაძეს, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ნეიტრალური ქვეყანა, რაც ცალსახად რუსული დღის წესრიგია. ასევე, მაგალითად ინაშვილი, რომელიც თამაშობს სხვა ტიპის განწყობებზე და მოსახლეობას ეუბნება, რომ თუ დასავლეთს დავუახლოვდებით, ჩვენი შვილები შეიცვლიან ორიენტაციას და ასე შემდეგ, ესეც ცალსახად რუსული დღის წესრიგია.

მოკლედ, რუსეთი ბევრ სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტს იყენებს, რათა მოსახლეობის განწყობა შეცვალოს. ერთ-ერთი მთავარი და ყველაზე სახიფათო კი ის გზავნილები მგონია, რომელიც ამბობს – რა მოგვიტანა ჩვენ დასავლეთთან დაახლოებამ. გაიხსენეთ, როგორი კარგი იყო, როდესაც საბჭოთა კავშირში ვიყავით. ამ შემთხვევაში ისინი ასაკოვანი ადამიანების გარკვეულ სენტიმენტებზე თამაშობენ.

გამოსავალი აქაც ერთადერთია – ჩვენ, როგორც ქვეყანამ, როგორც ერმა უნდა შევძლოთ რაც შეიძლება სწრაფად გამოვიდეთ ამ სპირალიდან, მათ შორის დავანახოთ მოსახლეობას (ეს უკვე პოლიტიკური კლასის გასაკეთებელია), რომ არსებობს გამოსავალი და არსებობს ერთი სწორი გამოსავალი – ქვეყანა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამდიდრდეს. სწრაფად გამდიდრება კი, გარდა იმისა, რომ თითოეულ მოქალაქეს მატერიალურ სიკეთეს აძლევს, გამოსავალია უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. აქ ორი ასპექტია – პირველი, თუ ჩვენ ეკონომიკაში ჩაიდება ბევრი სხვადასხვა წარმომავლობის კაპიტალი, ეს ნიშნავს რომ ძალიან ბევრ ქვეყანას ექნება ინტერესი, რომ ჩვენს ქვეყანაში იყოს სტაბილურობა. მათ შორის, თუ აქ მოხვდება რუსული კაპიტალი, რომელსაც არ ექნება პოლიტიკური დატვირთვა, ესეც მისასალმებელია, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში რუსეთშიც იქნებიან გავლენიანი ადამიანები, რომლებსაც ექნებათ ინტერესი, რომ საქართველოში იყოს სტაბილურობა.

მეორე ასპექტი – შევძლებთ თუ არა ეკონომიკური თვალსაზრისით ასეთი უსაფრთხოების მიღწევას, ნებისმიერ შემთხვევაში გვჭირდება თავდაცვის უზრუნველყოფა. ცხადია, ყველაზე სწრაფი გზა, რომელთანაც მიმართებაშიც ბევრი პრობლემა გვაქვს და ამ პრობლემებს სწორედ რუსეთი ქმნის, ეს არის NATO-ში ინტეგრაცია და ქვეყნის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მოქცევა. ამ გზას ქვეყანამ არცერთ შემთხვევაში არ უნდა გადაუხვიოს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ გავხდებით NATO-ს წევრი, თუ რაღაც სხვა დასავლური თავდაცვის ბლოკი შეიქმნება და იმის წევრი ვიქნებით, ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. ჩვენ უნდა შევძლოთ საკუთარი თავდაცვის უზრუნველყოფა. ამას სჭირდება რესურსი და ეს რესურსი მოდის მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკიდან. ამ შემთხვევაში სწრაფი ეკონომიკური ზრდა და ქვეყნის სწრაფი გამდიდრება ერთადერთი სწორი გზაა.

დაბოლოს, რა იქნება თქვენი გზავნილი მოსახლეობისადმი?

მთავარი გზავნილი არის ის, რომ მოსახლეობა არცერთ შემთხვევაში არ უნდა ჩავარდეს ნიჰილიზმში, რისი ნიშნებიც იგრძნობა. და იგრძნობა სწორედ იმის გამო, რომ მათ არ აკმაყოფილებთ დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი. მოსახლეობა არ უნდა ჩავარდეს ნიჰილიზმში იმის გამო, რაც ქვეყნის ეკონომიკაში ხდება. ყველაფერი გამოსწორებადია, არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა და ჩვენ გვექნება ძალიან კონკრეტული გეგმა, როგორ უნდა წავიდეთ სწრაფად წინ ისე, რომ 10 წელიწადში ჩვენს შვილებს მივცეთ საშუალება ცხოვრობდნენ ისეთ ქვეყანაში, როგორიც დღეს თუნდაც პოლონეთია ან უნგრეთია. ეს შესაძლებელია, მსგავსი რამ გაკეთებულა, ამის მსოფლიო გამოცდილება არსებობს. უბრალოდ მნიშვნელოვანია, რომ სწორი გამოცდილება ავიღოთ და გამოვიყენოთ.

„პროკრედიტ ბანკი“ ბუნების მეგობარი

დავიცვათ ბუნება, ვიზრუნოთ გარემოზე

თანამედროვე პერიოდში ტექნოლოგიურ და სამრეწველო პროგრესთან ერთად გარემოზე უარყოფითი ზეგავლენაც იზრდება, რის გამოც მსოფლიო და მათ შორის საქართველო გარემოსდაცვითი გამოწვევების წინაშე დგას. ამ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არსებული ვითარების სწორად შეფასებას, გაანალიზებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ იმ ბიზნესებმა, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ აისახება გარემოზე და სხვა აქტივობებით დააბალანსონ ეკონომიკური საქმიანობის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი.

პროფილიდან გამომდინარე ბანკები პირდაპირი საქმიანობით შედარებით ნაკლებ უარყოფით გავლენას ახდენენ გარემოზე, თუმცა პროცესების ოპტიმიზაციით, რაც ნაკლები ქაღალდის მოხმარებას, ენერგიის დაზოგვას, ნარჩენების გადამუშავებასა და სხვა შიდა თუ გარე აქტივობებს მოიცავს, შესაძლებელია მათი საქმიანობა გარემოსადმი უფრო მეგობრული გახდეს.

გარემოს დაცვა, პასუხისმგებლიანი და გარემოსადმი მეგობრული საქმიანობა „პროკრედიტ ბანკის“ მისიის შემადგენელი ნაწილია. ბანკი დიდ ყურადღებას აქცევს გარემოზე ზემოქმედების საკითხებს და ცდილობს მაქსიმალურად შეამციროს მასზე უარყოფითი ზეგავლენა, რის მისაღწევადაც აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა გარემოსდაცვით ღონისძიებაში და თავისი წვლილი შეაქვს მის დაცვაში.

უკვე მრავალი წელია, რაც „პროკრედიტ ბანკში“ გამწვანების, დასუფთავებისა და გარემოსდაცვის კუთხით ხორციელდება აქტივობები. მიმდინარეობს თანამშრომელთა შორის გარემოსდაცვითი საკითხებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ ცნობიერების ამაღლების შიდა კამპანიები, რომლის ფარგლებშიც მათ სპეციალური სემინარები უტარდებათ, რაც საბოლოო ჯამში ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაზე დადებითად აისახება. კამპანიის ფარგლებში ბანკის ფილიალების აქტიური მონაწილეობით არაერთი საინტერესო აქცია იმართება.

შიდა აქტივობებთან ერთად, რაც ძირითადად თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლებასა და შესაბამისად ქცევის შეცვლას უკავშირდება, დიდი ყურადღება ექცევა გარე ღონისძიებებს. ბანკის მიერ მრავალი ეკოლოგიური პროექტი განხორციელდა: დასუფთავდა და მოწესრიგდა საზოგადოებრივი ბაღები, დაირგო ხეები, ჩატარდა მრავალი საგანმანათლებლო საღამო. ამას გარდა, მეხუთე წელია „პროკრედიტ ბანკი“ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კავკასიის ბუნების ფონდის უცვლელი პარტნიორია და ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად, საქართველოს ეროვნულ პარკებში თანამშრომელთა მონაწილეობით სხვადასხვა სახის ეკოტურებს მართავს.

მოგეხსენებათ, ეროვნული პარკი წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების მნიშვნელოვან ბაზას. მას გააჩნია რეკრეაციულ-კურორტოლოგიური, წყალშემნახავი და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა. ეროვნულ პარკს საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს ფოტო-ვიდეო, ფრინველებზე დაკვირვების, ეკოლოგიური, ბოტანიკური და სამანქანო-სათავგადასავლო ტურების მოსაწყობად. ამ საკითხების მნიშვნელობის გაანალიზება და გაცნობიერება კიდევ ერთხელ უბიძგებს ბანკს, რომ გვერდით დაუდგეს ფონდს და თავისი წვლილი შეიტანოს მრავალფეროვანი ბუნების დაცვის საკითხში.

კავკასიის ბუნების ფონდთან ოთხწლიანი წარმატებული თანამშრომლობის ფარგლებში ბანკმა ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა ვაშლოვანის, ლაგოდეხისა და ალგეთის ეროვნულ პარკებს. პირველი ნაბიჯი ამ კუთხით 2011 წელს გადაიდგა და პირველი ეკოტურიც დაიგეგმა. ტურში „პროკრედიტ ბანკის“ თანამშრომელთან ერთად მედიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მონაწილეები გაეცნენ ნაკრძალის ისტორიას და ბიომრავალფეროვნებას, დაირგო ზეთისხილის ნერგები – მშვიდობის სიმბოლო. ლაგოდეხის ნაკრძალის გარკვეული ტერიტორია ნარჩენებისაგან გასუფთავდა, შემდეგ მონაწილეებმა რეინჯერების თანხლებით ნაკრძალში რამდენიმესაათიანი ლაშქრობა მოაწყვეს. მომდევნო ტურებში თანამშრომლების ძალისხმევით „მაჭისციხის” 5-კილომეტრიანი მარშრუტის ბილიკის მონიშვნა და მდინარეზე გადასასვლელი ხიდისა და ბილიკის საფეხურების აღდგენა განხორციელდა. რაც მთავარია, თანამშრომლები ყოველ წელს მოუთმენლად ელიან მომდევნო გასვლით ტურს და მოხალისეთა რიცხვიც წლიდან წლამდე იზრდება.

პროკრედიტ ბანკის ინიციატივითა და დაფინანსებით ბოლნისის რაიონის სოფელ დისველში პატარა საზოგადოებრივი სკვერი გაშენდა. ამ აქტივობით ბანკის თანამშრომლები შეეცადნენ გამწვანების კუთხით დახმარებოდნენ სოფელს, სადაც სარწყავი პრობლემების გამო მოსახლეობას მოსავლის მიღება უჭირს და ხშირ შემთხვევაში წვიმის იმედად არიან. აღნიშნულის გათვალისწინებით მოხდა ადგილობრივ გარემოზე მორგებული ჯიშების შერჩევა და ლანდშაფტის არქიტექტორის გეგმის მიხედვით დაირგო ისეთი მცენარეები როგორებიცაა: კავკასიური სოჭი, ვერცხლისფერი ნაძვი, ცაცხვი, თრიმლი, ხეივნის ვარდი და სხვა.

სოციალური პასუხისმგებლობა „პროკრედიტ ბანკის“ საქმიანობის ყველა მიმართულების ძირითადი პრინციპია. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს საბანკო ბაზარზე მხოლოდ „პროკრედიტ ბანკს“ აქვს ეკო ქვეგანყოფილება, რომელსაც არამარტო ბანკის შიდა გარემოსდაცვითი მენეჯმენტის დანერგვა/განხორციელება ევალება, არამედ ადგენს სტანდარტებს ეკოსესხების გასაცემად და ჩართულია ენერგოეფექტური პროექტების დაფინანსებასა და მხარდაჭერაში.

როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი ფინანსური ინსტიტუტი, „პროკრედიტ ბანკი“ მიიჩნევს, რომ გარემოს დაცვასა და მომავალი თაობებისათვის მის შენარჩუნებაში წვლილის შეტანა ყველა ჩვენგანის მოვალეობაა. ამდენად ბანკი არ დაიშურებს ძალისხმევას და გააგრძელებს სახსრების დაბანდებას გარემოსდაცვითი პროექტების განსახორციელებლად.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia
რეკლამა

დაუსვეთი ჯიღაქი

19 დაღუპული, 3 უგზოუკვლოდ დაკარგული, ჯერ ბოლომდე დაუთვლელი ათეულობით მილიონი ლარის ფინანსური ზარალი, დატბორილი ავტომაგისტრალი, ზოოპარკი, ცხოველთა თავშესაფარი, საცხოვრებელი სახლები და სხვა ნაგებობები – თბილისს სტიქიის შედეგები ბოლომდე ჯერ არ შეუფასებია, შესაბამისად, ამ შედეგების აღმოფხვრასაც მხოლოდ ახლა იწყებს.

ეკა მაღალდაძე

სისტემური დანაშაული – ამ შეფასებას იყენებს ქალაქმგეგმარებელი ზურაბ ბაქრაძე სტიქიის მიზეზებისა და შედეგების დამამძიმებელ ფაქტორებზე საუბრისას. ამბობს, რომ დანაშაული წლების განმავლობაში გრძელდებოდა. სისტემა კი – ამ შემთხვევაში დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობა – არ ასრულებდა თავის პირდაპირ და კონკრეტულ მოვალეობებს.

„ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს სრულიად კონკრეტული და ლოკალური ვალდებულებები – დაიცვას თავისი მოქალაქეების უსაფრთხოება. ის არ უნდა უშვებდეს მდინარის ჭალა-კალაპოტში საცხოვრებელი სახლების, სკოლების თუ სხვა დაწესებულებების მშენებლობას, ის ვალდებულია ქმნიდეს სახიფათო ადგილების რუკას და შესაბამის ღონისძიებებს ატარებდეს ამ ადგილებში თუ მათ მიმდებარედ მოქალაქეების დასაცავად“, – ამბობს ქალაქმგეგმარებელი.

სტიქიის შემდეგ პირველივე დღეებში გაჩენილი მთავარი შეკითხვა ვარაზისხევი-თამარაშვილის ჩქაროსნული მაგისტრალის არსებობის დასაშვებობას ეხებოდა. არც ისე იშვიათი იყო მინიშნებები წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა ბრალეულობაზე. არაერთი სპეციალისტის განმარტებით, გზის არსებობამ შეიძლება ვითარება გაართულა, მაგრამ ის ნამდვილად ვერ გახდებოდა მომხდარის მთავარი მიზეზი.

ბოლო პერიოდში და განსაკუთრებით 13 ივნისის საღამოს მოსული ინტენსიური წვიმის შედეგად სოფელ ახალდაბის მიმდებარე ტერიტორიასთან, წყნეთი-ბეთანიის საავტომობილო გზაზე კლდეზვავური ტიპის მეწყრული პროცესები განვითარდა. მოწყდა დაახლოებით მილიონ მეტრკუბამდე მოცულობის (32 ჰექტარი) მყარი მასა, რამაც ღვარცოფული ნაკადი წარმოქმნა.

„13-14 ივნისს ერთდროულად განვითარდა 8 გეოლოგიური თუ ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენა: კლდე-ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, მდინარეების გვერდითი ეროზია, სიღრმითი ეროზია, უხვი ატმოსფერული ნალექი წვიმის სახით, წყალმოვარდნა და დატბორვა. ამ რვა პროცესმა ერთდროულად იმუშავა, ასეთი რამ არც მე და არცერთ ჩემს კოლეგას არ გვახსოვს“, – ამბობს გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი მერაბ გაფრინდაშვილი.

გარემოსდამცველები, რომლებიც წლების წინ ავტომაგისტრალის მშენებლობასაც ეწინააღმდეგებოდნენ, სამინისტროს პოზიციას, რომ მთავარი ბუნებრივი მიზეზები იყო, ეთანხმებიან, თუმცა იმასაც განმარტავენ, რომ სხვადასხვა დროს განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა გამომწვევი როლი თუ არ ითამაშა, ყოველ შემთხვევაში, შედეგები ბევრად მასშტაბური გახადა.

კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის – CENN-ის განმარტებით, მდინარე ვერეს აუზში, სავარაუდოდ, დაახლოებით 100 მმ რაოდენობის ნალექი მოვიდა, რაც ამ მდინარის აუზისთვის თითქმის ორი თვის ნორმაა. ამას დაემატა ისიც, რომ ხეობაში სახეშეცვლილ ტყესა და ტყე-ბუჩქნარებს თითქმის მთლიანად აქვთ დაკარგული წყალშემკრები ფუნქცია. ამიტომ წვიმის შედეგად წარმოქმნილი ზედაპირული წყალი სწრაფად

ფოტო ლევან ხერხეულიძე

მოხვდა მდინარის კალაპოტში, კალაპოტმა ნიაღვარი ველარ გაატარა, კალაპოტისპირა ტერიტორიები დაიტბორა.

CENN-ი განმარტავს, რომ წყალმოვარდნის კატასტროფული შედეგების უმთავრესი ხელოვნური მიზეზი ვერეს ხეობის ბოლო მონაკვეთზე, წლების განმავლობაში, არასწორად წარმართული საქმიანობა იყო. შედეგი კი - მდინარის კალაპოტის წყალგამტარუნარიანობის ნაწილობრივი პარალიზება.

ხეობაში დღეისთვის არსებული გზები გასულ საუკუნეში, სხვადასხვა დროს, რამდენჯერმე გაიზარდა, გაფართოვდა და შეიცვალა. არასამთავრობო ორგანიზაციის განმარტებით, ორმა მიწისქვეშა გვირაბმა, რომლებშიც მდინარე იყო მოქცეული, არასაკმარისი დიამეტრის გამო თავისუფლად ვერ გაატარეს დიდი მოცულობის წყალი და დატბორვაც ამან გამოიწვია. მით უფრო, რომ წყლის ნაკადს ხის მორები და ტოტები მოჰქონდა, რამაც მილები ჩახერგა.

„მდინარის ხეობის პირველ მონაკვეთზე გაყვანილი ახალი გზის დაპროექტების პროცესში არ იყო გათვალისწინებული 1961 წელს მდ. ვერეზე ჩავლილი ასეთივე სიძლიერის კატასტროფული წყალდიდობის ფაქტი, რამაც მაშინაც გამოიწვია ზოოპარკის დატბორვა. ამ ფაქტის გათვალისწინების შემთხვევაში ამ გზის პროექტის ავტორები მისი ცალკეული მონაკვეთების 5-7 მეტრის სიმაღლის აკვედუკებზე განლაგების აუცილებლობის წინაშე დადგებოდნენ. ამით თავიდან ავიცილებდით ახალი გზის გავლენით მდინარის კალაპოტის გამტარუნარიანობის შეზღუდვას“, – განმარტავენ გარემოსდაცმველები.

გარდა ბუნებრივი მიზეზებისა, წინდაუხედავ და გაუაზრებელ სამეურნეო საქმიანობაზე, როგორც დამამძიმებელ ფაქტორზე, მთავარი გეოლოგიც საუბრობს.

„ხომ გვაჩვენა ფაქტებმა უკვე, რომ არ შეიძლება მდინარის ჭალა-კალაპოტში სახლებისა და სხვა ნაგებობების აშენება. ეს მდინარის კუთვნილი ტერიტორიაა. როგორც სახლს აქვს საკარმიდამო ნაკვეთი, რომელიც მისი საკუთრებაა, ასევეა ჭალა-კალაპოტიც მდინარისთვის. კალაპოტში მუდმივად მოედინება წყლის ნაკადი, ჭალას კი 10-15-20 წელიწადში ერთხელ აუცილებლად ტბორავს წყალი. ამიტომ მდინარეს თავისუფლება სჭირდება, არ შეიძლება მისი არტახებში მოქცევა. არ უნდა აითვისო ეს მდინარეები და მათი ტერიტორია“,- ამბობს მერაბ გაფრინდაშვილი და დასძენს, რომ ქალაქში დატრიალებულ ტრაგედიას ხელი სხვადასხვა კომუნიკაციის არსებობამ შეუწყო. ისედაც შევიწროებულ ხეობას ახალი გზა დაემატა, ზოოპარკი კი ღვარცოფისა და მეწყრის გარეშეც მოსალოდნელი დატბორვის ზონაში მდებარეობდა.

თბილისში 32 ღვარცოფული ხევია. ღვარცოფულია მამა დავითის კალთაზე არსებული ყველა ხევი. ლამის ნახევარი ქალაქი ყოფილი ხევების ტერიტორიაზეა აშენებული და ეს წყალი კოლექტორებში მოძრაობს. დამეწყრილია მუხათგვერდის სასაფლაოზე მისასვლელი

30725

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოები გიორგი ცაგარი

გზა, პრობლემურია ლიბანის, გოთუას ქუჩები, გლდანი, სააგარაკე დასახლებები გლდანთან, გიორგიწმინდის უბანი, ხევძმარი, გლდანულა. მამადავითის კალთაზე არსებული ხევები, წავკისის ხევი. რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა ღვარცოფმა 2012 წლის მაისში ორთაჭალაშიც.

თუმცა ადრეული შეტყობინების სისტემები დედაქალაქს ამ დრომდე არ აქვს, ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების ქსელიც 90-იან წლებში მოიშალა და მწყობრიდან გამოვიდა. შესაბამისად, სპეციალისტები ახლა მხოლოდ ვარაუდით გვატყობინებენ ხეობაში მოსული ნალექების რაოდენობას.

ბევრი მოსაზრება გამოითქვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს ხეობა რისკების მინიმუმამდე შესამცირებლად: დამბა, ჯებირები, ხიმინჯები. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი შემოთავაზებული ვარიანტების უმრავლესობას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. მათი თქმით, ასეთი ძლიერი წყალდიდობა მომავალშიც აუცილებლად განმეორდება, ამის თავიდან ასაცილებლად კი მთლიანად გმირთა მოედნისა და ხეობაში ყველა საინჟინრო ნაგებობის გაუქმება იქნება საჭირო, რაც არარეალურია. წყალსაცავები და ნაპირდამცავი ჯებირები კი ნაკლებეფექტური და დროებითი ღონისძიებები იქნება. ერთადერთი გამოსავალი მათი ხედვით წყალგამტარი გვირაბების დიამეტრის გაზრდაა. გარდა ამისა, აუცილებლად მიაჩნიათ მდინარის წყალშემკრებ აუზში ტყის ჩეხვასა და საქონლის ძოვებაზე შეზღუდვების გამკაცრება, კალაპოტის გაწმენდა, ნარჩენების განთავსების კონტროლის გაძლიერება. მაგისტრალის ნაწილზე კი გზის 5-7 მეტრის სიმაღლის ავედუკებზე განთავსება. ასევე, მდინარე ვერეს ხეობაში და სხვა დასახლებული პუნქტების სიახლოვეს მდებარე ღვარცოფსაშიშ მდინარეებზე ადრეული შეტყობინების სისტემების მოწყობა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2000 წლის შემდეგ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლება-მოვალეობაში აღარ შედის დედაქალაქის ტერიტორიის შესწავლა, ბუნებრივი კატასტროფების შედეგების პრევენცია, ანალიზი და მონიტორინგი. არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია შეიქმნას უწყება, რომელსაც ამ საკითხებზე კონკრეტული პასუხისმგებლობა დაეკისრება.

„მდინარის ხეობის პირველ მონაკვეთზე გაყვანილი ახალი გზის დაპროექტების პროცესში არ იყო გათვალისწინებული 1961 წელს მდ. ვერეზე ჩავლილი ასეთივე სიძლიერის კატასტროფული წყალდიდობის ფაქტი, რამაც მაშინაც გამოიწვია ზოოპარკის დატბორვა. ამ ფაქტის გათვალისწინების შემთხვევაში ამ გზის პროექტის ავტორები მისი ცალკეული მონაკვეთების 5-7 მეტრის სიმაღლის აკვედუკებზე განლაგების აუცილებლობის წინაშე დადგებოდნენ. ამით თავიდან ავიცილებდით ახალი გზის გავლენით მდინარის კალაპოტის გამტარუნარიანობის შეზღუდვას“, – განმარტავენ გარემოსდაცმველები.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ერთ-ერთია იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც 2009 -2010 წლებში ახალი გზის მშენებლობას ეწინააღმდეგებოდა. დღეს კი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების საჭიროებაზე საუბრობენ. მისი წარმომადგენლების განცხადებით, აუცილებელია გამოვლინდნენ თანამდებობის პირები თუ საჯარო მოხელეები, რომლებმაც შესაძლოა მოქმედებითა თუ უმოქმედობით ეს შედეგები გამოიწვიეს. ორგანიზაციის წევრი, ირაკლი მაჭარაშვილი ფიქრობს, რომ ძველი და ახალი ხელისუფლების მიდგომები ამ შემთხვევაში მსგავსია – საეჭვო ეკონომიკური სარგებლის მქონე პროექტების შესახებ ერთპიროვნული გადაწყვეტილებები მიიღება:

ვიცეპრემიერის განცხადება სტიქიის შემდგომ პერიოდში იმის შესახებ, რომ არცერთი მსგავსი პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე არ განხორციელდება, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის სარწმუნო არაა. ამ ეჭვებს მათ ის გადაწყვეტილებები უმყარებს, რომლებიც ამ განცხადებების შემდეგ იქნა მიღებული.

„არსებული მაგისტრალის შესახებ გადაწყვეტილება ისევ პოლიტიკური თანამდებობების პირების კაბინეტებში იქნა მიღებული და, ე.წ. „კომისიის“ თვალსაზრისად წარმოჩენილი. ნათელია, რომ ვერ იქნა გამოტანილი სათანადო გაკვეთილები გასულ წლებში მომხდარი კატასტროფული მოვლენებიდან (მაგალითად, 2012 წელს ორთაჭალაში მილში მოქცეული მდინარის ადიდება ან 2014 წელს მეწყერი დარიალის ხეობაში, ორივე ამ მოვლენას ეკონომიკურ ზარალთან ერთად ადამიანების დაღუპვას მოჰყვა). სამწუხაროდ, საქმეს ახლაც იგივე პირი უჩანს: როგორც დარიალის ხეობაში მომხდარი მოვლენების დროს, სამთავრობო სტრუქტურები ძირითად ყურადღებას უთმობენ სტიქიის წარმოშობის ბუნებრივი პროცესების დადგენას, ხოლო ის საკითხი, თუ რა გავლენა იქონია სტიქიის შედეგებზე არასწორად დაგეგმილმა და განხორციელებულმა პროექტებმა, ისევ გამოუკვლეველი დარჩება“, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

ირაკლი მაჭარაშვილის თქმით, როგორც ჩანს, პირველად წყალმა შეგუბება თამარაშვილის ქუჩის

ქვეშ არსებულ 1958 წელს აშენებულ გვირაბთან დაიწყო. საბოლოოდ გვირაბმა წყალი გაატარა, მაგრამ შესაძლოა დროებითმა შეგუბებამ მეტი წნევა მისცა წყალს, რომლის ტალღაც წყნეთის ქუჩის მიმდებარედ მდინარის მარჯვენა ფერდობს დაეჯახა. მომდევნო გვირაბმა, რომელშიც ხეები და შენობის ნაწილები იყო შეტივტივებული, სასწრაფო დახმარების სადგურთან, ბახტრიონისკენ მიმავალი საავტომობილო გვირაბის სიახლოვეს, წყალი უკვე ვეღარ გაატარა. ტალღამ დააზიანა გვირაბის შესასვლელი, გვირაბში ჩაფენილი გოფრირებული ლითონი მოიკეცა, რამაც სავარაუდოდ ასევე შეგუბებას შეუწყო ხელი. მდინარის კალაპოტი და ჭალის ტერასები კი მიმდებარე ტერიტორიაზე მთლიანად წყლით ამოივსო. მდინარის მარცხენა სანაპიროზე წყალმა სახლები დაანგრია, ზოგიერთი კი აატივტივა და დინებამ წაიღო. სტიქიამ არათუ სახლები, არამედ ის ფერდობიც მთლიანად მოანგრია, სადაც ეს სახლები იყო განლაგებული. დოლიძის საცალფეხო ლითონის ლურჯ ხიდთან მდებარე ტრასის ქვეშ არსებული ხიდის გვირაბშიც წყალი ჯერ გაიჭედა, შემდეგ კი წყალმა გვირაბი გაანგრია და მზიურში გადაიღვარა.

„თუმცა იმის გამო, რომ მდინარის ჭალის ტერასა ფიზიკურად დაკავებულია (შევსებულია) საავტომობილო მაგისტრალით, მდინარის წყალმა უფრო დიდ ფართობზე დატბორა მზიურის ტერიტორია და უფრო მეტი წნევითაც გაიშალა, ვიდრე იმ შემთხვევაში მოხდებოდა, რომ არ ყოფილიყო შეცვლილი ჭალის სტრუქტურა და არ განადგურებულიყო ჭალის ტყის მარეგულირებელი თვისებები. მალევე გაიჭედა „მომავლის სკოლასთან“ და „რედკოს“ მშენებარე კორპუსთან მდებარე გვირაბიც. მდინარე მაგისტრალის მეორე მხარეს გადავიდა და ზოოპარკის ტერიტორიის დატბორვა დაიწყო”, – ამბობს ირაკლი მაჭარაშვილი

გარემოსდაცვითი ორგანიზაციის წარმომადგენლების აზრით, გაუმართლებელია საუბარი იმაზე, რომ რადგან ახალი გვირაბები სიგანით ძველი გვირაბების იდენტური იყო, ისინი წყალდიდობის შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენდნენ. მათი თქმით, 30-50-იან წლებში აშენებული გვირაბები 2009-2010 წლებში ახალი გზის მშენებლობის გამო მნიშვნელოვნად დაგრძელდა, რამაც შეამცირა გამტარუნარიანობა. ასევე გაიზარდა წყლის წნევაც. ამასთან, ახალი გვირაბები მდინარის მოხვევის – მეანდრის ადგილას იყო გაკეთებული, რაც იყო მიზეზი იმისა, რომ მათ ხე-ტყითა და მყარი მასალით სავსე წყალი ვერ გაატარეს.

იმის გამო, რომ მდინარის ჭალის ტერასა ფიზიკურად დაკავებულია (შევსებულია) საავტომობილო მაგისტრალით, მდინარის წყალმა უფრო დიდ ფართობზე დატბორა მზიურის ტერიტორია და უფრო მეტი წნევითაც გაიშალა, ვიდრე იმ შემთხვევაში მოხდებოდა, რომ არ ყოფილიყო შეცვლილი ჭალის სტრუქტურა და არ განადგურებულიყო ჭალის ტყის მარეგულირებელი თვისებები.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე ამბობს, რომ რისკების შესაფასებლად საუკეთესო გზა თავის დროზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადება იქნებოდა. თუმცა იმის გამო, რომ 2007 წლიდან შიდა გზების მშენებლობა აღარ შედის იმ საქმიანობათა ნუსხაში, რომელთაც გარემოზე ზემოქმედების ნებართვა სჭირდება, მაგისტრალის მშენებლობისას მთელი ხეობა ერთობლივი შეფასების გარეშე, გეოლოგიური, კლიმატური თუ სხვა რისკები კი ყურადღების მიღმა დარჩა.

2009 წლის 1 ივლისს მერიის მიერ ვარაზის ხევიდან თამარაშვილის ქუჩამდე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერში კომპანია „საქგზამეცნიერებამ“ გაიმარჯვა. „მწვანე ალტერნატივაში“ იხსენებენ, რომ კეთილმოწყობის სამსახურიდან ბევრი მცდელობის შემდეგ მიღებული პასუხის მიხედვით, „ადგილობრივი დანიშნულების გზების“ მშენებლობა თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის მიხედვით მუნიციპალიტეტის პრეროგატივა იყო და ეკოლოგიურ ექსპერტიზას არ საჭიროებდა. ამით კეთილმოწყობის სამსახურმა ფაქტობრივად განაცხადა, რომ ეს გზა არ იყო „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის“, რადგან ასეთი გზა უკვე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონის მიხედვით, ექსპერტიზას დაექვემდებარებოდა.

მოგვიანებით ორგანიზაციამ შპს „საქგზამეცნიერების“ და შპს „გამას“ მიერ მომზადებული 2009 წლის 20 ივნისით დათარიღებული „მდ. ვერეს ხეობის ფარგლებში ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების ანგარიში“ მოიპოვა. თუმცა, როგორც ირაკლი მაჭარაშვილი ამბობს, დოკუმენტში დიდი ნაწილი ეთმობოდა აბსოლუტურად არარელევანტურ და უმნიშვნელო საკითხებს, რეალური რისკები კი იგნორირებული ან არასათანადოდ შეფასებული იყო.

„პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე. შესაბამისად, პროექტი განხორციელდა მისი საჭიროების დასაბუთების, ხარჯსარგებლიანობის ანალიზის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის შეფასების, ალტერნატივების ანალიზის, გარემოსდაცვითი რისკების შეფასების, განხორციელების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავების, საგანგებო სიტუაციების რისკების შემცირების საკითხების შემუშავების გარეშე“.

რაც შეეხება მაგისტრალის არქიტექტურულ პროექტს, „საქგზამეცნიერე-

ბის“ დირექტორმა და გზის მთავარმა დამპროექტებელმა თამაზ შილაკაძემ 2009 წელს ჰაინრიხ ბიოლის ფონდში გამართული დისკუსიისას განაცხადა, რომ „პროექტზე მუშაობა, ყოველდღიურად, მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობდა“. შილაკაძე სტიქიის მეორე დღესვე ამბობდა, რომ გვირაბებს და ახალ მაგისტრალს ტრაგედიასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა და ასეთ სტიქიას „კოსტავას ქუჩის ზომის გვირაბიც ვერ გაატარებდა“.

საქართველოს მთავრობის 18 ივნისის დადგენილებით შეიქმნა „სტიქიის სალიკვიდაციო და მდინარე ვერეს ხეობის და მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი აღდგენითი სამუშაოების საორგანიზაციო უწყებათაშორისი კომისია“. კომისიის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრია, მოადგილე კი – ქალაქის მერი. კომისიის შემადგენლობაში 8 მინისტრი და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, სხვადასხვა არასამთავრობო თუ კერძო კომპანიის წევრებიც არიან. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ თავმჯდომარე მანანა ქოჩლაძე ამბობს, რომ კომისიის საქმიანობაში გზის დამპროექტებელი კომპანიის წარმომადგენლების მონაწილეობა კომისიის გადაწყვეტილების სანდოობას ამცირებს.

14 ივნისს თბილისის პროკურატურაში საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით აღიძრა, რაც გულისხმობს სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების შესაძლო დარღვევას, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და სხვა მძიმე შედეგი მოჰყვება. პროკურატურაში ამბობენ, რომ გამოძიება მიმდინარეობს, და შესწავლილი იქნება გამოკვლეული იყო თუ არა ადგილმდებარეობა მდინარის ხეობაში სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, გათვალისწინებული იყო თუ არა მოსალოდნელი რისკები და დაცული იყო თუ არა უსაფრთხოების ნორმები მშენებლობისას, თუმცა კონკრეტულად რა ეტაპზეა გამოძიება და არის თუ არა გამოკვეთილი ვინმეს ბრალეულობა, უცნობია.

ასევე უცნობია, კონკრეტულად როგორ გაგრძელდება ხეობის განვითარება – აშენდება ბიზნესცენტრი, როგორც ეს ქალაქის მერს მიაჩნია დასაშვებად, თუ როგორც მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი ამბობს, გეოგრაფიულად მოინიშნება დატბორვის ზონა როგორც „განსაკუთრებით საშიში ზონა“, სადაც ყოველგვარი მშენებლობა აიკრძალება. ამასთან, ნინო ღოღობერიძე, არქიტექტურის სამსახურის უფროსი ამბობს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, ხეობაში არსებულ მიწის ნაკვეთების მფლობელებს სამსახური გამუდმებით უარს ეუბნებოდა ნაკვეთების შემდგომ განვითარებაზე, სწორედ იმ მიზეზით, რომ ეს ადგილი ამისთვის შეუფერებელი და საშიში იყო.

მართალია, ქალაქის მერმა განაცხადა, რომ გმირთა მოედნიდან თამარაშვილის მიმართულებით მოძრაობა სექტემბრის შუა რიცხვებამდე უნდა აღდგეს, მაგრამ გზის აღდგენის თუ ცვლილების შესაძლო ვარიანტებზე უწყებათაშორის კომისიას კონკრეტული ხედვა ჯერ არ წარმოუდგენია.

დადგებოდა თუ არა იგივე შედეგი, ახალი მაგისტრალი რომ არ აშენებულიყო, ან სხვაგვარად, სხვა კონფიგურაციით აშენებულიყო? მდინარის ხეობაში რომ ამდენი ნაგებობა და საცხოვრებელი სახლი არ ყოფილიყო? რამდენად ადრე იქნებოდა შესაძლებელი მოსახლეობის გაფრთხილება გეოლოგიურ თუ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე გამართული სადამკვირვებლო სისტემის არსებობის შემთხვევაში? დაბოლოს, რამდენად ადეკვატურად და დროულად იმოქმედეს საგანგებო სიტუაციების მართვის ან სხვა შესაბამისმა სამსახურებმა სტიქიის დასაწყისში? თბილისს ჯერაც ბევრი უპასუხო კითხვა აქვს.

ქართულმა ღვინომ საერთაშორისო გამოფენაზე დიდი მოწონება დაიმსახურა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინო პირველად იყო წარმოდგენილი ერთიანი ბრენდირებული სტენდის ქვეშ ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე Vinexpo Bordeaux 2015, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ბორდოში ჩატარდა.

Vinexpo-ზე ტრადიციულად თავს იყრიან ათეულ ათასობით ღვინის პროფესიონალები და მოყვარულები, იმპორტიორები, ბლოგერები, მწერლები, ჟურნალისტები. ქართული ღვინოების მიმართ ინტერესი დიდი იყო. მისი დაჭაშნიკების მრავალრიცხოვან სტუმრებს შორის იყვნენ ცნობილი ღვინის მწერალი ოს კლარკი და სომელიეთა მსოფლიო ჩემპიონი ჟერარდ ბასე.

გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციები გამართეს ღვინის მაგისტრმა ლიზა გრანიკმა, ღვინის ექსპერტმა რობერტ ჯოზეფმა, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა შალვა ხეცურიანმა, მსოფლიოს საუკეთესო სომელიე (2013 წ) პაოლო ბასმ და ჟურნალ "დეკანტერის" რედაქტორმა სტივენ სპურიემ. საქართველო ღვინით მასპინძელი იყო სპეციალურ საღამოებზე: THEBLEND, WINE MOSAIC. Vinexpo-ს სპორტიანი სასმელების პავილიონში გაიმართა ჭაჭისა და ჭაჭის ინოვაციური კოქტეილების პრეზენტაცია.

www.georgianwine.gov.ge www.facebook.com/Wines.of.Georgia

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩას გვასწავლის სტიქია

თბილისის სტიქიიდან ორი კვირაც არ იყო გასული, რომ „საერთაშორისო მშენებელთა ასოციაციამ“ და საქართველოს ბიზნესპალატამ შეიმუშავეს პროექტი სახელად „მანჰეტენი“. პროექტი ვერეს ხეობაში ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობას გულისხმობს – სასტუმროები, ბიზნესცენტრები და კორპუსები...

ზურაბ ვარდიაშვილი

„თუ ხეობა მაქსიმალურად უსაფრთხო იქნება, ასეთ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ბიზნესცენტრები, – ამბობს დავით ნარმანია, თბილისის მერი, – აუცილებლად დავინტერესდები ამ პროექტით და დიდი სიამოვნებით გავეცნობი მის თითოეულ დეტალსა და ნიუანსს".

ვიდრე დავით ნარმანია „მანჰეტენის" ნიუანსებს გაეცნობოდა, მანამდე საქართველოს ექსპრემიერმა და მოქმედი ხელისუფლების დეფაქტო ხელმძღვანელად მიჩნეულმა მილიარდერმა, ბიძინა ივანიშვილმა, თავისი ადრინდელი მოსაზრება კიდევ ერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის, „პანორამა თბილისის" შესახებ კიდევ ერთხელ დაადასტურა – უფრო მეტიც, ამ უკანასკნელის აზრით, სასაცილოც კია შეკითხვა იმის თაობაზე, შეიცვალა თუ არა მან აზრი ამ პროექტთან დაკავშირებით.

ერთი შეხედვით, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა მშენებლობა ბუნებაში უხეშ ჩარევას გულისხმობს და შესაბამისად უამრავ რისკს უკავშირდება, თბილისის სტიქიამ მრავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა – თუმცა, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთი შეხედვით...

* * *

ბოლო მონაცემებით ვერეს ხეობის ტრაგედიას ემსხვერპლა 19 ადამიანის სიცოცხლე, დაკარგულად ითვლება 3 ადამიანი, მოკვდა ზოოპარკის ბინადარი 70-ზე მეტი ცხოველი, მატერიალური ზარალი ათობით მილიონს აღწევს. უსახლკარო დარჩენილები, ფიზიკურად დაშავებულები, ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ მყოფნი... სტიქიის გამომწვევ მიზეზებსა და მის შედეგად მიღებულ მსხვერპლსა და ზარალზე სრულყოფილი და ამომწურავი პასუხები არცერთ სტრუქტურას არ გააჩნია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ" ხსენებულ საკითხებზე წინასწარი დასკვნა მოამზადა.

ორგანიზაციის ექსპერტების აზრით, სტიქიის მძიმე შედეგებზე მსჯელობისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს:

1. მდინარე ვერეს ჭალის სტრუქტურის შეცვლა და ჭალის ტყის განადგურება, რამაც განაპირობა დატბორვა მზიურში და ზოოპარკში;

2. გვირაბების გამტარუნარიანობის შეფასებისას ცალკეული ექსპერტები ყურადღებას აქცევენ მხოლოდ მათ დიამეტრს და ასკვნიან, რომ ვინაიდან 2009-2010 წლებში აშენებული გვირაბები დაახლოებით იმავე დიამეტრისაა, როგორიც 1930-იან და 1950-იან წლებში აშენებული გვირაბები, ისინი ვერ მოახდენდნენ ზეგავლენას წყალდიდობის შედეგებზე. ასეთი მსჯელობა არ შეეფერება სინამდვილეს შემდეგი გარემოების გამო: 1930-იან და 1950-იან წლებში აშენებული გვირაბები მნიშვნელოვნად დაგრძელდა 2009-10 წლებში, რამაც შეამცირა გამტარუნარიანობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1950-იან წლებში თამარაშვილის ქუჩის ქვეშ აშენებული გვირაბის დაგრძელებამ, ერთი მხრივ, გაზარდა წყლის წნევა და ხელი შეუწყო ფერდობების გამორეცხვას წყნეთის ქუჩის მე-13 და მე-14 კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, დატბორვისაგან იხსნა წყნეთის ქუჩის ხევში მდებარე კერძო სახლები;

3. საბჭოთა პერიოდის გვირაბისგან განსხვავებით გოფრირებული მეტალის გვირაბი არამყარი აღმოჩნდა, რამაც დამატებით შექმნა გამტარობის პრობლემა.

ე.წ. ახალი მაგისტრალის მშენებელი შპს „საქგზა მეცნიერების" დირექტორის, თამაზ შილაკაძის უარყოფის მიუხედავად, მთელი რიგი პროფესიონალები, მაგალითად ქალაქმგეგმარებელი ზურაბ ბაქრაძე მიიჩნევს, რომ სტიქიის ტრაგიკული შედეგები სხვა მიზეზებთან ერთად მდინარის გოფრირებულ მილებში მოქცევამ გამოიწვია. ურბანისტი ნიკო კახეთელიძე კი ვერეს ხეობის საცხოვრებელ ზონად ათვისებას ხალხის გაწირვას უწოდებს და ამბობს, რომ „თავის დროზე ამ ფართების დამტკიცება დიდი შეცდომა იყო. როდესაც სახელმწიფო ასეთ ნაბიჯს დგამს, ევაკუაციის გეგმის არსებობა/არარსებობის საკითხი ძალიან სასაცილო ხდება. ასეთ ადგილას, ასეთი საშიშროების ზოლში არ შეიძლება მიწა მისცე ადამიანს. ფაქტობრივად ხელს აწერ, რომ ამ ადამიანებს ევაკუაცია არ სჭირდებათ – ეს ხალხი გაწირეს". აღსანიშნავია, რომ კახეთელიძე სტიქიის სცენარს ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ წინასწარმეტყველებდა.

ურბანისტები, ქალაქმგეგმარებლები, არქიტექტორები, არასამთავრობო სექტორი, მწვანე აქტივისტები და უბრალოდ მოქალაქეები, წლების მანძილზე აქტიურად აპროტესტებდენ დიდი სამშენებლო კომპლექსების, ჰიდროელექტროსადგურებისა და სხვა ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობას, რომლის გარემოზე ზემოქმედების ეფექტი ან უგულვებელყოფილი იყო, ან ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

* * *

ურბანისტები, ქალაქმგეგმარებლები, არქიტექტორები, არასამთავრობო სექტორი, მწვანე აქტივისტები და უბრალოდ მოქალაქეები, წლების მანძილზე აქტიურად აპროტესტებდენ დიდი სამშენებლო კომპლექსების, ჰიდროელექტროსადგურებისა და სხვა ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობას, რომლის გარემოზე ზემოქმედების ეფექტი ან უგულვებელყოფილი იყო, ან ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

მდინარეების კალაპოტის შეცვლა, ადგილობრივების გადასახლება, ბიომრავალფეროვნების დაზიანება, ადგილობრივი ლანდშაფტების შეცვლა – ეს შედეგების არასრული ჩამონათვალია, რომელიც დიდი, კაშხლებიანი ჰესების აშენებას მოსდევს.

აღსანიშნავია, რომ სტიქიური მოვლენების შეფასებისას და სამომავლოდ გათვალისწინების პერსპექტივებზე საუბრისას მთავრობის წევრებიდან ყველაზე ადეკვატურად ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე გამოიყურებოდა. კალაძე მოხალისეებთან ერთად ყველაზე აქტიურად ჩაერთო ხეობაში მიმდინარე სამუშაოებში. შესაძლოა უფრო ახლოდან შეეხო ტრაგედიის ადამიანურ თუ ნივთიერ დეტალებს და ალბათ უფრო ნათლად იგრძნო პოლიტიკოსების პასუხისმგებლობა როგორც ადრინდელი, ისე სამომავლო ნაბიჯების გამო.

პროექტი კი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ და რომლის განხორციელების აუცილებლობაში ქვეყნის ყველაზე გავლენიან ადამიანს ეჭვი არ ეპარება, სამი ნაწილისგან შედგება, მაგრამ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მხოლოდ სოლოლაკში განსახორციელებელი ნაწილის ზეგავლენას განიხილავს. „მწვანე ალტერნატივას“ თავმჯდომარის, მანანა ქოჩლაძის თქმით, კი ამ შეფასებიდან სავსებით ამოვარდნილია ერეკლე მეფისა და თავისუფლების მოედნები.

„უშუალოდ ქალაქისთვის შეიძლება ყველაზე ხელშესახები და საგრძნობი პრობლემა თავისუფლების მოედანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადი იყოს. თუმცა გზშ ანგარიში რომ არაფერს ამბობს თავად სოლოლაკის ქედზე მშენებლობისას მოსალოდნელ „ლანდშაფტურ დაბინძურებაზეც“, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ლანდშაფტი არ შეიცვლება“, – ამბობს ქოჩლაძე „ლიბერალთან“ ინტერვიუში.

მისი თქმით, „გარდა ვიზუალისა, პრობლემურია ის, რომ თბილისის შემოგარენ მთებზე აღმართული მაღალსართულიანი სახლები ქალაქში ჰაერის ნაკადების შემოდინებას ამცირებს. ეს უკვე ყველგან ხდება – ვაკეში, მთაწმინდაზე, სოლოლაკში. ასეთი მშენებლობა კიდევ უფრო გაამწვავებს მდგომარეობას. რაც აშკარაა – ქალაქში ჰაერის ნაკადები ისე აღარ მოძრაობს, როგორც უნდა მოძრაობდეს და იცვლებოდეს. მაღალსართულიანი შენობები ჰაერის ნაკადებს გადაადგილების ბუნებრივ გზას უკეტავს. ეს არაა ქარი, რომელიც გზას იპოვის, ესაა ბუნებრივი მოძრაობა, რომელიც ფერხდება“.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარე ამბობს, „თბილისში ჰაერის დაბინძურების ალტერნატიულ რუკას რომ დავაკვირდეთ, ყველაზე მაღალი კონცენტრაცია CO-სი სწორედ რუსთაველის გამზირის გასწვრივაა, რადგან თითქმის ყველა ასეთი ხეობა ჩაიკეტა რუსთაველზეც, ფალიაშვილზეც, ბარნოვზეც. ამ ქუჩების მიმდებარედ ჰაერი უკიდურესად დაბინძურებულია“.

იმ პროექტების ჩამოთვლა, რომელთა განხორციელებას ბუნებრივი ლანდშაფტის ცვლილება მოჰყვება (ხოლო რაც ამ უკანასკნელს მოჰყვება, არ ხდება ამის გათვალისწინება) შორს წაგვიყვანს. მაგრამ ერთი რამ ნათელია – პროფესიონალური აზრი პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე წინ რომ უნდა იდგეს, ამის გაცნობიერება ვერც 13 ივნისის კატასტროფის შემდეგ მოხერხდა.

როდესაც 13 ივნისის სტიქიის გაუთვალისწინებლობაზე ვსაუბრობთ, ცხადია, არ იგულისხმება, რომ ყოველი პროექტის უკან ვერეს ხეობის ტრაგედიის მასშტაბის კატასტროფა იმალება. თუმცა ტრადიციას – სხვისი თუ საკუთარი შეცდომების არგათვალისწინებას – მოქმედი ხელისუფლება წარმატებით აგრძელებს.

„ბოლოსდაბოლოს უნდა დავამკვიდროთ ტრადიცია – სად, რა, როგორ უნდა აშენდეს, წყვეტდეს სპეციალისტი და არა პოლიტიკოსი“, – ეს სიტყვები საქართველოს პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს ეკუთვნის. ძნელი სათქმელია ქვეყნის ფორმალურად პირველი პირის ეს მოსაზრება რამდენად ემთხვევა რეალური ძალაუფლების მფლობელთა სამომავლო გეგმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ზოოპარკი აღარ გვაქვს

ზოოპარკის დაახლოებით 2/3 განადგურებულია. ქვედა ნაწილში ვოლიერების აღდგენა გამორიცხულია. ვცდილობთ გავასუფთავოთ, წესრიგში მოვიყვანოთ ის, რაც გადარჩა, მათ შორის კარგი ვოლიერები, ცხოველები, მოკლედ, მთლად წყალწაღებულებიც არ ვართ.



ზურაბ გურიელიძე

ძირითადი გაწმენდითი სამუშაოები დასრულებულია, ვგულისხმობ ლაფის გატანას. თუმცა ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი რამ არის გასაკეთებელი – ყველაფერი დასასუფთავებელია, ასფალტის საფარიც დაზიანებულია, გამხმარი ტალახი მოსაშორებელია, გასაწმენდია მთლიანად ამორტიზებული და ლაფით სავსე პრიმატებისა და მტაცებლების ვოლიერი. ზაფხულია და დაავადებების გავრცელების გარკვეული რისკებიც არსებობს. განადგურებულია მთელი აღჭურვილობა, ფაქტობრივად აღარაფერი დაგვრჩა.

ამ ეტაპზე სამუშაოებში მხოლოდ ზოოპარკის თანამშრომლები არიან ჩართული. იმედი გვაქვს, რომ მერიაც დაგვეხმარება. გვჭირდება მცირე ტექნიკა: პატარა ზომის ტრაქტორები, სარწყავი მანქანები და ასე შემდეგ. სხვაგვარად შეუძლებელია. სამუშაო ძალიან ბევრია, საჭიროა დამატებითი ხელები.

ზედაპირული დათვლით ზარალი სამ მილიონ-ნახევარ ლარს აღწევს, ისიც ცხოველების საბალანსო ღირებულების გათვალისწინებით, რაშიც ძირითადად ტრანსპორტირების ხარჯებია გათვალისწინებული და არა ცხოველების ღირებულება. თუკი ცხოველების ღირებულებას გენეტიკური ან კონსერვაციული ფასეულობის მიხედვით დავითვლით, საუბარი უკვე ათეულობით მილიონზე იქნება. მხოლოდ ქოჩორა გიბონის ასეთი ფასი, რომელიც ევროპის ზოოპარკებშიც კი ძალიან ცოტა ჰყავთ, ძალიან მაღალია.

დრო ფაქტობრივად არ გვაქვს. ძალიან ბევრ ცხოველს და პირველ რიგში ბეჰემოტს სასწრაფოდ სჭირდება ახალი ვოლიერი. ამ ცხოველისთვის ზამთარში აუცილებელია თბილი წყლით სავსე დახურული აუზი. ის კი სტიქიის შედეგად განადგურდა. ცხოველის ტრანსპორტირება საკმაოდ რთული საკითხია, თანაც ახლო-მახლო ზოოპარკებში ამის შესაძლებლობა არ არის. ერთადერთი გამოსავალი ახალი ვოლიერის აშენებაა. პირველ რიგში ამას ვითხოვთ.

ახალი ვოლიერია საჭირო ნიანგებისთვისაც, რომლებიც ახლა პინგვინის ვოლიერში იმყოფებიან. თბილი წყალი მათაც სჭირდებათ. მისახედია მარტორქის შენობა, სითბო მისთვისაც აუცილებელია. ეს იმ ცხოველების ჩამონათვალია, რომლებიც პირველ რიგში უნდა გადავიდნენ ახალ ვოლიერებში.

ზოოპარკი ქალაქისთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილი იყო. ამაზე სტუმრების რაოდენობაც მეტყველებდა. ცუდ ამინდშიც კი საკმაოდ დიდი რაოდენობით ადამიანი გვსტუმრობდა. ხალხს უყვარდა ზოოპარკი. ეს მათ იმ მძიმე დღეებში გვერდში დგომით დაგვანახეს კიდეც.

ზოოპარკი უნდა აღდგეს, ის მაინც გაიხსნას, რაც დღეისთვის გადარჩენილია. პარალელურად კი ახალ ადგილმდებარეობაზეც უნდა ვიფიქროთ. ამ მიმართულებით სხვადასხვა დონორებთან ვმუშაობთ, ყველანი მოტივირებულნი არიან.

არაერთხელ დაისვა შეკითხვა, არსებობდა თუ არა ევაკუაციის გეგმა. ამაზე კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა – როდესაც მოვლენები ასეთი სისწრაფით ვითარდება, ამ დროს ევაკუაციის ვერანაირი გეგმა ვერ იმუშავებს. დრო რომ გვქონოდა და რამდენიმე საათით ადრე მიგვეღო ინფორმაცია, გარკვეული ზომების მიღება შესაძლებელი იქნებოდა. გასაგებია, რომ რთულია, თუმცა მოსაწესრიგებელია ადრეული შეტყობინების სისტემები.

სტიქიის ღამეს სხვა ტიპის პრობლემებიც შეიქმნა – სამართალდამცველები არ იცნობდნენ ზოოპარკის თანამშრომლებს. ასეთი შემთხვევებისას მათთვის სათითაოდ უნდა დამერეკა. ასევე, მოდიოდა გაურკვეველი ინფორმაციაც, ერთი და იგივე მკვდარი ვეფხვის შესახებ ცნობა 2-დღიანი ინტერვალით 2-ჯერ მივიღეთ. შესაბამისად, ამან გამოიწვია შეცდომა დახოცილი ცხოველების რაოდენობასთან დაკავშირებით. ერთი ასეთი განცხადებაც მოვისმინე, რომ თურმე დახოცილი ცხოველები ტერიტორიიდან ჩვენ უნდა გაგვეყვანა. შემდეგ დღეებში ამ ტიპის პრობლემები თითქმის აღმოიფხვრა, თუმცა სტიქიის პირველ დღეს გარკვეულ არეულობას ჰქონდა ადგილი.

ამ ვითარებით ზოგიერთმა ადამიანმა ბოროტად ისარგებლა და მღვრიე წყალში თევზის დაჭერას შეეცადა. კონკრეტულად ვგულისხმობ კამპანიას – უნდა არსებობდეს თუ არა ზოოპარკი. პირველ რიგში თუნდაც გადარჩენილი ცხოველების შველა იყო საჭირო. რატომღაც ეს ადამიანები ამ საქმით არ დაკავებულან, ცხოველების გადარჩენის პრეტენზია კი ჰქონდათ. ასეთ დროს ასეთ საქციელსა და მოროდიორობას შორის განსხვავებას ვერ ვხედავ – ადამიანი ქურდობით ეცდები ხეირის მიღებას თუ სხვა მეთოდით, ამაში დიდი განსხვავება არ არის. საკმაოდ რთული იყო ამ ყველაფრის ყურება. ვცდილობდით, მსგავსი ტიპის ბრალდებებზე ნაკლებად გვეპასუხა, თუმცა ისიც შეუძლებელი იყო, რომ მათზე რეაქცია არ გვქონოდა.

ძალიან სამწუხაროა, რომ აღარ არსებობს პრიმატების განყოფილება, აქ მხოლოდ და მხოლოდ ლემურების ვოლიერი დაგვრჩა. მთლიანად განადგურებულია ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ფართო განყოფილება – მტაცებლების განყოფილება.

გვყავდა ცხოველები, რომლებიც თბილისის ზოოპარკის სახეს წარმოადგენდნენ, რომლებთანაც განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა. თითოეული მათგანი ჩამოყალიბებული ინდივიდი იყო, თავისი ქცევა, ხასიათი ჰქონდა. მომხდარი ემოციურად ძალიან მძიმე იყო ზოოპარკის თითოეული თანამშრომლისთვის.

საკმაოდ ტრაგიკულია კარაკულასა და შუმბას ისტორია. მათი ვოლიერი ისეთ მდგომარეობაშია, მის აღდგენას მგონი არანაირი აზრი აღარ აქვს. რაც შეეხება შუმბას, ის თავისი ვოლიერის გვერდით იპოვეს მკვდარი. შორს არ იყო წასული. საწყალი კარაკულა კი ერთ-ერთი მანქანის სახურავზე ვნახეთ. ის ახლა თავს კარგად გრძნობს. შუმბა ჩვენი ზოოპარკის სიმბოლო იყო და მისი ფიტულის სახით შენარჩუნება გადავწყვიტეთ.

რა მოხდა რეალურად, ამაზე პასუხს ვეტერინარული დათვალიერება გაგვცემს. შუმბას გვამი ჯერჯერობით გაყინულია. გარკვეული დროა საჭირო, რომ გალღვეს და შემდეგ ექსპერტიზა ჩავუტაროთ. არ გვინდა შეცდომა დავუშვათ და ვინმეს დაუფიქრებლად დავდოთ ბრალი.

დაბოლოს, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენ გვერდით იდგა და ჩვენთან ერთად ზრუნავდა გადარჩენილ ცხოველებსა თუ ზოოპარკის იმიჯზე, რისი შელახვის მცდელობაც არაერთხელ იყო სხვადასხვა აბსურდული ბრალდებებით. სწორედ ასეთი ხალხის გვერდში დგომა გვაძლევს მოტივაციას და ძალას, რომ ჩვენს თავზე დატეხილ უბედურებას გავუმკლავდეთ და უკეთესი ზოოპარკი აღვადგინოთ.

ფოტო ლევან ხერხეულიძე

უსნობი მთები

რუკები, გზამკვლევები, მონიშნული ბილიკები, ტურისტული ცენტრები, გზად თავშესაფრები, საოჯახო სასტუმროები, საკვები, ტრანსპორტი – ეს იმ მნიშვნელოვანი საჭიროებების ჩამონათვალია, რომლის გარეშეც მთის ტურიზმით დაინტერესებულ ადამიანს მოგზაურობა გაუჭირდება.

სოფო აფციაური

თათია ხალიანი

ნვიმიანი ღამის შემდეგ მინაზე ფეხი ცურავს. ლაშქრობა ახალი დანყებული გვაქვს, თუმცა ალმართების გამო, დასვენება ხშირად გვინევს. ძირია ლანთქორია – ასე უწოდებენ ქვემო სვანები ადგილს, საიდანაც ფეხით მოსიარულეებისთვის საცალფეხო ბილიკი ადგილობრივი მწყემსების გაკვალულია. ნელ-ნელა ზემოთ მივინევთ, აქედან კარგად ჩანს ლენტები, რომელსაც მდინარე ცხენისწყალი ჩაუყვება.

გიორგი ლიპარტელიანი აქაურია. მეგობრებთან ერთად გზადაგზა ქვემო სვანეთის საინტერესო გარემოზე გვიყვება. ამბობს, რომ ტურისტებისთვის სვანეთი მხოლოდ მესტიასა და უშგულთან ასოცირდება, მაშინ როდესაც ქვემო სვანეთის უნიკალური ბუნებით ბევრი ტურისტის მოზიდვაა შესაძლებელი. თუმცა გაუკვალავი, მოუნიშნავი ბილიკებისა და სპეციალური ტურისტული გზამკვლევების გარეშე გზის არმცოდნე ადამიანისთვის, უსაფრთხო გადაადგილება არც ისე იოლია.

ციცაბო ალმართის შემდეგ მდელოზე გადმოვართ, სადაც მწყემსების ქოხები დგას. მთელი ზაფხულის განმავლობაში მწყემსები თავიანთ საქონელს აქ აძოვებენ და თვითონაც მომთაბარედ ცხოვრობენ.

შედარებით ხანგრძლივი დასვენების შემდეგ მდინარე ლახაშურის ხეობაში ჩავდიეართ. ზურგჩანთებაკიდებულებს ყინულიეით ცივი მდინარის გადავლა გვიხდება.

საღამოვდება, მზის ჩასვლამდე ერთ-ერთი მთის პირზე უნდა მოვასწროთ დაბანაკება. გზაში მწყემსების კიდევ ერთი დასახლება გვხვდება. ცხენები და ძროხები იქვე ჰყავთ გამვებული, ძაღლები შორიდან

გვაღრენენ, ერთ-ერთ ხბოს შუბლზე დალურსმული ხის ფიცარი აქვს დაკრული.

„ასე იცით სვანეთში, როცა ხბო დედის რძეს დიდხანს ვერ ანებებს თავს, ასე უკეთებენ, რის გამოც დედა ახლოს აღარ იკარებს“, – გვეუბნება გიორგის მეგობარი პაატა.

სვანეთში მწყემსები ხის რამდენიმე ფიცრისგან აგებულ ქოხებს კარავებს ეძახიან. ჩვენი ლაშქრობა ერთ-ერთი მთის ბოლოს, მიტოვებულ კარავთან სრულდება. იქვეა რკინის ვაგონი, სადაც მწყემსების მიერ დატოვებული ძველი ლეიბები და ლუმელი გვხვდება. ვაგონის გვერდით ხის მაგიდა და სკამები დგას. აქ საღამოობით მწყემსები ვახშმობდნენ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ერთ-ერთ ტურისტულ კომპანიაში მუშაობს, რომელიც ძირითადად გერმანელ, შვეიცარიელ და ავსტრიელ ტურისტებს ემსახურება. კომპანიის ხელმძღვანელს რამდენიმე თვის წინ თავისი დაწერილი პროექტი შესთავაზა და სვანეთის ტურისტულ მარშრუტებში ზემო სვანეთთან ერთად ქვემო სვანეთის ჩართვა შესთავაზა.

გვირილებით დაფარულ მინდორზე კარვებს ვშლით. მერე ცეცხლს ვანთებთ და ლაშქრობის შთაბეჭდილებებზე ვსაუბრობთ.

გიორგი ერთ-ერთ ტურისტულ კომპანიაში მუშაობს, რომელიც ძირითადად გერმანელ, შვეიცარიელ და ავსტრიელ ტურისტებს ემსახურება. კომპანიის ხელმძღვანელს რამდენიმე თვის წინ თავისი დაწერილი პროექტი წარუდგინა და სვანეთის ტურისტულ მარშრუტებში ზემო სვანეთთან ერთად ქვემო სვანეთის ჩართვა შესთავაზა.

ტური 11-დღიანია, რომელშიც თბილისი-ლენტეხი, მესტია-თბილისის ტრანსფერი და 8-დღიანი საფეხმავლო ტური შედის.

საფეხმავლო ტურის პირველი დღე კი სწორედ ის მარშრუტია, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ.

დილის 7 საათზე კარვების აშლა ინყება. შედარებით მოკლე დაღმართით, სამანქანო გზაზე გავდივართ, საიდანაც დაახლოებით ერთი საათის სავალზე სოფელი ჭუელფია. მანქანიდან ჩამოსულები ზურგჩანთებს ვიკიდებთ და მდინარეზე გადებული ხიდით, სოფლის მეორე მხარეს გადავდივართ. უღელტეხილისკენ მიმავალი გზის დასაწყისში საოჯახო სასტუმრო გვხვდება. მოხუცი კაცი ქვაზე ჩამომჯდარა და უცხოელ ტურისტებს ელოდება.

წინა დღის მარშრუტისგან განსხვავებით, აქ სამანქანო გზას მაღლა მივუყვებით.

ფოტო: სოფო აბესაძისგან

ერთ-ერთ ხეზე გახუნებული საღებავით ნიშნულია მიხატული, რომელიც მიმართულებას გვიჩვენებს. ეს პირველი ნიშნულია, რომელიც ორდღიანი მოგზაურობის დროს გვხვდება.

გიორგი ამბობს, რომ საქართველოში მარკირების პრობლემა ხელს უშლის ტურისტს დამოუკიდებლად მოგზაურობაში.

„მე ადგილობრივი ვარ. აქ ყველა ბილიკი ზეპირად ვიცი, მაგრამ თუ ტურისტმა აქაურობის დამოუკიდებლად მონახულება გადაწყვიტა, გზას ვერ გაიგნებს".

სოფელი ჭველფიდან დაწყებული მეორე დღის ტური ლანთფარის უღელტეხილამდე მიდის. ეს ყველაზე მოკლე გზაა, რომელიც სვანეთის ქედზე გადის და საიდანაც ერთდროულად კარგად ჩანს ცხენისწყლისა და ენგურის ხეობა. გიორგი გვიყვება, რომ ადრე ქვემო სვანები უშგულამდე ცხენებით სწორედ ამ გზას გადიოდნენ.

მთლიან გზას ფეხით დაახლოებით 6-7 საათი სჭირდება, გააჩნია ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს. გიორგის და მის მეგობრებს დაღლა არ ეტყობათ. უნდათ, რომ ქედიდან ზემო სვანეთის ხედები გვაჩვენონ, თუმცა ფეხით 4-საათიანი სიარულის შემდეგ ვხვდებით, რომ ლაშქრობებს მიუჩვევლები გზას ვეღარ ვაგრძელებთ. ჩვენი მოგზაურობა ქვემო სვანეთში სრულდება. თუმცა გიორგის შედგენილი ტურის მიხედვით, უღელტეხილიდან გზა უშგულამდე მიდის, ბოლოს კი სხვადასხვა სოფლისა და ნასოფლარის გავლით ბეჩოში მთავრდება.

გიორგის პროექტი, რომელიც აუთვისებელი ადგილების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, გერმანულმა ტურისტულმა სააგენტომ მოიწონა. წელს პირველი ზაფხულია, როცა გიორგი უცხოელ ტურისტებს ზემო სვანეთთან ერთად ქვემო სვანეთსაც აჩვენებს. თუმცა ამბობს, რომ საქართველოში ბევრი აუთვისებელი ადგილია, სადაც ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალია.

„ლენტეხი სამი მდინარის ხეობისგან შედგება. ერთია ხელედურა, მეორე – ლასკადურა და ცხენისწყალი. ცხენისწყალი ქვემო სვანეთის არტერიაა. ხელედურას ხეობაც ულამაზესია – ძალიან ბევრი სოფელი და ნასოფლარი, საინტერესო ბუნება და ბევრი ენდემური სახეობის მცენარეა. მართალია,

ჩემს ტურში აუთვისებელი ადგილების დათვალიერებაც შედის, მაგრამ ცალკეული ადამიანების ინიციატივა მსგავსი ადგილების პოპულარიზაციას მაინც ვერ შეუწყობს ხელს. გაცილებით სერიოზული ღონისძიებებია გასატარებელი – შესასწავლია ბილიკები, დეტალურად უნდა აღიწეროს, მაგალითად, საიდან იწყებ სიარულს, რამდენი კილომეტრი გაქვს გასავლელი, რა სიმაღლეზე ხარ, რა დაქანების აღმართია, რამხელა მანძილია დანიშნულების ადგილამდე, რა დაშორებით გვხვდება წყაროები, თავშესაფრები და ა.შ. ტურისტი ამის შემდეგ უნდა წყვეტდეს, უნდა თუ არა კონკრეტულ ადგილზე მოგზაურობა", – ამბობს გიორგი.

ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემდეგ კი, გიორგის განმარტებით, უნდა გაკეთდეს მარკირება, მომზადდეს რუკები, სადაც ეს ბილიკები იქნება დატანილი. შემდეგი ეტაპია უკვე ინფორმაციის გავრცელება და სხვადასხვა ადგილების პოპულარიზაცია, როგორც უცხოელი ტურისტებისთვის, ისე ადგილობრივებისთვისაც.

„ყველაზე მნიშვნელოვანი ნედლეული ბუნების სახით გვაქვს. ყველაზე მთავარი, რაც გვჭირდება, ეს არის ცოდნა, როგორ ავითვისოთ და გამოვიყენოთ ეს ნედლეული."

მთის ტურიზმი – არსებული მდგომარეობა და გამოწვევები

ტურისტული ბილიკების მონიშვნის ქართული სტანდარტის იდეის ავტორი მირანდა ალაპიშვილი გვიყვება, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ბილიკების მონიშვნის განსხვავებული სტანდარტი არსებობს. მირანდას ინიციატივით, ტურისტული ბილიკების მონიშვნის ეროვნული კონცეფციის შესამუშავებლად მოლაშქრეები შეიკრიბნენ. მანამდე მსგავსი დოკუმენტი საქართველოში არ მომზადებულა.

„შვეიცარიელები, მაგალითად, ნიშნულზე მხოლოდ დროს ნიშნავენ. ბილიკები ტრაფარეტებითა და სხვადასხვა ფერის საღებავით ინიშნება. სტაფილოსფერი, წითელი და ლურჯი – სირთულეების მიხედვით. ასევე, დანომრილია ბილიკები და გვხვდება საინფორმაციო დაფები. ტურისტული ქსელის დაგეგმარების დოკუმენტიც აქვთ შემუშავებული. სირთულეების მიხედვით ჩვენთან თითქმის არსადაა ბილიკები მონიშნული.

■ დილის 7 საათზე კარვების აშლა იწყება. შედარებით მოკლე დაღმართით, სამანქანო გზაზე გავდივართ, საიდანაც დაახლოებით ერთი საათის სავალზე სოფელი ჭველფია. მანქანიდან ჩამოსულები ზურგჩანთებს ვიკიდებთ და მდინარეზე გადებული ხიდით, სოფლის მეორე მხარეს გადავდივართ. ულელტეხილისკენ მიმავალი გზის დასაწყისში საოჯახო სასტუმრო გვხვდება. მოხუცი კაცი ქვაზე ჩამომჯდარა და უცხოელ ტურისტებს ელოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლენტეხი სამი მდინარის ხეობისგან შედგება. ერთია ხელედურა, მეორე – ლასკადურა და ცხენისწყალი. ცხენისწყალი ქვემო სვანეთის არტერიაა. ხელედურას ხეობაც ულამაზესია – ძალიან ბევრი სოფელი და ნასოფლარი, საინტერესო ბუნება და ბევრი ენდემური სახეობის მცენარეა. მართალია, ჩემს ტურში აუთვისებელი ადგილების დათვალიერებაც შედის, მაგრამ ცალკეული ადამიანების ინიციატივა მსგავსი ადგილების პოპულარიზაციას მაინც ვერ შეუწყობს ხელს“.

მარტო მესტიაშია, საშუალო და მარტივი გზის აღმნიშვნელები, მაგრამ ესეც არაორგანიზებულადაა“, – ამბობს მირანადა.

ეროვნული სტანდარტის შესამუშავებლად მოლაშქრეებმა ევროპული ტექნიკა და გამოცდილება შეისწავლეს. უნდოდათ მარკირება მარტივი და გასაგები ყოფილიყო. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის შეთავაზება ბილიკების მონიშვნის ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება იყო. პროცესში დაცული ტერიტორიების სააგენტოც ჩაერთო და მომზადდა წინასწარი ვერსია.

რეგლამენტი ბილიკების მონიშვნის და მოწყობის ნორმებს ადგენს. მისი მიზანია, ტურისტული ბილიკების მონიშვნის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, ადამიანების უსაფრთხოებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის წინაპირობის შექმნა და ტურისტული ბილიკების ქსელის განვითარების უზრუნველყოფა.

მირანდა ამბობს, რომ რეალურად პროცესი ახლა იწყება, მოკვლევის ეტაპია, რადგან არსებული მდგომარეობით არ არსებობს სტანდარტი და მეთოდოლოგია. პრობლემაა ასევე დაგეგმარება და კვალიფიციური კადრების არსებობა. მისი თქმით, ყურადღება ძირითადად ცნობილ ტურისტულ ადგილებს ექცევა, მაშინ როდესაც სხვა ხეობები და სოფლები გაცილებით საინტერესო შეიძლება იყოს.

„ყველა რეგიონს უნდა ჰქონდეს თავისი ნომერი. საჭიროა ერთიანი ბაზის და მარშრუტების პლატფორმის გაკეთება. მანიშნებელი უნდა დაიდგას გზაჯვარედინებზე, ნიშნული ხილვადი უნდა იყოს, ამასთან ბილიკების პერიოდულად განახლება უნდა ხდებოდეს. არაა გზამკვლევები რეგიონების მიხედვით. ტურისტებს ძველი, რუსული რუკები აქვთ. ახალ რუკებს არ ენდობიან, ბევრი შეცდომაა. გამოცდილი მოლაშქრეები საკუთარ ბლოგებზე ინფორმაციას აქვეყნებენ, რაც მერე სხვა ტურისტებს საქმეს უადვილებს. სხვაგვარად ძალიან რთულია“, – ამბობს მირანდა აღაპიშვილი.

ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში ამბობენ, რომ მუშავდება ახალი ტურისტული მიმართულებები და შესაბამისი რეკომენდირებული მარშრუტები; ასევე, გზამკვლევები და რუკები. ადმინისტრაციის ინფორმაციით, უკვე მომზადებულია ისეთი თემატური კატალოგები, როგორიცაა: ღვინის ტურიზმის კატალოგი, ატენის ხეობის გზამკვლევი, კაიაკინგის გზამკვლევი, ალპინისტური გზამკვლევი და სხვა.

რაც შეეხება, რეგიონალურ რუკებს, ტურიზმის ადმინისტრაციაში აღნიშნავენ, რომ ყველა რეგიონისთვის არსებობს რუკები, სადაც ერთ მხარეს წარმოდგენილია რეგიონის რუკა, რომელზეც დატანილია ტურისტულად საინტერესო ძირითადი ღირსშესანიშნაობები, ხოლო მეორე მხარეს – რეგიონის შესახებ ინფორმაცია და აღწერა.

ტურიზმის ეროვნული სტრატეგია ქვეყანას ჯერ არ აქვს. ადმინისტრაციის ინფორმაციით, სტრატეგია მსოფლიო ბანკის დაფინანსებითა და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით მზადდება. მის მომზადებაში მონაწილეობას საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც იღებენ. სტრატეგიაზე მუშაობა 2014 წლის შემოდგომაზე დაიწყო და დასრულების პროცესშია.

არ არსებობს ასევე სამთო ტურიზმის ეროვნული სტანდარტი და ნებისმიერი მარშრუტი საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით მუშავდება. როგორც ადმინისტრაციაში ამბობენ, ყველაზე მისაღები ავსტრია-შვეიცარიის სტანდარტებია, რადგან თავისი ბუნებითა და რელიეფით ყველაზე ახლოსაა საქართველოსთან. მარშრუტის მარკირების სტანდარტისთვის შვეიცარიის მოდელს იყენებენ, ხოლო ველომარშრუტებზე მუშაობისას – სლოვაკეთის სტანდარტებს.

„დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ვმუშაობთ სამთო-საფეხმავლო ბილიკების მარკირების ეროვნული სტანდარტის დანერგვაზე, რაც წლების მერე მთაშიც და ბარშიც ერთიან სურათს მოგვცემს. პარალელურ რეჟიმში ვსწავლობთ რამდენიმე რეგიონის (სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ზემო სვანეთი) სამთო საფეხმავლო რესურსს. წლის ბოლოს ამ რეგიონების საფეხმავლო ბილიკების მარკირების პროექტები გვექნება, რის შედეგადაც მომავალ წელს დემარკაციას განვახორციელებთ. გეგმის მიხედვით თუ ვივლით და ხელის შემშლელი ფაქტორები არ გვექნება, რამდენიმე წელიწადში ქვეყნის მასშტაბით საფეხმავლო ბილიკების ქსელი გვექნება, რომელიც ყველა რეგიონს გააერთიანებს”, – ამბობენ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში.

ფოტო: სოფელ აბანოსთვის

საქართველოში ტურიზმის 18 საინფორმაციო ცენტრი ფუნქციონირებს. (თბილისი, თბილისის აეროპორტი, მესტია, ქუთაისი, გორი, მცხეთა, ყვარელი, სიღნაღი, თელავი, ბორჯომი, ბაკურიანი, ურეკი (სეზონურად), გუდაური (სეზონურად), ახალციხე, ამბროლაური, ბოლნისი, ქუთაისის აეროპორტი, ჩხოროწყუ, ზუგდიდი, მარტვილი). ცენტრების დანიშნულება ტურისტებისთვის ინფორმაციის მიწოდებაა.

ადმინისტრაციის ბიუჯეტი 18 მილიონ ლარს შეადგენს. საიდანაც უმეტესი წილი, თითქმის 14 მლნ. ლარი, მარკეტინგზე მოდის.

„ტურიზმის ადმინისტრაცია ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო მარკეტინგულ კამპანიებს. 2015 წელს ზაფხულის კამპანიები 9 ქვეყანაში განხორციელდა. სარეკლამო აქტივობის ფარგლებში ადმინისტრაცია აქტიურად უწევს პოპულარიზაციას სამთო კურორტებს ბილბორდების, ონლაინრეკლამის, ტელევიზიისა და სხვა სახის სარეკლამო საშუალებებით“.

ადმინისტრაციაში ამბობენ, რომ მთიანეთის ის ნაწილი რომელიც დაცული ტერიტორიებზე ხვდება გამოწვევებს მეტ-ნაკლებად პასუხობს, თუმცა საკმარისი არაა.

როგორც წესი, საქართველოში ჩამოსულ უცხოელ ტურისტს, რომელსაც საფეხმავლო ლაშქრობები და ველური ბუნების ახლოდან გაცნობა აინტერესებს, მხოლოდ რამდენიმე ადგილის მონახულება შეუძლია, მაშინ როდესაც საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი მთას უჭირავს და ლაშქრობების მოყვარულებს ბევრი საინტერესო ადგილის აღმოჩენა შეუძლიათ. საქართველოში ტურისტებისთვის პოპულარულ ადგილებში, როგორიცაა მესტია, თუშეთი, ბორჯომი, ყაზბეგი – მეტნაკლებად დაცულია მათთვის საჭირო გარემო, შესაბამისად, ტურისტების ყველაზე დიდი ნაწილი სწორედ აქ იყრის თავს. დანარჩენი ტერიტორია აუთვისებელი რჩება, სადაც არც ტურისტული ინფრასტრუქტურაა განვითარებული, არც ბილიკებია მარკირებული, რაც ტურისტებს არა მხოლოდ ლაშქრობებს გაუადვილებდა, არამედ მათი უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ნაწილია, ასევე, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდის წინაპირობაა.

მირანდა ამბობს, რომ რეალურად პროცესი ახლა იწყება, მოკვლევის ეტაპია, რადგან არსებული მდგომარეობით არ არსებობს სტანდარტი და მეთოდოლოგია. პრობლემაა ასევე დაგეგმარება და კვალიფიციური კადრების არსებობა. მისი თქმით, ყურადღება ძირითადად ცნობილ ტურისტულ ადგილებს ექცევა, მაშინ როდესაც სხვა ხეობები და სოფლები გაცილებით საინტერესო შეიძლება იყოს.

ახალგაზრდა გეი თბილისის უსახლკაროთა ბანაკის კარავში ცხოვრობს.

ფოტო: ლიზა ადეიშვილი

საქართველოს გე(ი)ები თავშესაფრის ძიებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზა ადეიშვილი

ბოლო წლების განმავლობაში ქართული საზოგადოება ცდილობს იმის გააზრებას, რომ ლგბტ ადამიანები მისი ნაწილია, რომ ისინი მასთან ერთად თანაცხოვრობენ. საზოგადოების ჰომოფობი ნაწილი მუშტებს იღერეს. „არაჰომოფობი“ ნაწილი კი ამაზე არაადეკვატურად, მაგრამ არცთუ დაბალ ხმაზე, გაკვირვებული კითხულობს: „რაც უნდათ ის ქნან, მაგრამ მე რატომ მენახებიან? იყვნენ ერთად საწოლში და სახლში. ვინ უვარდებათ?“ ეს პოზიცია ლგბტ ადამიანებსა და მათ პრობლემებს მეტისმეტად აკნინებს. ასე რომ, მათ შესახებ, ანეკდოტური ისტორიების გარდა, ბევრი არაფერი ვიცით. უცნობი ფაქტია, მაგრამ ბევრ მათგანს სახლი, რომელში გამოკეტვისკენაც მოუწოდებენ, სწორედ ორიენტაციის გამო არ აქვთ.

თავშესაფრები სჭირდება საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს: დევნილების სხვადასხვა ნაკადს, რომლებიც ქვეყანაში სხვადასხვა კონფლიქტებისა და სტიქიის დროს გაჩნდა; სასჯელაღსრულებითი დაწესებულებებიდან გამოსულ პრობაციონერებს, რომლებიც პატიმრობის შემდეგ ოჯახებმა არ მიიღეს, გაუჭირდათ სამუშაოს პოვნა და უსახლკაროებად იქცნენ; ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, რომლებიც პარტნიორს გამოექცნენ და მოსახლეობის სხვა კატეგორიებს. თავშესაფრის მაძიებელთა ერთ-ერთი (ქვე)კატეგორიაა ლგბტ ადამიანები. მათ საცხოვრებლის დატოვება თავიანთი სურვილის წინააღმდეგ სწორედ ორიენტაციის გამო უხდებათ. ახალგაზრდებს ოჯახებიდან ან აგდებენ, ან ძლიერი ნიჭის არსებობის გამო თვითონ მოდიან. ბინის დამქირავებელ ლგბტ ადამიანებს ხანდახან სახლის პატრონი სთხოვს, ბინის დატოვებას, რადგან მათ გამო მეზარებს იღებს.

უსახლკაროებისთვის ბანაკში

2015 წლის ზამთარში არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობას“ დაუკავშირდა ორი ახალგაზრდა გეი, რომლებიც ზამთარში უსახლკაროდ დარჩენილნი მეტროში ატარებდნენ მთელ დღეს, რათა არ გაყინულიყვნენ. „იდენტობის“ წევრებმა ისინი მოსკოვის გამზირზე გაშლილ უსახლკაროთა კარვებში გადაიყვანეს. იქ მცხოვრებთა აგრესიამ მათი მილება ძალიან გაართულა. ამ კარვებში 200 ადამიანამდე ცხოვრობს. მათ 80%-ს მაინც შეადგენენ 50 წელს გადაცილებული, ციხიდან გამოსული ადამიანები, რომლებიც 10-20-წლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ გარეთ არაფერ და არაფერი დახვდათ. ადმინისტრაციის წევრებმა სოციალურ მუშაკებს აუხსნეს, რომ ამ ბიჭების მიმართ ისინი გამოხატულად აგრესიულები იქნებოდნენ.

ადმინისტრაციამ და „იდენტობის“ წევრებმა ერთად გადაწყვიტეს ბუქსასა და მისი მეგობრის ქალების კარავში შეშვება. ამ კარავში მცხოვრებლებთან მოსალაპარაკებლად მთელი დღე დასჭირდათ. ორმა ბიჭმა 2015 წლის იანვრიდან აპრილის ბოლომდე იცხოვრეს კარავში.

■ 2015 წლის ზამთარში არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობას“ დაუკავშირდა ორი ახალგაზრდა გეი, რომლებიც ზამთარში უსახლკაროდ დარჩენილნი მეტროში ატარებდნენ მთელ დღეს, რათა არ გაყინულიყვნენ. „იდენტობის“ წევრებმა ისინი მოსკოვის გამზირზე გაშლილ უსახლკაროთა კარვებში გადაიყვანეს. იქ მცხოვრებთა აგრესიამ მათი მილება ძალიან გაართულა.

ბექა ქურდიანისთვის ბანაკში ცხოვრება რთულია. ხალხის აგრესიული განწყობის ატანა ყველაზე მეტად პირველ ხანებში უჭირდა. მისთვის ბევრჯერ მიუყენებიათ სიტყვიერი შეურაცხყოფა: „ორ თვეზე მეტია აქ ვარ. ძალიან მიჭირს შეგუება იმ სიბინძურესთან, რომელიც აქ, ამ კარვებშია. ბევრი ვერ მიტანს. ზოგი ბისექსუალია, ვიცნობ ერთი-ორს, ვისაც უნდა ჩემთან რაღაც და არ გამოსდის. დორიან გრეი არ ვარ, მაგრამ ამათ მაინც ვჯობივარ. სამაგიეროდ, კოორდინატორებთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

შემდეგ ერთი სხვა ქალაქში გადავიდა, ბექა ქურდიანი კი ამ დრომდე მოსკოვის პროსპექტზე ცხოვრობს. „იდენტობის“ სოციალური მუშაკი ამბობს, რომ პირველ ხანებში ადმინისტრაციის წევრი, მთავარი კოორდინატორი, ზურა ისაკაძე მათ ღამეებს უთევდა, რათა ბანაკში უსაფრთხოების ნორმები მაქსიმალურად დაცული ყოფილიყო.

ბექა ქურდიანი 18 წლისაა და არ მალავს თავის ჰომოსექსუალობას. მისი ჰომოსექსუალობა ვერ მიიღო მამამ, რომელიც „ტრადიციული ადამიანია“. სახლიდან ორ წელიწადზე მეტია წამოსულია: „მამაჩემი სულ მეკითხებოდა, რატომ არ მიყვარს სპორტი, უაზრო რაღაცებზე ჩხუბობდა. ქალაჩუნას მეძახდა. როდესაც გაიგო, რომ გეი ვარ, მითხრა, აქ ნუღარ მოხვალ, წაეთრიე, მე არ მჭირდება შენნაირი შვილიო... ოღონდ უფრო ცუდი სიტყვებით. სახლიდან ნივთების წამოღებაც კი ვერ მოვასწარი. მასთან ლაპარაკი არ მინდა. არ მინდა, რომ ასეთი მამა მყავდეს. არასდროს ყოფილა ჩემთან თბილი. მისი არც ფული მინდა, ერთადერთი ჩემი ნივთები მჭირდება, მაგრამ ვერ მივდივარ, მეშინია“.

სახლიდან წამოსვლის შემდეგ მეგობრის სახლში ცხოვრობდა. როდესაც მისი მეგობარი სხვაგან გადავიდა, ბექა ხშირად რჩებოდა ქუჩაში. ცდილობდა ღამე ქალაქის ცენტრალურ და ყველაზე კარგად დაცულ ქუჩებში გაეთენებინა. ამ პერიოდის განმავლობაში ხშირად დამდგარა საფრთხის წინაშე: „შუაღამისას მთვრალ ბიჭებს დაუწყიათ გინება, ზოგი გამომკიდებია, თმებში მოუკიდიათ ხელი, წიხლი ამოურტყამთ. მე გავქცეულვარ, თუმცა ძალიან მკაცრი ძალადობის შემთხვევა არ მაგონდება“.

ბექა ქურდიანისთვის ბანაკში ცხოვრება რთულია. ხალხის აგრესიული განწყობის ატანა ყველაზე მეტად პირველ ხანებში უჭირდა. მისთვის ბევრჯერ მიუყენებიათ სიტყვიერი შეურაცხყოფა: „ორ თვეზე მეტია აქ ვარ. ძალიან მიჭირს შეგუება იმ სიბინძურესთან, რომელიც აქ, ამ კარვებშია. ბევრი ვერ მიტანს. ზოგი ბისექსუალია, ვიცნობ ერთი-ორს, ვისაც უნდა ჩემთან რაღაც და არ გამოსდის. დორიან გრეი არ ვარ, მაგრამ ამათ მაინც ვჯობივარ. სამაგიეროდ, კოორდინატორებთან კარგი ურთიერთობა მაქვს. უფროსებით კმაყოფილი ვარ. ძალიან კარგი კაცია ზურა [ისაკაძე], მაგრამ უფულობას და იმას, რომ აქედან ხშირად ვერ გავდივარ ტირილამდე მივყავარ. ძალიან ხშირად მაქვს სტრესი. რატომ უნდა ვიყო ასე?“

ბექას კარავში, ისევე როგორც ყველა დანარჩენ კარვებში, ექვსი ორსართულიანი საწოლი დგას და რვა ადამიანი ცხოვრობს. შუქი მხოლოდ ერთი პატარა ღრიჭოდან შემოდის. არეულობაა და აქეთ-იქიდან მოხუცების კვნესა ისმის. ბექას საკუთარი შემოსავალი არ აქვს: „კარვის პირობებში მუშაობა შეუძლებელია. არ მაქვს საშუალება, თავს ისე მივხედო, რომ სამსახურში წავიდე – ტანსაცმელი მქონდეს ან ფორმაში ვიყო. ნორმალური პირობები რომ მქონდეს, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი“.

საქმე ის არის, რომ მოსკოვის გამზირის ბანაკებში საველე პირობებია. ბანაკის სხვა წევრებიც ამბობენ, რომ უკიდურესად რთულია ადამიანმა სამსახური იშოვო და იქ შესაბამის ფორმაში მიხვიდე, რადგან ჭირს ჰიგიენის დაცვა, რეჟიმის შენარჩუნება, წვიმასთან გამკლავება.

დევნილებთან სკოლაში

მარი კაიშაური, 34 წლის ფსიქოლოგი/ქორეოგრაფი/ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტი – ლესბოსელია. ის მეგობრებისა და ნაცნობების დიდ წრეში ყოველთვის „გენდერ-ნეიტრალურად“, მისი სიტყვებით კი, „სრედნი როდად“ ახდენდა თავის იდენტიფიცირებას.

მარი კაიშაურს დედა სამი წლის წინ გარდაეცვალა. მან ინსულტი გადაიტანა. რვა თვის განმავლობაში მკურნალობა ძალიან ძვირი დაუჯდა. ყველაფრის გაყიდვა მოუხდა. ბოლოს იპოთეკაში ჩადებული ბინა ჩამოართვეს.

ამბობს, რომ მისი, როგორც ლესბოსელის დევნა 17 მაისის აქციის დარბევის შემდეგ დაიწყო. იმ პერიოდში ქალაქის ცენტრში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მას ამ ბინის დატოვებაც მოუხდა, რადგან დევნიდნენ აქციაში მონაწილეობის გამო. ნაქირავები ბინის პატრონი მრავალგზის იღებდა სახლის გადაწვის მუქარებს, რადგან სახლს ჰომოსექსუალ ადამიანს უთმობდა. ამიტომ სახლის პატრონმა მას ბინის დატოვება სთხოვა. ამის შემდეგ დიდი ხანი ვერ ქირაობდა ბინას და თვეების განმავლობაში მეგობრებთან რჩებოდა: „17 მაისის შემდეგ საერთოდ არ მაძლევდნენ ბინას ჩემი ვიზუალის გამო. ეჭვით მეკითხებოდნენ ვისთან ერთად ვაპირდებდი ცხოვრებას“.

ამჟამად ის მეთხუთმეტე საჯარო სკოლაშია „შეჭრილი“, სადაც დევნილთა 50-მდე ოჯახი ცხოვრობს. რვა თვეა უკვე აქ არის. შეჭრისთანავე იქ მცხოვრებ დევნილებს მის მიმართ

აგრესია გაუჩნდათ : „ჯერ ის მომენტი იყო, ქალი ხარ, კაცი ხარ, რა ხარ?“ – ხსნის კაიშაური. ამბობს, რომ ისინი ნელ-ნელა შეაგუა თავის ნეიტრალურ გენდერს და ორიენტაციას. სკოლაში მას ხალხი თბილად ხვდება და ესალმება: „ეს ახლა, -ამბობს ის, – მანამდე ჩემს კარს ცეცხლი წაუკიდეს“.

როდესაც თავშესაფარში მივიდა მცხოვრებლებმა უთხრეს, რომ იქ მისნაირისთვის ადგილი არ იყო. თუმცა კაიშაური არ წამოსულა და რამდენიმე ხნით მოცდა არჩია. მას განსხვავებული ადამიანის მოსვლით გაღიზიანებული სამი მცხოვრები დახვდა და ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდა: „ხელი არ მომხვედრია, სულ წიხლით მცემეს, – ამბობს სიცილით, – შობის წინა დღეები იყო, 2015 წელი. ორი კაცი და ერთი ქალი იყვნენ. სანამ გახურებული ვიყავი ტკივილი ვერ ვიგრძენი. პოლიციაში რომ გადაგვიყვანეს, იქ ვეღარ გავიარე. რამდენიმე დღე საავადმყოფოში, შემდეგ კი სკოლა/თავშესაფარში თითქმის ერთი თვე ვიწექი“.

მარი კაიშაური სკოლის ოთახში კატასთან ერთად ცხოვრობს. ორი დივანი, ერთი საწოლი და სამზარეულოს მცირე აღჭურვილობა მისი მიტანილია.

„ნელ-ნელა სიტუაცია დალაგდა, რადგან სახალხო დამცველის აპარატი დამეხმარა. თეორიულად ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ მათი ავტორიტეტი გამომადგა. შევიტანე განაცხადი ამ ყველაფერთან დაკავშირებით და ყურადღება მოვითხოვე. მანამდე პოლიციასთან საუბარს აზრი არ ჰქონდა. მათ განაცხადი შინაგან საქმეთა სამინისტროში გადააგზავნეს და ისინი (პოლიციელები) უცებ ტოლერანტულები, შემწყნარებლები გახდნენ... მათი (სახალხო დამცველის) ჩარევა რომ არა, შეიძლება პოლიციას საცხოვრებლიდან გამოვეგდე, იმხელა ზეწოლა იყო ჩემზე. შეიძლება არავინ გამოგაგდოს, მაგრამ ისეთებს გეტყვიან, თვითონ გამოხვალ. პოლიციისთვის არ დამიმალავს რომ ლესბი ვარ, ამის გამო მათ ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინეს. ადამიანს, რომელსაც არ აქვს სახლი და არის გეი უკიდურესად დაჩაგრულია. ბულინგის მსხვერპლი ხდება ყველასგან. ახლა აქ ჩემი ცხოვრება კარგად მიდის. ზოგიერთი აქ მცხოვრები მართლა ძალიან საყვარელია. ყველას ერთ ქვაბში ვერ მოვხარშავ. ჩემ გვერდით დადგომა შესაძლებელია ჩემმა ცემის ფაქტმა განაპირობა, – „ქალზე ხელი როგორ ასწიეს?“ – ყველას გაუკვირდა. ამ საქმეზე კი გამოძიების პროცესი მიმდინარეობს.

ქუჩაში და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში

ცხადია, თავშესაფარში ცხოვრება და ჰომოორიენტაცია ჰქმნის ნაზავს, რომელზე ღიად საუბარსაც ცოტა თუ ბედავს. 23 წლის ნინომ (სახელი შეცვლილია) ანონიმურად ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა განსაკუთრებული სირთულეები ახლავს თავშესაფარში ცხოვრებას, როდესაც ახალგაზრდა, უსახლკარო და ლესბოსელი ხარ.

ძმისთვის არასდროს უთქვამს, რომ ლესბოსელია, მაგრამ ძმა მას ეჩხუბებოდა ჩაცმის სტილისა და შეხედულებების გამო. მის წინაშე შეგნებულად აგინებდა ლგბტ თემს, ღიად ეუბნებოდა, რომ ეჭვი ჰქონდა მასზე. ემუქრებოდა – „ბარემ ისიც მითხარი, რომ გოგოები მოგწონს და დღესვე მოგკლავ!“ სხვა არჩევანი აღარ ჰქონდა – სახლიდან წამოვიდა.

რამდენიმე თვის განმავლობაში ღამეებს ან გარეთ ათევდა, ან სხვადასხვა მეგობართან რჩებოდა რამდენიმე ხნით. როდესაც ვინმესთან უწევდა დარჩენა, ყოველთვის შეჰქონდა თავისი წილი სახლის ბიუჯეტში: „ჩემი მეგობრებისთვისაც სასარგებლო ვიყავი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დავრეკავდი. ფული როცა არ მქონია, არც დამირეკავს“.

ღია ცისქვეშ ღამე დარჩენა ბევრად რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა: „ვიფიქრე, რა მოხდა, ფეხით სიარული მიყვარს, თან მუსიკას მოვუსმენ-მეთქი... აი, სიცივე რომ აგიტანს, თან ქარი რომ ქრის და თან რომ გეძინება... ვეცადე წამოვწოლილიყავი, მაგრამ გავიყინე. სიარული დავიწყე, მაგრამ მანქანები მიჩერებდნენ და მძღოლები ჩაჯდომას მთავაზობდნენ“.

1 თვის განმავლობაში ელოდა ძალადობის მსხვერპლის სტატუსს. შემდეგ კი 2014 წლის ზაფხულში, სამ-ნახევარი თვის განმავლობაში იცხოვრა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში. იქ ცხოვრებამ დეპრესიული ფონი გაუძლიერა. თავშესაფარში ასაკით ყველაზე პატარა იყო, დანარჩენები, საშუალოდ 40 წლის ან უფროსი ქალები იყვნენ, რომლებიც ქმრების მსხვერპლნი გახდნენ. მართალია, მხოლოდ ორ ადამიანს უთხრა, რომ ლესბოსელია, მაგრამ იცოდა, რომ მთელი თავშესაფარი მის ზურგსუკან მას ლანძღავდა, რამაც მისი თავშესაფარში ცხოვრება გაუსაძლისი გახადა.

როდესაც ლგბტ ადამიანები თავშესაფრის მაძიებელნი ხდებიან, დაახლოებით მსგავს მძიმე გამოცდილებას იზიარებენ.

მისი, როგორც ლესბოსელის დევნა 17 მაისის აქციის დარბევის შემდეგ დაიწყო. იმ პერიოდში ქალაქის ცენტრში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მას ამ ბინის დატოვებაც მოუხდა, რადგან დევნიდნენ აქციაში მონაწილეობის გამო. ნაქირავები ბინის პატრონი მრავალგზის იღებდა სახლის გადაწვის მუქარებს, რადგან სახლს ჰომოსექსუალ ადამიანს უთმობდა. ამიტომ სახლის პატრონმა მას ბინის დატოვება სთხოვა. ამის შემდეგ დიდი ხანი ვერ ქირაობდა ბინას და თვეების განმავლობაში მეგობრებთან რჩებოდა: „17 მაისის შემდეგ საერთოდ არ მაძლევდნენ ბინას ჩემი ვიზუალის გამო. ეჭვით მეკითხებოდნენ ვისთან ერთად ვაპირდებდი ცხოვრებას“.

მედია მონიტორინგის ექსპერტსაც კი გაუჭირდება გაიხსენოს, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ, პოლიტიკოსს საჯარო გამოსვლისას წარმოთქვამს სიტყვები – „გეი“, „ლესბოსელი“, „ტრანსგენდერი“, და მით უმეტეს „ბისექსუალი“ (სექსუალური ორიენტაცია, რომელიც არასერიოზულობად, გარყვნილებად, ჩამოუყალიბებლობად, სიხარბედ განიხილება). შეიძლება ითქვას, რომ თუ ვერ აგინებენ, მაშინ არც აინტერესებთ – შესაბამისად, ლგბტ პრობლემები ძალიან შორს დგას ქვეყნის რომელიმე სახალხო პოლიტიკის ნანილად ქცევისგან.

სტატუსები და პროცედურები

არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ სოციალური მუშაკი, ქეთი ხუციშვილი ამბობს, რომ გეი ახალგაზრდას ოჯახიდან წამოსულის შემდეგ რამდენიმე ვარიანტი აქვს: გახდეს უსახლკარო; იცხოვროს მეგობართან, შეეგარებულთან; ან იძულებით გაიწიოს პარტნიორი, რომლის ჭკრქვეშაც იცხოვრებს. უსახლკაროდ დარჩენის შემთხვევაში ადამიანს თავშესაფარში მისვლა უხდება. „იდენტობას“ ლგბტ ადამიანების უსახლკარობის, სახლიდან გამოგდების ან წამოსულის რაოდენობის შესახებ სტატისტიკა არ აქვს. მაგრამ ქეთი ხუციშვილის თქმით, წელიწადში მათ ორგანიზაციას მსგავსი პრობლემით საშუალოდ ათი გეი მიმართავს. რა თქმა უნდა, დიდი ალბათობით ეს რიცხვი ათზე ბევრად მეტია. „იდენტობის“ გეითავშესაფრის მაძიებელი ბენეფიციარებიდან ნელინადში საშუალოდ ორი „უსახლკაროა“, ხოლო დანარჩენი რვა – „ძალადობის მსხვერპლი“. სტატუსის მიხედვით „იდენტობა“ მათ თავშესაფრებში ამისამართებს. უსახლკარო ადამიანი მოსკოკის გამზირზე განლაგებულ კარვებში მისამართდება. არსებობს „ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარიც“, სამწუ ის გახლავთ, რომ „ძალადობის მსხვერპლი“ უნდა იყოს ძალადობის ადგილას, ძალადობის წყაროსთან, იქ, სადაც მასზე ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ზნეხია. ნინააღმდეგ შემთხვევაში, პირი ამ კატეგორიაში ვერ შეა. „უსახლკაროს“ სტატუსს „ძალადობის მსხვერპლის“ სტატუსი სჯობს, რადგან ამ სტატუსის მფლობელები უფრო კეთილმოწყობილ თავშესაფარში ცხოვრობენ.

„ძალადობის მსხვერპლის“ სტატუსის ყველაზე სწრაფად მიღება შემაკავებელი ორდერის გაცემის შემდეგაა შესაძლებელი. ქეთი ხუციშვილს მაგალითად მოჰყავს გეი, რომელსაც რამდენიმე კვირის წინ მამა მოკლეთი ემუქრებოდა. შესაბამისად, პოლიციამ შემაკავებელი ორდერი გასცა და პირი „იდენტობამ“ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში გადაიყვანა. სამაგიეროდ, დამცავი ორდერის გაცემისა და სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის პროცედურებმა შეიძლება დიდი დრო ნაიღოს – ამიტომ ახალგაზრდა ძალადობის წყაროსთან ხანგრძლივად დარჩენას რისკავს.

ლგბტ – საქართველოს სახალხო პოლიტიკის გერი

საქართველოში დემოგრაფიის ლგბტ სეგმენტს არასამთავრობო ორგანიზაციები „მშობლობენ“. ცალკე საკითხია – როგორ. იქნებ „შეილობილი“ სეგმენტის ინტეგრირების ნაცვლად მათი მარგინალიზება მოახდინეს; ან კამპანიები სწორად ვერ წარმართეს; ან არასამთავრობოების ვალი იმ დრამატული მიდგომების გაქარწყლება იყო, რომელიც საზოგადოებას ჰომოორორნებაციის ადამიანების მიმართ აქვს. მათ კი დრამა უფრო გაამძაფრეს და გაუცხოება გააღვივეს. მაგრამ უდავოა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ლგბტ ადამიანებისთვის მრავალი ღონისძიება და სხვადასხვა სამუშაო შეასრულეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ პროექტებს შორის იყო თავშესაფრის გახსნა, რომელიც მათ უსახლკარო ბენეფიციარებს (უმეტესად გეი ადამიანებს) ჭერს მისცემდა და ძირითად ადამიანურ მოთხოვნილებებს დაუკმაყოფილებდა. გაჩნდა შანსი ლგბტ უსახლკარო ადამიანების დაბინავებისა და მათთვის სიძულვილისა და ძალადობის არიდებისა, რომელთაც ისინი ოჯახში, ქუჩაში და თავშესაფრებში ანყდებიან. პროექტი არ განხორციელდა. დავით სერგეენკომ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა მიიჩნია, რომ „იდენტობა“ ვერ შეძლებდა თავშესაფრის სტანდარტების დაკმაყოფილებას. ასევე, საპატრიარქოს პრესსამსახურმა განაცხადა, რომ „იდენტობა“ ახალგაზრდობის გარყვნას აპირებდა. ამ განცხადების შემდეგ პოტენციური თავშესაფრის მეზობლად მცხოვრებლებმა მრავალგზის დარეკეს „იდეონგობაში“ და მუქარის ტონით აუწრძალეს მათ თავშესაფრის გახსნა.



მარი კაშაური თავის კატასთან ერთად თბილისის N 15 სკოლის საკლასო ოთახში ცხოვრობს.

ანალოგიური ისტორია ჰქონდა ლგბტ ადამიანების ორგანიზაციის „თეთრი ფრთების“ ინიციატივასაც, რომელიც ლგბტ ადამიანებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევას ისახავდა მიზნად. ორგანიზაციის ოფისის გახსნის წინააღმდეგ ისევ მეზობლები გამოვიდნენ. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნინო ლომთათიძე ამბობს, რომ ორგანიზაციის ოფისის გახსნის წინააღმდეგ მეზობლების გამოსვლის შემდეგ ორგანიზაციის ოფისის გახსნის ინიციატივა ჩაიშალა.

ლგბტ ადამიანების ორგანიზაციების ლიდერები ამბობენ, რომ ლგბტ ადამიანების ორგანიზაციების ოფისების გახსნის წინააღმდეგ მეზობლების გამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ლგბტ ადამიანების ორგანიზაციების ოფისების გახსნის ინიციატივა ჩაიშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალები ეკონომიკური თავისუფლების ბზაზე

თათია ხალიანი

ფოტო: ლ. ბერიძე

„დღეს ჩვენი საუბარი ერთდროულად გასაოცარი და სევდიანია, რადგან ვსაუბრობთ ბუნებრივ ჭეშმარიტებებზე – არ შეიძლება დისკრიმინაცია, ძალადობა, ქალებს უნდა ჰქონდეთ ისეთივე ანაზღაურება, როგორც მამაკაცებს, ქალების უფლებები უნდა იყოს დაცული, ჩვენ უნდა ვიყოთ თანასწორნი.

რეალობა არც ისე სასიამოვნოა, ბევრი რამ გვაქვს გადასალახი.. გენდერული თანასწორობა რამდენიმე მიმართულებით მოგვიტანს სიკეთეს: ვიქნებით ის, ვინც ვართ, ვიქნებით იდენტური ჩვენი ეროვნული ღირებულებების არა ზოგადად დეკლარაციებით, არამედ ყოველდღიურობაში, ასეთი საზოგადოება ბევრად უფრო ძლიერია ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სოციალურად და ბევრად უფრო ეფექტურად ვითარდება“, – საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, გენდერული თანასწორობის 2015 წლის დაჯილდოების ცერემონიალზე.

თავდაპირველად რიგითი ბუღალტერი იყო. კომპანიაში მუშაობა 2008 წელს დაიწყო. ოცწლიანი გამოცდილების მქონე კომპანია ენერგეტიკის სფეროში საქმიანობს. უწყვეტი შუქის მიწოდება სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის – საავადმყოფოები, ბანკები, სტრატეგიული დაწესებულებები, კერძო პირები, ვისაც მუდმივი დენის წყარო სჭირდებათ – ამ საქმიანობის მართვა მაია ლალიაშვილმა წლების შემდეგ შეძლო. ბუღალტრობიდან ფინანსური პროექტების მენეჯერი, შემდეგ კი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი გახდა.

„სტიგმა რომ ენერგეტიკის სფერო მამაკაცების საქმეა, ჩვენმა კომპანიამ დაამსხვრია“, – ამბობს მაია. გენერალური დირექტორის გარდა, კომპანიის მმართველ რგოლში ყველა ქალია – აღმასრულებელი დირექტორი, მისი მოადგილე, დირექტორთა საბჭოს თავჯდომარე, მთავარი ბუღალტერი. დანარჩენ პოზიციებზე ძირითადად კაცები არიან დასაქმებული. გენდერული ბალანსი დაცულია.

კომპანიამ მაია ლალიაშვილის ხელმძღვანელობით საუკეთესო ინოვაციური გენდერული პოლიტიკისთვის 2015 წელს გენდერული თანასწორობის ჯილდო მიიღო. კომპანია ხელს უწყობს ქალების დაინტერესებას ენერგეტიკის სექტორით. ასევე, აქვს სპეციალური ტრენინგები ქალი ინჟინრებისთვის.

კარიერულ საფეხურზე ასვლა არც ნუცა აბრამიშვილისთვის ყოფილა ადვილი. გერმანულ-ქართული კომპანია, რომელიც ძირითადად სოფლის მეურნეობის დარგში მუშაობს, საქართველოში 2009 წლიდან არსებობს. ბიზნეს-განვითარების მენეჯერის პოზიციიდან მარკეტინგში გადაინაცვლა, ამჟამად კი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია.

კომპანია აწარმოებს ღვინოს და სხვადასხვა ქვეყანაში საექსპორტოდ აგზავნის. ამბობს, რომ ყველას უკვირს, რადგან მეღვინეობაში ქალი იშვიათობაა.

„კომპანიაში ქალები ჭარბობენ, თუნდაც ვენახებში მუშაობის დროს. სოფლებში ზოგადად მიწის სამუშაოებზე, მევენახეობაში ბევრი ქალია ჩაბმული. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩვენი განსაკუთრებული გენდერული პოლიტიკის შედეგია. ჩვენ ვართ დასავლური კომპანია, მუშაობის პრინციპები და მექანიზმები აგებულია დასავლურ სტანდარტებზე, შესაბამისად, ხელს ვუწყობთ ქალებს და ვიცავთ გენდერულ ბალანსს“, – ამბობს ნუცა აბრამიშვილი.

წელს ნუცა საუკეთესო მეწარმე ქალი გახდა. ამბობს, რომ ეს მისთვის არის მოტივაცია და პასუხისმგებლობა, რომ მთელი წლის განმავლობაში საუკეთესოს სტატუსი გაამართლოს, რაც მთავა-

რია დაეხმაროს კომპანიის ქალ თანამშრომლებს პროფესიულ განვითარებაში.

გენდერული თანასწორობის კონკურსი გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში უკვე მეოთხედ ჩატარდა. კონკურსი საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ეგიდით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით მოეწყო.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ როგორც ქართულ და უცხოურ კომპანიებს, ისე სახელმწიფო უწყებებს. სპეციალური ჯილდო გენდერული თანასწორობისთვის საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს გადაეცა. ხოლო ჯილდო გენდერული ბალანსისთვის აღმასრულებელ დონეზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა მიიღო.

გაეროს განვითარების პროგრამის გენდერული თანასწორობის პროექტის მენეჯერი ქეთი მახარშვილი ამბობს, რომ თავდაპირველად ჯილდო მხოლოდ საჯარო სექტორისთვის იყო გათვლილი, მოგვიანებით კი იმისათვის, რომ თემით დაინტერესება გაზრდილიყო, კერძო სექტორიც ჩაერთო. კონკურსის მთავარი მიზანია როგორც საჯარო უწყებების, ისე კერძო კომპანიების წახალისება, რომ მათ მეტად მიმართონ თავიანთი შიდა სტრუქტურული პოლიტიკა გენდერული თანასწორობისკენ.

„ერთი მხრივ გენდერულად ნეიტრალური კანონმდებლობა გვაქვს, მაგრამ ეს პრაქტიკას არ ცვლის. ყველა ადამიანს აქვს შრომის უფლება, მაგრამ გამოცდილება სხვას გვაჩვენებს – ვისი შრომა უფრო მეტად დაფასებულია ქალის თუ კაცის. იგივე საკანონმდებლო დონეზე შეიძლება ჩაიწეროს, რომ ქალსა და კაცს თანაბარი ანაზღაურების მიღების უფლება აქვთ, ამის ხაზგასმა უკვე ბევრს ნიშნავს. ადამიანები ამაზე ფიქრს იწყებენ“, – ამბობს ქეთი მახარშვილი.

იმას, რომ შრომით ბაზარზე ქალებისა და მამაკაცების ანაზღაურება განსხვავებულია, არაერთი კვლევა ადასტურებს.

2014 წლის 9 თვის მონაცემების მიხედვით, ქალების საშუალო ხელფასი კაცების ხელფასზე დაახლოებით 39%-ით ნაკლები იყო. ხოლო ბოლო 6 წლის განმავლობაში საქართველოში დასაქმებული ქალები ყოველთვიურად საშუალოდ 318 ლარით ნაკლებს გამოიმუშავებენ, ვიდრე მამაკაცები.

გაეროს განვითარებოს პროგრამის მხარდაჭერით, 2013 წელს კვლევა მომზადდა, რომლის მიზანი იყო საზოგადოების დამოკიდებულებების შესწავლა პოლიტიკასა და ბიზნესში ქალების მონაწილეობის შესახებ.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მყარია ტრადიციული შეხედულებები გენდერულ როლებზე: ქალის ფუნქციაა შვილების მოვლა და აღზრდა, საშინაო საქმეების კეთება, ხოლო კაცის – ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფა. გამოკითხულთა 50% მიიჩნევდა, რომ ზოგადად მამაკაცს უფრო სჭირდება სამსახური. მხოლოდ 3% თვლიდა, რომ სამსახური ქალს უფრო სჭირდება. ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რესპონდენტთა 48% მიიჩნევდა, რომ მამაკაცს უფრო მეტი ანაზღაურება სჭირდება დასაქმებისას, მაშინ როდესაც ქალისთვის უფრო მაღალი ანაზღაურების საჭიროებას გამოკითხულთა მხოლოდ 2% ხედავდა.

ქალების გააქტიურებას ბიზნესსა და მმართველო პოზიციებზე ერთ-ერთ პრიორიტეტად მოიაზრებს თავის სტრატეგიაში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD). ყოველწლიურ ბიზნესფორუმზე, რომელიც წელს თბილისში ჩატარდა, ერთ-ერთი სადისკუსიო პანელი სწორედ კერძო სექტორში ქალების მონაწილეობის გაზრდას მიეძღვნა.

„ცვლილებები მართვაში – გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული პრაქტიკა ბიზნესში“ – ამ სახელწოდების შეხვედრას ადგილობრივი და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები ესწრებოდნენ, სპეციალურად ამ სადისკუსიო პანელის მოდერატორად BBC-ის ბიზნესრეპორტიორი ტანია ბეკეტი იყო მოწვეული. დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე მარიამ ვალიშვილი, „Credit Suisse“-ის საინვესტიციო საბანკო განყოფილების მმართველი დირექტორი ჯულია დოუსონი და „Obelisk Legal Support Solution“ დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი დანა დენის სმიტი.

ქალებმა ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებებზე, ქალების როლზე მმართველ პოზიციებზე საჯარო თუ კერძო სექტორში. ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მარიამ ვალიშვილმა ხაზი გაუსვა კულტურული შეხედულებებისა და დამკვიდრებული სოციალური როლების მნიშვნელობას. მან საქართველოს მაგალითზე აღნიშნა იმის შესახებ, რამდენად დიდ დაბრკოლებას უქმნის საქმიან ქალებს კარიერული წარმატების მიღწევაში ის ფაქტი, რომ ოჯახში შრომა არათანაბრადაა განაწილებული.

მსოფლიო ბანკი/IFC -ის, ბიზნესისა და სამართლის 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში არ არსებობს კანონი ან კონსტიტუციური დებულება, რომელიც დამსაქმებელს თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების გადახდას ავალდებულებს. ასევე არ არსებობს კანონები, რომლებიც სამუშაოზე აყვანის დროს არადისკრიმინაციულ გენდერულ პრაქტიკას განსაზღვრავენ.

UNDP

Empowered lives.
Resilient nations.

სტატია მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო კოტეშან ღვედაშვილი

– როცა ბავშვებს ღვიძავთ, მსჯავრდებული ქალები ეზოში იკრიბებიან, შვილები თამაშობენ, დედები – საუბრობენ

სიხის შვილები

ციხე ის ადგილია, სადაც ყველაზე ნაკლებად წარმოგიდგენიათ რამდენიმე თვის ჩვილის ან თუნდაც ახალფეხადგმული ბავშვის ყოფნა. მაგრამ ქალთა სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში დღეს ხუთი სამ წლამდე ბავშვი და ერთიც ორსული გოგო ცხოვრობს. ქალი მსჯავრდებულებისთვის ბავშვის ყოლა ერთგვარი პრივილეგიაა, რადგან ისინი განსხვავებულ პირობებში ცხოვრობენ. თუმცა სამი წლის ასაკში ბავშვები დაწესებულებას ტოვებენ და ცხოვრებას დედის გარეშე აგრძელებენ.

ქეთევან ღვედაშვილი

რუსთავში, ქალთა №5 დაწესებულების რამდენიმესართულიანი კორპუსებისგან განცალკევებით ერთსართულიანი შენობა დგას. მის წინ, პატარა ეზოში დადგმული საქანელით, ფერადი სკამებითა და კარუსელით ადვილად მიხვდებით, რომ ამ შენობაში ბავშვები ცხოვრობენ.

ერთსართულიან, მწვანედ შეღებილ შენობაში საერთო სამზარეულოსა და მისაღების გარდა, დედებისა და ბავშვებისთვის კიდევ 12 ოთახია, თუმცა ამჟამად მხოლოდ ექვსი მათგანია დაკავებული.

ფერადი კედლები, ბევრი სათამაშო, ბავშვების ჟრიამული – დედათა და შვილთა საცხოვრებელში ყოფნისას ცოტა ხნით გავიწყდება, რომ ციხეში ხარ. მხოლოდ გისოსებია ფანჯრებზე.

დედას და ბავშვს ნახატებიანი შპალერით გაფორმებული ერთი საძინებელი და აბაზანა აქვთ. ოთახები თითქმის ერთნაირია – დედისა და ბავშვის საწოლები, პატარა კარადები ტანსაცმლისა და ბავშვის მოსავლელად საჭირო ნივთებისთვის, კედელზე გაკრული ხატები, სათამაშოები...

მსჯავრდებული დედების მოლოდინში საცხოვრებლის მისაღებ ოთახში შევდივართ. სხვა ოთახების მსგავსად, მასაც ფერადი, ნახატებიანი კედლები აქვს. ოთახში ბავშვის სკამი, საქანელა, მანეჟი, მაგიდა და სკამები დგას. აქ მსჯავრდებული დედები ბავშვების დაძინების შემდეგ იკრიბებიან, ტელევიზორს უყურებენ და სხვადასხვა თემებს განიხილავენ.

ოთახში შორენა (სახელი შეცვლილია) შემოდის. მის წლისა და სამი თვის გოგონას ახლა თავის ოთახში სძინავს. შორენა ფეხმძიმე დააკავეს. ეს მისთვის სტრესული აღმოჩნდა, საკნის რკინის კარს მიღმა, დაწესებულებაში, პატარა ბავშვთან ერთად ცხოვრება ვერ წარმოედგინა.

„აქ რომ გადმოვედი, ისეთი შეგრძნება მქონდა, ჯოჯოხეთიდან სამოთხეში რომ გადაგიყვანონ“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბრისას შორენა.

დედათა და ბავშვთა საცხოვრებელში გადმოსვლით მისი ცხოვრება მნიშვნელოვნად შეიცვალა. ბავშვის დაბადების შემდეგ შორენა მთლიანად ბავშვის მოვლითაა დაკავებული. პატიმრის დილა ცხრის ნახევარზე, თავისი გოგონას გაღვიძებით იწყება. პატარას მოწესრიგება, საჭმლის მომზადება, გარეთ გასეირნება და თამაში, ძილი. გაღვიძების შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება – ასეთია შორენას ციხის ცხოვრების ყოველდღიურობა.

„ორი წელია, რაც სასჯელს ვიხდი და ბავშვის მოვლასა და ზრუნვაში ეს პერიოდი ისე გავიდა, ვერც კი გავიგე. ბავშვების მოვლაში ფიქრისთვისაც აღარ გვრჩება დრო“.

ყველაზე მეტად შვილთან განშორებაზე ფიქრი აწუხებს. გოგონა 2017 წლის აპრილში სამი წლის გახდება და კანონის თანახმად, დაწესებულებას დატოვებს. თვითონ კი, ციხეში დარჩენა კიდევ 4 წლითა და 3 თვით მოუწევს.

შორენას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მისი გოგონა ჯერ ვერ იაზრებს, სადაა, საცხოვრებლის გარეთ, ბიბლიოთეკაში ან დაწესებულების სხვა ნაწილში გასვლის შემთხვევაში ბავშვს ჰგონია, რომ სხვაგან მიდის და უჩვეულო რეაქცია აქვს.

საუბრის დასასრულს ოთახში პატარა ბიჭუნასთან ერთად მაია შემოდის. ის 2014 წლის 11 სექტემბერს დააკავეს. ამ დროს უკვე 6 თვის ორსული იყო და დაკავება მისთვის კიდევ უფრო სტრესული აღმოჩნდა. თუმცა ამბობს, რომ ბავშვთან ყოფნა და დაწესებულებაში არსებული ოჯახური გარემო მას ციხეს ავიწყებს.

მაიას და მისი შვიდი თვის ბიჭის დილა 10-ის ნახევარზე იწყება. ბავშვის მოწესრიგება, ჭამა, მერე ისევ ძილი, სეირნობა – მაია მთლიანად ბავშვზეა გადართული და ციხეში ყოფნას ვერც კი იაზრებს.

სასჯელის მოხდამდე 1 წელი და 2 თვე დარჩა. თუმცა დაწესებულების ვადაზე ადრე დატოვების იმედი აქვს, რადგან დედა-შვილს C ჰეპატიტი აქვთ. გარდა ამისა, მას გარეთ 15 წლის მეორე შვილი და 80 წლის დედა ელოდებიან. ამაზე მაიას ცრემლების გარეშე საუბარი უჭირს. გეგმებიც უკვე დაწყობილი აქვს. დაწესებულების დატოვების შემდეგ მცირე საოჯახო ბიზნესს ჩაუდგება სათავეში.

ქალთა №5 დაწესებულების ფსიქოლოგი თამთა სხილაძე იმ მიზეზებს განმარტავს, რის გამოც ბავშვებისთვის დედებთან ყოფნა აუცილებელია. მისი თქმით, 3 წლამდე ბავშვებსა და დედებს შორის უპირობო მიჯაჭვულობა არსებობს. ამ ასაკის მერე კი ისინი სამყაროს შეცნობასა და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის ძიებას იწყებენ. სამი წლის შემდეგ დაწესებულების დატოვებაც სწორედ ამიტომაა აუცილებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში უდანაშაულო ბავშვს დედასთან ერთად მოუწევს სასჯელის მოხდა.

„3 წლიდან ბავშვის გონება იმდენად ჩამოყალიბებულია, უკვე სამყაროს შეცნობას იწყებს. მისთვის ეს გარემო სტრესულია. მართალია, დედასთან განშორებაც დიდი სტრესია, მაგრამ როცა გაიაზრებს, რომ ჩაკეტილ სივრცეშია და აქ პოლიციური რეჟიმია, ეს მისთვის კარგი არ არის“.

გარდა ამისა, სამი წლიდან ბავშვებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მოთხოვნილება აქვთ, ციხეში კი ჩაკეტილ სოციუმში იმყოფებიან.

„ერთ-ერთი მსჯავრდებულის ბავშვი ხალხით სავსე ვაგონებს ხატავდა. ქვეცნობიერად ეს იმას ნიშნავს, რომ მას საზოგადოებასთან ურთიერთობა უნდა. თავისუფლების მოთხოვნილება ყველა ადამიანში დევს. კიდევ ერთი მსჯავრდებულის ბავშვი დედამ 2 წლის ასაკში ცოტა ხნით გაუშვა. უკან შემოყვანისას ბავშვმა იმდენად დიდი ტრავმა მიიღო, რომ დედამ დააბრუნა. მან არ იცის, რას ნიშნავს ციხე, მაგრამ ეს მისთვის ჩაკეტილი სივრცეა

საერთაშორისო მაბალითები

ევროკავშირის წევრი ქვეყნების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, იმ ბავშვების რაოდენობა, რომელთაც მშობლები ციხეში ჰყავთ, 800 000-ს აღწევს.

იტალია – თუ მსჯავრდებულ ქალს პატარა ბავშვი ჰყავს, მას მანამდე არ აპატიმრებენ, სანამ მისი შვილი 3 წლის არ გახდება. შინაპატიმრობას უსჯიან იმ ქალებს, ვისაც 10 წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს.

გერმანია – გერმანიაში არის ექვსი დახურული ტიპის ციხე, სადაც ბავშვებს 3 წლამდე შეუძლიათ დარჩენა. ასევე, ქვეყანაში არის 2 ღია ტიპის ციხე, რომელშიც ბავშვებს 6 წლამდე ტოვებენ.

ინგლისი და უელსი – 3 ღია ტიპის ციხე, სადაც 34 ბავშვიანი დედა ცხოვრობს. აქ ბავშვები 18 თვემდე რჩებიან. ასევე, ერთი დახურული ტიპის ციხე, 20 ადგილით, სადაც ბავშვები 9 თვემდე რჩებიან.

ფინეთი – ფინეთის ციხეებში ბავშვები 2 წლამდე რჩებიან.

და აქ ვიწრო წრესთან უწევს ურთიერთობა“, – ამბობს თამთა სხილაძე.

დაწესებულებაში მყოფი ორსული ქალები დედათა და ბავშვთა საცხოვრებელში ფეხმძიმობის 4-5 თვის პერიოდში გადაჰყავთ. იქ 9 თვემდე ექიმის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ არიან. სამშობიაროდ კი ქალაქის კლინიკაში გადაჰყავთ, საიდანაც უკან უკვე ბავშვთან ერთად ბრუნდებიან.

ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის თანახმად, ქალები ორსულობის, მშობიარობისა და პრენატალურ პერიოდში ყოველგვარი საჭიროებებით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი. ასევე, ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში მათ შესაბამისი საკვები უნდა მიეწოდოთ.

ქალთა №5 დაწესებულების დირექტორი ამბობს, რომ სპეციალურ საცხოვრებელში მყოფ დედებს ყოველგვარი საზრუნავი მოხსნილი აქვთ და მხოლოდ ის ევალებათ, რომ საკუთარი შვილებისადმი სითბო და დედური მზრუნველობა გამოიჩინონ.

მეძუძური დედებისთვის სპეციალური დიეტური საკვები მზადდება. ხელოვნურ კვებაზე მყოფი პატარებისთვის საჭმლით უზრუნველყოფაზე კი დაწესებულების სამედიცინო ნაწილი ზრუნავს. სწორედ ის უზრუნველყოფს მათ პამპერსებით, ჰიგიენური ნივთებით, მედიკამენტებით, ვიტამინებითა და სხვა საჭირო ნივთებით.

გარდა ამისა, კვირაში ერთხელ დედებს უმი საკვები ეძლევათ, რათა თავიანთ პატარებს საჭმელი სურვილისამებრ მოუმზადონ.

„ეს სახელმწიფოს კეთილი ნებაა, რომ მათ შვილთან დედობრივი დამოკიდებულება თუნდაც იმის გამო არ დაკარგონ, რომ ისინი ბრალდებულები ან მსჯავრდებულები არიან. გასაგებია, რომ ისინი კანონის წინაშე ვალდებულნი არიან, მაგრამ სახელმწიფო მათ დედობის უფლებას არ უზღუდავთ, პირიქით, ბავშვები რომ აცრებზე გაჰყავთ, დედებიც თან მიჰყვებიან“, – ამბობს ქალთა №5 დაწესებულების დირექტორი.

მისი ინფორმაციით, ყველა ბავშვს თავისი მასაჟისტი და დერმატოლოგი ჰყავს. თუკი დამატებით ექიმის ჩარევა გახდა საჭირო, დაწესებულების ექიმები პედიატრებს ქალაქის კლინიკებიდან იძახებენ.

ქალთა №5 დაწესებულების დირექტორი ამბობს, რომ ციხეში მყოფ პატარებზე შემდგომი ზრუნვა მათ პიროვნებად ჩამოყალიბებას ემსახურება. სწორედ ამიტომ უშვებენ ისინი მათ გარეთ 3 წლის შემდეგ. მისი თქმით, როგორი რთულიც არ უნდა იყოს დედისა და პატარისთვის, ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესს ემსახურება.

სად იცხოვრებს ბავშვი დაწესებულების დატოვების შემდეგ, ამას დედა თავად ირჩევს. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ბავშვებს 3 წლამდე მომხდარი ამბები არ ამახსოვრდებათ და შესაბამისად, ციხეში გატარებული დრო მათ მომავალ ცხოვრებაზე რაიმე გავლენას ვერ იქონიებს. ციხეში მყოფი პატარა დედისთვის ერთგვარი სტიმულია, რომელიც მშობელს ციხის ყოფას უმსუბუქებს, თავად კი დედასთან ყოფნის მოთხოვნილებას ივსებს. თუმცა არავინ იცის, როგორი იქნება მათი ცხოვრება დედასთან განშორების შემდეგ.

სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც იდენტობის ნაწილი

თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანია, რომელიც სოციალურ პროექტებს არ ახორციელებს. სოციალურ პასუხისმგებლობაზე ბოლო პერიოდში უფრო და უფრო ხშირად ვსაუბრობთ, რადგან ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტად საჭირო გახდა თანადგომა, მხარდაჭერა და დახმარება. თუმცა საქართველოში არსებობს კომპანიები, რომელთათვისაც სოციალური პასუხისმგებლობის თემა 13 ივნისს არ დაწყებულა. კომპანია „ავერსისთვის“ ქველმოქმედება დაარსების დღიდან იდენტობის ნაწილია. სტიქიის შედეგად დაზარალებულთა პრობლემების მოგვარებაშიც მთელი კომპანია ადამიანური და ფინანსური რესურსით ჩაერთო.

„სტიქიისგან დაზარალებულ ადამიანებს „ავერსის“ კლინიკაში დღემდე შეუძლიათ სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების უფასოდ მიღება. კომპანიამ 100 000 ლარი გადარიცხა. „ავერსელებმა“ კი გადავწყვიტეთ თანხა პირადადაც გაგვეღო და კიდევ 10 000 ლარამდე შეგვიგროვდა, ასეთ დროს დამატებით ეს თანხაც მნიშვნელოვანია“, – გვეუბნება ლალი ბრეგვაძე, „ავერსის“ რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელიც სტიქიის დღეებში გვერდიდან არ მოშორებია მოხალისეებს და პირბადეებითა და პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთებით ადგილზე ამარაგებდა მათ.

„ავერსი“, არა მხოლოდ სტიქიის, ომისა და გაჭირვების დროს, არამედ, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც თითოეული მოქალაქის გვერდით დგას. **„ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება. 2005 წლიდან დღემდე „ავერსი“ 3000-ზე მეტ ოჯახს დაეხმარა. არსებობს ისეთი ოჯახები, რომლებიც „ავერსისგან“ უკვე მერვედ და მეცხრედ იღებენ ფულად კომპენსაციას და ეს ჩვენ ყველას ძალიან გვახარებს, იმიტომ რომ ჩვენი წვლილი შეგვაქვს დემოგრაფიული განვითარების საქმეშიც“**, – ამბობს ლალი ბრეგვაძე.

„ავერსში“ ყოველდღიურად ასობით განცხადება შემოდის, თითოეულ მათგანს ავერსის დამფუძნებელი პაატა კურტანიძე პირადად ეცნობა და მაქსიმალურად ცდილობს, არცერთი ადამიანი არ დატოვოს უყურადღებოდ. იქნება ეს სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტები თუ ფინანსური მხარდაჭერა. ჩვენ ვცდილობთ დახმარება გავუწიოთ ყველას, ვისაც ამის საჭიროება აქვს“. ლალი ბრეგვაძე „ავერსის“ სოციალურ პროექტებს 2008 წლიდან ხელმძღვანელობს. თითოეულ პროექტზე სიამაყით საუბრობს და ამბობს, რომ უამრავია ისეთი პროექტიც, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდება, თუმცა ამ თემების აფიშირებას საჭიროდ არ მიიჩნევს: **„როდესაც არჩევნის წინაშე ვდგებით, დავაფინანსოთ რომელიმე პოპულარული ღონისძიება თუ, პირობითად, ერთი ოჯახი, რა თქმა უნდა, მეორეს ვირჩევთ, ჩვენთვის მთავარია ადამიანებმა იგრძნონ, რომ ჩვენ მათ გვერდით ვართ“**.

სოციალური პასუხისმგებლობა „ავერსისთვის“ ნიშნავს დააკმაყოფილოს საქმიანობის იმაზე მაღალი სტანდარტები, ვიდრე მას კანონით ეკისრება. გაითვალისწინოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები და საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებასა და პრობლემების მოგვარებაში. ზუსტად ამ პრინციპების მიხედვით, „ავერსი“ ყველა სფეროშია: ოლიმპიელების უფასო სამედიცინო მომსახურების პროექტი, მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლებაზე ზრუნვა, საპატრიარქოს უფასო სამედიცინო მომსახურების პროექტი, ვეტერანთა დახმარება, ვაუჩერები პენსიონერებისთვის, საქველმოქმედო სადილები კათარზისში, გასვლითი აქციები მაღალმთიან რეგიონებში, რომელიც მთაში მცხოვრები მოსახლეობის გამოკვლევა-გასინჯვას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

„ავერსის“ ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, თანამშრომლების კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. წარმატებული თანამშრომლები, ხელფასის გარდა, ყოველთვიურ და კვარტალურ პრემიებსაც იღებენ და კომპანიის მხარდაჭერას მაშინაც გრძნობენ, როდესაც ქორწინდებიან ან შვილს აჩენენ. **„მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის შეგრძნება აქვთ თანამშრომლებსაც ერთმანეთის მიმართ. ჩვენ შევქმენით ფონდი – „ავერსელები ავერსელებისთვის“. ფონდში ყოველთვიურად გარკვეულ თანხას ვრიცხავთ, რომლითაც შემდეგ იმ „ავერსელებს“ ვეხმარებით, რომლებსაც ეს თანხა ყველაზე მეტად სჭირდებათ“**.

კომპანია „ავერსი“ სოციალური პროექტების განხორციელებას მომავალშიც განაგრძობს. ჩვენ კი შემდეგ სტატიაში საქართველოში წარმოებულ საერთაშორისო ხარისხის პრეპარატებზე გიამბობთ.

„ავერსი“ გისურვებთ ჯანმრთელობასა და სულიერ სიმშვიდეს!

ავერსი
AVERSI

რეკლამა



ჩინიბზას შენიხლები

ვახო ხეთაგური

საბჭოთა პერიოდში თბილისის ცენტრალურ ნაწილში გარემოს დაცვითი, ეკოლოგიური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე სარკინიგზო მაგისტრალი აშენდა. სატვირთო და სამგზავრო მატარებლებმა თბილისის ცენტრში დაინყეს მოძრაობა. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ რკინიგზის ახლომდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ათასობით ადამიანი სამინელ ეკოლოგიურ და სოციალურ პირობებში ცხოვრობს.

2010 წელს თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის პროექტი დაიწყო, რომელიც 30 კმ. სიგრძის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობასა და 10 კმ. სიგრძის არსებული რკინიგზის რეკონსტრუქციას მოიცავს. პროექტის ავტორები ამბობდნენ, რომ ეს გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების პრობლემებს ნანილობრივ გადაჭრიდა, ხელმისანვდომს გახდიდა კომერციულად ღირებულ 73 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთს თბილისის ცენტრში, რაც სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკის გაუმჯობესებასა და ურბანულ განვითარებას შეუწყობდა ხელს. მაგრამ მას შემდეგ, რაც 2012 წელს საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ეს პროექტი ძველი და ახლანდელი ხელისუფლების ნარმომადგენელთა პოლიტიკური დაპირისპირების საგნად იქცა. ამიტომ პროექტი დღემდე შეჩერებულია. გარდა ამისა, პროექტის სანყის ეტაპზე ეკოლოგიური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებდა. შედეგად კი მივიღეთ უკანონოდ სახლებაზამორძმული და ადეკვატური კომპენსაციის გარეშე დარჩენილი ათასობით ადამიანი.

ფოტოპროექტის მიზანია იმ სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური გაელენის ჩვენება, რომელსაც თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი დედაქალაქის მცხოვრებლებზე ახდენს.



ვახო ძველი და ნახევრადდანგრეული სანყობის ერთ ოთახში ცხოვრობს. აქ მას შემდეგ მოხვდა, რაც რკინიგზის მშენებლობის დროს სახლი დაუნგრიეს და მესაბამისი კომპენსაციის გარეშე დარჩა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა











LOVE

სამკურნალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოვლითი რკინიგზის გასწვრივ მცხოვრები მამუკა ფეიქრიშვილი და მისი ოჯახი გამოსაკვებად ნანგრევებში ჯართს აგროვებენ. მამუკა იხსენებს, რომ ოდესღაც მუსიკოსი იყო და ამით შოულობდა ფულს, ახლა კი ის აღარავის სჭირდება.

ბიჭი ძველ ქართულ საფლავებთან, რომელზეც დღეს თბილისის შემოვლითი რკინიგზა გადის.







ბუჯინისტების დაისის ჰიჰას

პატარა ქალაქებს საბჭოთა დრომ ბევრი რამ იოლად ჩამოართვა. ეგებ არცა ჰქონდათ – ვერ გეტყვით. მე ასე მახსოვს, რომ წიგნის მაღაზია ერთი იყო და ასეც ეწერა: „წიგნის მაღაზია“. მერე იქ საპარიკმახერო გახსნეს. მერე ამ საპარიკმახეროში ერთი კანონიერი ქურდი დაჭრეს – ათწლიანი ინტერვალის ვენდეტა იყო მთელი პოეტური ინტეგრალებით. სიყვარული, ლოდინი, შურისძიება. მოკლედ. წიგნისა თუ რამე ეცხო იმ ადგილს მერე, მხოლოდ ეს ამბავი. უფრო სწორად – საწიგნე. საბოლოოდ კი იმას გეუბნებოდით – ძველი კვალი ოზურგეთში ლიტერატურით მოვაჭრეთა კომუნისტებმა წაშალეს. არც ვიცი-მეთქი, იყვნენ საერთოდ თუ არა. ალბათ უფრო – კი. უძველესი სკოლა იყო ქალაქში, აფთიაქი ჰქონდათ, ხალხი მიდი-მოდიოდა, რევოლუციებზე ფიქრობდნენ. წიგნის გამყიდველიც იქნებოდა.

გიორგი კეკელიძე

მე ედოს სახლზე მოგიყვებით. ეს კაცი ორი რამით განთქმულიყო. ბარემ სამით. სომეხი გახლდათ. თან ჩამოსული. პატარა ქალაქში სხვა ქვეყნის კაცი ხშირი საქმე როდია, ამიტომაც სიტყვათშეთანმხება „სომეხი ედო“ უფრო მკვეთრად ჟღერს, ვიდრე სადმე – თუნდაც თბილისში. ედო ტელევიზორებს აკეთებდა – „ლამპავოისაც“ და „პულტიანებსაც“. ეს უკანასკნელი დიდად იშვიათი ხილი იყო და ჟიულ ვერნობაც გამოგვდიოდა: იმ თვისებებს მივაწერდით, რაც რომ ახლა ჩვეულებრივი მოვლენაა: მაგალითად, გადაცემის გადახვევა უკან მაშინ არ შეეძლო, მაგრამ ხმებს ჩვენ ვავრცელებდით. ჰოდა,

ედო აკეთებდა. „ეფად“. იაფად. „ლამპავოი“ გვქონდა. ტაურასი. ტელევიზორს რომ თავში ურტყამ და ის მაინც ჯიუტად აფახულებს თვალებს, გამოსახულება არბი-ჩამორბის და შენ მაინც თავში ურტყამ და მერე უცებ ჩერდება, შენ ჯდები კმაყოფილი და მშვიდი, თუმცა საფრთხეები ზეპირად იცი: ორ-სამ წუთში ან შუქი წავა, ან ისევ აციმციმდება ეკრანი – ოთხმოცდაათიანი წლების მანიფესტი ეს გრძელი წინადადებაცაა.

ერთხელაც ცოტა ფული შეგროვდა – მანდარინით თუ თხილით, ეგ აღარ მახსოვს და ოჯახმა თქვა, ტელევიზორი გავაკეთოთო და ედოსთან წავიღეთ. არც მეტი, არც ნაკლები ხელის „კაჭკით“. ეს ცალკე თემაა, ტრანსპორტების განყოფილების და მერე. მოკლედ მივედით და იქ რომ სხვა დიზაინს ველოდი, ასეთი დამხვდა: კედელზე უშველებელი სურათები. ჰემინგუეის და სულხან-საბასი. უფრო პატარები – გურამ რჩეულიშვილი, ანა კალანდაძე და მგონი ნეკრასოვი. ზუსტად არ მახსოვს. და ძალიან ბევრი ვისოცკი. მარინა ვლადისთან ან გიტარასთან ერთად. ხოლო წიგნი – უამრავი. კარადებში. თაროებზე. მაგიდებზე სართულებაწეული. ეს აღმოჩნდა ედოს მესამე ნიშანი. გამოსარჩევი.

ედო წიგნებს აგროვებდა. გაყიდდა კიდეც, მაგრამ კლიენტი იშვიათად ჩნდებოდა. თუმცა ედოს გათვლით, ეს ყველაფერი ვალუტა იყო, დრო მოვიდოდა, ხალხს წიგნი მოშივდებოდა და ფასი დაედებოდა. ამიტომაც ედო ყიდულობდა – სულაც კაპიკებში ან რადიოს გაკეთების სანაცვლოდ – მსოფლიო პროზის ტომეულებს, ენციკლოპედიებს, დოსტოევსკებს, მაინ რიდებს, რევაზ ჯაფარიძეებს. ბერნანდო გიმარაენსაც კი. გსმენიათ ასეთი კაცი? განთქმული სერიალი მაინც გეცოდინებათ. იზაურა. ამ ავტორის ხელიდანაა. იზაურა ედოს ხუთი ცალი ჰქონდა.

ამასწინ ედოს სახლს ჩავუარე. ედო, იმ დროის უცნაური და სპონტანური ბუკინისტი თურმე იქ აღარ ცხოვრობს. ცოტა ვითამამე და სახლის ახალ პატრონს ვკითხე ძველის სავარაუდო სამყოფელი. ორიათას ხუთში რუსეთში წავიდაო. მანამდე ცოლი მოუყვანია და გაშორებია. მოკლედ ედო ოზურგეთში აღარ არის.

ეს ამბავი იმადაც მოვყევი, რომ მსოფლიოს კულტურულ ქვეყნებში, სადაც წიგნია, იქ ბუკინისტიც არსებობს. დღემდე. თბილისში რამდენიმე შემორჩა. მაგრამ როგორც ვატყობ, მათგან ნაწილი, სხვა საქმე რომ გამოჩნდეს, უფრო სარფიანი, იოლად გადამისამართდება. დასაძრახი აქ არაფერია, მაგრამ გულდასაწყვეტი – კი. ცხადად მესმის, რომ ბუკინისტობა, გარდა ბევრი ძველი წიგნების მთებისა, ალაგ-ალაგ შემთხვევით ჩავარდნილი ახალი გამოცემებით, ცოტა არალეგალურ მოქმედებასაც გულისხმობს. მაგალითად, გადასახადებიდან თავის არიდებას. მაგრამ მაინც ვგულშემატკივრობ. რადგან კანონის გულშემატკივარიც ვარ – ამ ხალხს, ჩემი ნება რომ წყვეტდეს, გადასახადებიდან რაღაც ხნით გავათავისუფლებდი და საერთოდ, წიგნის ქუჩას გავაკეთებდი, სადაც ეს ბუკინისტები “ხრუშჩოვკების“ სარდაფებში გადამალულ განძებს გამოფენდნენ და სხვა მთავარი ამბების გარდა, ტურისტული ატრაქციონიც იქნებოდა. ან ეგებ ბუნებრივი მიმოფანტულობა უფრო რგებს და ალამაზებს ამ ბიზნესს. რა ვიცი.

ჩემი სტუდენტობისას, ხსენებული ხელობის ხალხის ნაწილი უნივერსიტეტის წინ იდგა. მაშინ თვალის შეჩვევის ამბავში, უნივერსიტეტი და ეს ბაზრობა განუყრელი ერთობა მეგონა. მერე მგონი ერთი მათგანი დაიჭირეს და სხვამ დახლი აშალა. მოირღვა მიწისქვეშა გადასასვლელის დიზაინი. მგონი, სამუდამოდ. იმადაც, რომ ამასწინ იქ ისევ დავინახე წიგნები, მაგრამ კორექტირებული განლაგებით, რაღაც ნაკარნახევი წესის დაცვით. ალბათ, ზოგადი წესრიგისთვის ასე ჯობს, მაგრამ ის ძველი ამბავი რომ მოკვდა, ამის ცხადი ნიშანიცაა.

არადა, რა დიალოგებია. ცალკე რომანის მასშტაბის. სხვა ტერმინები, მინიშნებები, სამყარო. წიგნების სხვა სივრცეში განივთება. აი, ყოფითიც რომ არის და მიღმიერიც. თან რომ ასანთის კოლოფივით უყურებს და თან ისე საკრალურია, თითებს დანით დაგაჭრის, თუ ოდნავ შეულახე.

მე მინდა გადარჩეს. მე ვეცდები. ვნახოთ.

■ ედო წიგნებს აგროვებდა. გაყიდდა კიდეც, მაგრამ კლიენტი იშვიათად ჩნდებოდა. თუმცა ედოს გათვლით, ეს ყველაფერი ვალუტა იყო, დრო მოვიდოდა, ხალხს წიგნი მოშივდებოდა და ფასი დაედებოდა. ამიტომაც ედო ყიდულობდა – სულაც კაპიკებში ან რადიოს გაკეთების სანაცვლოდ – მსოფლიო პროზის ტომეულებს, ენციკლოპედიებს, დოსტოევსკებს, მაინ რიდებს, რევაზ ჯაფარიძეებს. ბერნანდო გიმარაენსაც კი.



შეთამაშება თვითმკვლელობასთან

სოციო-ფსიქოლოგიური კვლევების მიხედვით, ადამიანები 5 სუიციდურ კატეგორიად იყოფიან: ადამიანები, რომლებიც თვითმკვლელობაზე არასდროს დაფიქრებულან; ადამიანები, რომლებიც ზოგჯერ ფიქრობენ თვითმკვლელობაზე; ადამიანები, რომლებიც იმუქრებიან თავის მოკვლით; ადამიანები, რომელთაც თვითმკვლელობა უცდიათ; და ბოლოსდაბოლოს ადამიანები, რომელთაც თავი მოიკლეს. თვითმკვლელი მწერლები სამწუხაროდ ყველა ეპოქაში ცხოვრობდნენ...

ლევან ბერძენიშვილი

ფაქტია, მწერლების თვითმკვლელობას ღრმა და საფუძვლიანი ფიქრები, რეფლექსია ახლავს თან, ვინაიდან მათ გაცილებით მეტი თქვეს მკვლელობაზე, თვითმკვლელობაზე, ვიდრე სხვამ. ამ მწერლებს ეხერხებოდათ ჩვენთან კომუნიკაცია.

თვითმკვლელ მწერალთა რიგებში უზარმაზარი მწერლებიც არიან, თუმცა ეს კრიტერიუმი მწერლის სიდიდის განსასაზღვრად არ ვარგა, რადგან დიდ მწერლებს შორის იყვნენ ისეთებიც, დიდხანს რომ იცოცხლეს და სუიციდურ მიდრეკილებები არ იყვნენ შემჩნეული – ლევ ტოლსტოი, გოეთე და სხვები. თუმცა იყვნენ მწერლები, რომელთაც თავის დროზე ეს ამბები დაატრიალეს.

ცნობების მიხედვით, სუიციდი ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთს შეეხო. დიდი პოეტებიდან, მაგალითად, საფომ მოიკლა თავი, დიდი ფილოსოფოსებიდან – დემოკრიტემ და დიოგენემ, სოკრატეს შემთხვევა კი, რა თქმა უნდა, სპეციფიკურია. შეიძლება ითქვას, რომ ეს თვითმკვლელობა იყო, თუმცა თვითმკვლელობა სახელმწიფო იძულების წესით, მაგრამ მანამდე სოკრატე ისე მოიქცა, რომ ფაქტობრივად თავად განსაზღვრა მისი სიკვდილით დასჯა.

ამას გარდა, სენეკას თვითმკვლელობა – პოლიტიკური მომენტი; ტერენციუსი – თვითმკვლელობა ლიტერატურული ხასიათისაა. გადმოცემის მიხედვით, მან საკუთარი კომედიების ტექსტი დაკარგა და თითქოს ამიტომ დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით.

ფაქტია, მწერლების თვითმკვლელობას ღრმა და საფუძვლიანი ფიქრები, რეფლექსია ახლავს თან, ვინაიდან მათ გაცილებით მეტი თქვეს მკვლელობაზე, თვითმკვლელობაზე, ვიდრე სხვამ. ამ მწერლებს ეხერხებოდათ ჩვენთან კომუნიკაცია.

ფრანგული ლიტერატურა სავსეა თვითმკვლელი მწერლებით, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევაა სომხური წარმოშობის ფრანგი მწერლის – არტურ ადამოვის თვითმკვლელობა. ასევე, რუსულ-ებრაული წარმოშობის უბრწყინვალესი მწერლის, რომენ გარის შემთხვევა, ჟერარ დე ნერვალის თვითმკვლელობა, რომელიც ამავე დროს უმძიმესი ფსიქიკური დაავადებით იყო დაავადებული...

გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს სუიციდის გარკვეული ტრადიცია,





არსებობს კულტურა, სადაც ყველა დიდმა მწერალმა თავი მოიკლა. მე დავასახელებ სამ დიდ მწერალს, რომელზე დიდიც იაპონურ ლიტერატურაში არავინ მეგულება. ეს ის ხალხია, მარტო იაპონელებისთვის კი არა, მთელი მსოფლიოსთვის რომ გახდნენ გასაგები: რიუნოსკე აკუტაგავა – ერთ-ერთი უდიდესი და მგონი ყველაზე ევროპული იაპონელი მწერალია; ნობელის პრემიის ლაურეატი იასუნარი კავაბატა, უზარმაზარი მწერალი; დაბოლოს, იაპონური ლიტერატურის, კინოს და საერთოდ იაპონური ცხოვრების მშვენება და უდიდესი წარმომადგენელი იუკიო მისიმა ან მიშიმა, როგორც გენებოთ – სეპუკუთი დაასრულა სიცოცხლე, ჩვენებურად რომ ვთქვათ – ხარაკირით. მანვე შეძლო აღეწერა სეპუკუ, თითქმის თეატრალური თვითმკვლელობა ბრწყინვალე მოთხრობაში – „პატრიოტიზმში“, შემდეგ კი ზუსტად იგივე გაიმეორა.

როგორც ჩანს, იაპონიაში სიცოცხლესთან გამოთხოვების ხერხები სხვადასხვანაირია – აკუტაგავამ ვერონალი დალია, კავაბატამ გაზით მოიწამლა თავი, მისიმამ სეპუკუ გაიკეთა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს იმ დიდი სამწერლობო გზის დასასრული იყო, რომელსაც ეს ადამიანები ადგნენ. ამ ყველაფერს ახლდა აღწერა. განსაკუთრებით აკუტაგავას შემთხვევაში დაგვრჩა უზარმაზარი სულიერი სიმდიდრე ნაჩვენები ეგზისტენციალურ, ანუ სიკვდილისწინა სიტუაციაში. ამიტომ მწერალი და მკვლელობა, მწერალი და თვითმკვლელობა ამ შემთხვევაში უბრალო რამ აღარ არის. მას თან ახლავს ისეთი ხასიათის თვითაღწერა, საკუთარ თავში იმ დონეზე ჩაღრმავება, რომელიც, როგორც წესი, პერსონაჟებისათვის ძნელი გასამეტებელია.

განსაკუთრებით საინტერესოა თვითმკვლელობათა სერია რუსულ პოეზიაში. საბჭოთა პერიოდში, ერთმა ავტორმა მეორეს თვითმკვლელობის გამო უსაყვედურა. შემდეგ თავად დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით. ხოლო ორივე მათგანს სიკვდილი მესამე რუსმა პოეტმა დაუწუნა, რომელმაც სიცოცხლე ასევე თვითმკვლელობით დაასრულა.

მხედველობაში მაქვს რუსული ლიტერატურის, რუსული პოეზიის ისეთი დიდი წარმომადგენლები, როგორებიც არიან სერგეი ესენინი, რომლის თვითმკვლელობას აღშფოთებული შეხვდა ვლადიმერ მაიაკოვსკი და თქვა, რომ თავის მოკვლა ადვილია, სიცოცხლის მოწყობა კი გაცილებით უფრო რთულიო. შემდეგ თვითონ ვერ მოაწყო სიცოცხლე, ვერ მოერია საკუთარ თავს, ვერ მოერია, როგორც სასიყვარულო, ისე, როგორც ჩანს, პოლიტიკურ მოძალებას – თავი მოიკლა, ბოლოს კი მარინა ცვეტაევა, რომელმაც არც ერთი თვითმკვლელობა მიიღო, არც მეორე, სანამ თავის თავს გაანაჩენი არ გამოუტანა ელაბუგაში.

საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი მშობლიური ამბები, ქართული ამბები თვითმკვლელობისა. არ შევეხები იმ შემთხვევებს, რომლებიც ერთი შეხედვით სუიციდს არ ჰგავს. არ ვიტყვი ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას სიკვდილზე, თუმცა კი ერთიცა და მეორეც ფაქტობრივად უახლოვდება ამ მდგომარეობას, ვინაიდან საზოგადოებრივი ყურადღება ერთსაც და მეორესაც აკლდა.

ამას გარდა, დაკარგული გვყავს ვანო მაჩაბელი, რომელმაც შესაძლოა თავი მოი-

ფაქტია, მწერლების თვითმკვლელობას ღრმა და საფუძვლიანი ფიქრები, რეფლექსია ახლავს თან, ვინაიდან მათ გაცილებით მეტი თქვეს მკვლელობაზე, თვითმკვლელობაზე, ვიდრე სხვამ. ამ მწერლებს ეხერხებოდათ ჩვენთან კომუნიკაცია.

აკუტაგავამ ვერონალი დალია, კავაბატამ გაზით მოიწამლა თავი, მისიმამ სეპუკუ გაიკეთა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს იმ დიდი სამწერლობო გზის დასასრული იყო, რომელსაც ეს ადამიანები ადგნენ.

კლა, თუმცა მისი ბედი გაურკვეველია. მაგრამ XX საუკუნეში, მაშინ როდესაც, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველოს კაენის სულის აღზევებამ გადაურა – თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა! კი ბატონო, იყო რეპრესიები, ამ პერიოდს უამრავი ადამიანი შეეწირა, მაგრამ პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა განსაკუთრებული შემთხვევაა, ვინაიდან მან ეს სპეციალურად გააკეთა მწერალთა სახლში და ამ თვითმკვლელობას საბჭოთა ხელისუფლებისგან ძალიან მრისხანე რეაქცია მოჰყვა – თვითმკვლელი პოეტი მოღალატედ და მტრად გამოაცხადეს, დარაზმეს ქართველი მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები და გარდაცვლილი ადამიანი გაალანძღვინეს. ეს ჩვენი ცხოვრების, განსაკუთრებით კი ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრების უსამარცხვინოესი ლაქა იყო, ისევე როგორც 30-იანი წლები და საბჭოთა ხანა. ქართული მწერლობა ერთდროულად მსხვერპლიცაა და ჯალათიც.

ყველაფერი ეს კი საბოლოოდ დაგვირგვინდა იმ უბედურებით, რაც გალაკტიონ ტაბიძემ გააკეთა. გალაკტიონი მთელი ცხოვრების მანძილზე უბრალოდ კი არ იმუქრებოდა, რომ თავს მოიკლავდა, არამედ ჰქონდა კიდეც თვითმკვლელობის მცდელობები. უბრალოდ ბედმა დაინდო ქართული კულტურა და ეს შედარებით გვიან მოხდა. ზუსტად არ ვიცით, რამ უკარნახა ეს გალაკტიონს. უამრავი მითი არსებობს მისი თვითმკვლელობის შესახებ. ერთ-ერთის მიხედვით, თითქოს ვიღაცამ უთხრა გალას – ის ადგილი მთაწმინდაზე შენთვის რომ გინდოდა, სხვა მწერალი გარდაიცვალა და მისთვის უნდათო. ვერ წარმომიდგენია, რომ გალაკტიონის მსგავს გენიას დაეჯერებინა, რომ მთაწმინდაზე ვინმე ადგილს წაართმევდა. მაგრამ ფაქტია, რაღაც მოხდა, იმასაც ამბობენ სათანადო პატივი ვერ სცეს საავადმყოფოშიო... რაც უნდა ყოფილიყო, თვითმკვლელობა ეს ის გადაწყვეტილება იყო, გალაკტიონის სულს რომ ღრღნიდა.

ამასთან დაკავშირებით დიდი ფრანგი მწერლისა და თვითმკვლელობის სპეციალისტის, ამ საკითხზე ღრმად დაფიქრებული ადამიანის, ალბერ კამიუს მოსაზრება მახსენდება. კამიუ ამბობდა, სული რომ გაიხვრიტება, შემდეგ ის აუცილებლად დაიცლება. გამოდის, რომ გალაკტიონის სული ადრე გაიხვრიტა და შემდეგ დაიცალა, თუმცა, საბედნიეროდ, 1959 წელს და არა მანამდე.

სუიციდის თვალსაზრისით მძიმე ვითარებაა ამერიკულ ლიტერატურაშიც. ვიცით არა მხოლოდ ჯეკ ლონდონის თვითმკვლელობა, რომელიც ზედმეტი დოზის გამოყენებასთანაა დაკავშირებული, არამედ ჰემინგუეის თვითმკვლელობაც – კლასიკური, სანადირო თოფით, რომელზეც ერთმა ქართველმა პოეტმა თქვა, ბავშვს თოფი რატომ არ დაუმალესო. ჰემინგუეი ასე დაინახა ქართველმა პოეტმა, თუმცა მინდა გითხრათ, რომ ერნესტი ბავშვი ნამდვილად არ ყოფილა, რამდენიმე ომის მონაწილე, იარაღთან შეგუებული და შეთამაშებული კაცი იყო, თუმცა სიკვდილის აჩრდილი მასაც მოერია.

თვითმკვლელობით გამოემშვიდობა სიცოცხლეს ძალიან უცნაური წყვილი – შტეფან ცვაიგმა მეუღლესთან ერთად მოიკლა თავი. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევაა პაულ ცელანის, ამ უბრწყინვალესი პოეტის თვითმკვლელობის ამბავი, რომელიც პარიზში, იმ ხიდიდან გადახტა, პოეზიაში აპოლინერმა რომ დაამკვიდრა თავისი ცნობილი ლექსით – „მირაბოს ხიდქვეშ მიედინება სენა“ – ხიდი, რომელიც არაერთი თვითმკვლელობის ადგილი იყო და რომელსაც ახალი სახელი, ახალი დიდება და ახალი მწუხარება მიანიჭა პაულ ცელანმა, როცა იქიდან გადაეშვა და თავი დაიხრჩო.

თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე ფროიდმა. ეს ევთანაზიის კლასიკური შემთხვევაა, როდესაც მან ტკივილებს ვერ გაუძლო და ექიმს სთხოვა სიცოცხლეს გამოესალმებინა.

გერმანულენოვანი ლიტერატურიდან თვითმკვლელობას მიმართა დიდმა პოეტმა გეორგ თრაკლმა. მძიმე ფსიქიატრიული შემთხვევა იყო ვირჯინია ვულფისა და დიდი ჩეხი მწერლის, ბოჰუმირ ჰრაბალის თვითმკვლელობა.

საბედნიეროდ ისეთი შემთხვევებიც ვიცით, რამდენიმე მწერალმა შემთხვევით რომ გაუძლო და თავი არ მოიკლა. როგორც ჩანს, ამის საშუალება მწერლობამ მისცათ, როგორც ჩანს, სათქმელი ბოლომდე არ ჰქონდათ ნათქვამი. ეს ჩვენთვის განსაკუთრებული გამართლებაა, რომ თვითმკვლელობაზე ხშირად მოფიქრალმა, მაგრამ არგადამწყვეტმა დოსტოევსკიმ შეძლო და

ბოლო რომანი დაგვიწერა. მართალია, კიდევ ერთი დიდი წიგნი ჰქონდა დასაწერი, მაგრამ მისმა სულმა ხუთ ტიტანურ რომანს ვეღარ გაუძლო და "ძმები კარამაზოვების" მეორე ნაწილი ვეღარ მოასწრო. არ დასცალდა დოსტოევსკის, თუმცა კი მაინც მადლიერი უნდა ვიყოთ ბედისა, რომ იგი ამდენი ხანს ცოცხალი იყო და უძლებდა სულიერ ტკივილებს დაწყებული მამამისის საშინელი მკვლელობით, როდესაც გლეხებმა ის ნაწილებად აჩეხეს; მისთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანითა და განაჩენის ბოლო წამს შეცვლით, კატორღითა და შვილის სიკვდილით გაგრძელებული...

ყველას ახსოვს ანა ახმატოვას შესანიშნავი ფრაზა – რამდენ რამეს უნდა შეეხოს მწერალი და რამდენი საშინელება უნდა გამოიაროს, რომ ერთი სტრიქონი დაიბადოს. ან ილია ჭავჭავაძის ნათქვამი – რა ლაფში და რა მდგომარეობაში მოიპოვება ის მარგალიტები, რომლებიც მწერლობაშია. მწერალი სიცოცხლის საიდუმლოს იკვლევს და ამ საიდუმლოთა კვლევისას იგი იძლევა ფორმულას – მას რაც აკლდება, ჩვენ, მკითხველებს გვემატება.

მწერლებს თვითმკვლელობისკენ განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ და მიმაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით მწერლობა განსაკუთრებით საშიში პროფესიაა – ის ხომ სიცოცხლის გამახანგრძლივებელი, სიცოცხლის დამამკვიდრებელი საქმიანობაა. ყველაფერს ორი მხარე აქვს – სადაც მკითხველის სიცოცხლეზეა საუბარი, იქ სიცოცხლე მწერლიდან მკითხველისკენ გადაედინება, თავად მწერლის შემოქმედებაში კი ჩნდება სიკვდილზე ფიქრი.

იმდენი თვითმკვლელი, რამდენიც მწერლობაშია, არცერთ პროფესიაში არ გვხვდება. სამწუხაროდ, თვითმკვლელობისგან არ არიან დაზღვეული ხელოვნების სხვა სფეროს წარმომადგნელებიც. მაგრამ თეზისი, რომ ყველაზე მეტად სიცოცხლეზე ლიტერატურა მუშაობს, ყველაზე დიდი საფრთხის ქვეშ მწერლებს აყენებს. ამიტომ საზოგადოება უნდა უფრთხილდებოდეს თავიანთ მწერლებსა და პოეტებს. მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს თვითმკვლელობა საზოგადოების ნამუსზეა და ვინაიდან მწერლობა ასეთი უზარმაზარი და განსაკუთრებული სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მწერლებს უნდა ვუფრთხილდებოდეთ.

თვითმკვლელი პოეტი მოღალატედ და მტრად გამოაცხადეს, დარაზმეს ქართველი მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები და გარდაცვლილი ადამიანი გაალანძღვინეს. ეს ჩვენი ცხოვრების, განსაკუთრებით კი ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრების უსამარცხვინოესი ლაქა იყო, ისევე როგორც 30-იანი წლები და საბჭოთა ხანა. ქართული მწერლობა ერთდროულად მსხვერპლიცაა და ჯალათიც.

სტამბა „სეზანი“ გთავაზობთ
ქაღალდის შესაფუთი მასალების ფართო სპექტრს:
კრაფტის ქაღალდის ჩანთებს,
ქაღალდის ჭიქებს, ყუთებსა
და სწრაფი კვების სხვა შესაფუთ მასალებს
ყველა შესაძლო ფერი!
CEZANNE
PRINTING HOUSE

საქართველო, თბილისი 0119, წერეთლის 140
ტელ.: +995 32 235 70 02; +995 32 235 70 05
www. cezanne-web.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეხეს ედემის ბაღი

„თბილისში საზოგადო ბაღები რიცხვით მრავალია (ოცდა ხუთი). თითოეულ უბანში მოიპოება ორიოდე პატარა ბაღი (სკვერი), მაგრამ გარდა ბოტანიკური და მუშტაიდის ბაღებისა, რომლებიც მდებარეობენ ქალაქის განაპირას, არც ერთ ბაღს არა აქვს საზოგადოებრივი დიდი ბაღის ხასიათი“.

ირაკლი ხვადაგიანი

1922 წელს შედგენილი მშრალი სტატისტიკური ცნობაც კი გეგმური სიჯიუტით ცდილობდა აგრონომების და ქალაქმშენებლების ათწლეულების საჩივრის გახმოვანებას – თბილისის ჰაერის სისუფთავისა და საზოგადოდ მოქალაქეთა ჯანსაღი დასვენების მთავარი მტრის – ქალაქში მწვანე სივრცეების შეუსაბამო სიმწირის შესახებ.

■ 1922 წელს შედგენილი მშრალი სტატისტიკური ცნობაც კი გეგმური სიჯიუტით ცდილობდა აგრონომების და ქალაქმშენებლების ათწლეულების საჩივრის გახმოვანებას – თბილისის ჰაერის სისუფთავისა და საზოგადოდ მოქალაქეთა ჯანსაღი დასვენების მთავარი მტრის – ქალაქში მწვანე სივრცეების შეუსაბამო სიმწირის შესახებ.

1924 წელს „პროლეტარიატის დიდი ბელადის“ – ლენინის სიკვდილმა თბილისში არაერთგვაროვანი იმედები გააღვიძა. თუკი ბევრისთვის ეს საბჭოთა რეჟიმის დაცემის დასაწყისის ნიშნად მოჩანდა, ზოგიერთს სხვა ხეირის იმედი გაუღვივა – კერძოდ, ბელადის ხსოვნის უკვდავყოფისათვის მიღებული პომპეზური დადგენილებები (რომელსაც მოსდევდა კომუნისტური დაშვება, რომ მსგავს ღონისძიებებს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა კი არ უნდა ჰქონოდა, არამედ სახალხო სარგებელიც უნდა მოეტანა) ხელსაყრელ შანსად იქცა ეკოლოგებისთვის თავიანთი გეგმების შესაფუთად.

1924 წლის 8 მარტს ბიოლოგმა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების ყოფილმა კონსულტანტმა მარკოვმა „უკვდავყოფის“ კომისიას დეტალური და გაბედული გეგმა წარუდგინა: ძველი ქალაქის განაპირას და მომავლის – სოციალისტური თბილისის საზღვრებს შორის გრანდიოზული სახალხო პარკის მოსაწყობად.

მარკოვის გეგმით, მომავალი საზოგადოებრივი ბაღი და ზოოლოგიური პარკის მოწყობა ვერის ბაღის, ვანქის ტაძრის ყოფილი ბაღებისა და თამბაქოს ფაბრიკის ბაღის გაერთიანებით უნდა დაწყებულიყო. შესაბამისად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ხაზი, ვერის ხიდიდან (დღევანდელი გალაკტიონის ხიდი) ვერეს განაპირა მხარე საბურთალოს პლატომდე და ვერეს ხეობა უნდა მოეცვა. საერთო ჯამში დაახლოებით 4-7 ჰექტარი ტერიტორია. იგი ადგილობრივი კლიმატის შესაბამისი მცენარეულობით გეგმურად უნდა გაშენებულიყო, რაც ამ სივრცეს თბილისის მოქალაქეებისათვის ზაფხულში ჯანსაღი დასვენების უახლოეს გარემოდ, ზოოლოგიური პარკის ფუნქციებით კი საგანმანათლებლო, გასართობ კერად აქცევდა.

მარკოვის რეკომენდაციით ქალაქის აღმასკომს დამატებით პარკამდე მისასვლელი ტრამვაის ხაზის გაყვანა და ვერეს შესართავთან არსებული ბორნის ადგილას ხიდის მშენებლობა უნდა უზრუნველეყო. ასევე, უნდა დაწყებულიყო გეგმის დამუშავება მდინარე ვერეს დარეგულირებისთვის. მისი გათვლით, ქალაქს ამ პარკის მშენებლობა 50 000 მანეთამდე დაუჯდებოდა, სანაცვლოდ კი დიდ ნაბიჯს გადადგამდა მოქალაქეთა ყოფის გაუმჯობესებისკენ.

გეგმის ავტორი იმდენად დარწმუნებული იყო იდეის წარმატებაში, რომ საკუთარი კომპეტენციის საზღვრებს გასცდა და კომისიას ურჩია, რომ ლენინის მონუმენტის მოწყობისას თავისუფლების მოედანზე მისი ძველი იერსახე არ დაეზიანებინათ.

ბოლშევიკურმა ქალაქის საბჭომ იდეა მიიღო, მაგრამ განხორციელებას აუჩქარებლად და გეგმურად შეუდგა. 1925 წლიდან უკვე გამოიკვეთა ზოოპარკის მშენებლობის მთავარი პარტნიორები – მონადირეთა კავშირის, განათლების სახალხო კომისარიატისა და ქალაქის აღმასკომის სახით.

თავდაპირველად მომავალი ზოოპარკის კონცეფცია მარკოვის დამუშავებულ ხაზს მიყვებოდა. საზოგადოებრივი პარკის ზოოლოგიურ ნაწილში გადაწყდა, რომ ცხოველები კავკასიის ფაუნის წარმომადგენლები უნდა

ყოფილიყვნენ, რამდენადაც მომავალ პარკში ისინი მაქსიმალურად ბუნებრივ პირობებში თავისუფლად, ვოლიერების გარეშე უნდა ყოფილიყვნენ. წყლის ბინადართა მოსათავსებლად მდინარე ვერეზე საგუბარის მოწყობისა და მტკვარში არსებული კუნძულის პარკის ნაწილად გადაქცევის იდეაც გაჩნდა.

1926 წლიდან მონკავშირმა ცხოველების შეგროვება დაიწყო. ამუშავდა აღმასკომიც, რომელმაც ზოოლოგიური პარკის გენერალური გეგმისა და სამშენებლო ნაწილის დამუშავება არქიტექტორებს ანატოლი კალგინსა და ზაქარია ქურდიანს დაავალა.

ფინანსისტების გათვლით 3 წლის ვადაში ზოოპარკის მოწყობა მილიონ მანეთამდე დაჯდებოდა, რომელიც „პარტნიორებზე“ უნდა გადანაწილებულიყო.

პარალელურად ზოოპარკის მომწყობი ინსტრუქტორების ჯგუფი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში – მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვსა და კიევში მიავლინეს. მათ უნდა შეესწავლათ იქაური ზოოპარკების მოდელი და სპეციალისტებთან ერთად თბილისის ზოოპარკის გეგმა უნდა განეხილათ. ინსტრუქტორების საერთო შთაბეჭდილებით ამ ზოოპარკების გამოცდილება თბილისისათვის გამოუსადეგარი იყო, რამდენადაც ისინი უკვე მოძველებული კონცეფციისა იყვნენ და ხელმძღვანელები ერთხმად იწონებდნენ თბილისის ზოოპარკის თავდაპირველ მოდელს, ე.წ. „ასკანია-ნოვას“ სისტემას, რაც დიდ ნაკრძალ-პარკს გულისხმობდა და თავადაც ამ მიმართულებით აპირებდნენ გადაწყობას.

საკავშირო გამოცდილების შესწავლამ გეგმებში კორექტივები მაინც შეიტანა – გადაწყდა ზოოპარკში გამოყოფილიყო საკარანტინო ნაწილი „ახალწვეული“ ცხოველებისთვის და გეგმით გათვალისწინებულ რესტორანში არ დაეშვათ მუსიკალური ბენდი.

20-იანი წლების ბოლოს დაწყებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სირთულეებმა თავისი კვალი ზოოპარკის მოწყობასაც დაატყო – თავდაპირველი გეგმა შეიცვალა, პარკის ფართობი შეიკვეცა და ადრინდელი სურვილების მიუხედავად, ზოოპარკის ბინადრებს

ტბა აფრიკის კედელთან. 04.08.1928. თბილისი

მაინც ვოლიერებში მოუხდათ დასახლება.

გარდაუვალი გახდა დაფინანსების რევიზიაც – პარტნიორებიდან მთავარი და ყველაზე დიდი პასუხისმგებლობის მქონე ქალაქის აღმასკომი სტაბილურად რიცხავდა მშენებლობისათვის დაკისრებულ თანხებს (1929-30 წლების პირველ საანგარიშო პერიოდში 110 088 მანეთი, 1930 წელს – 53 663 მანეთი, 1931 წელს – 140 921 მანეთი). 1930 წლის დასაწყისში ქალაქის აღმასკომის კომუნალურმა მეურნეობამ მიუთითა საკუთარ უფროსობას, რომ სახალხო კომისართა საბჭოსთვის ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებში საკუთარი წვლილის შესახებ შეეხსენებინა და უარი ეთქვა ძველი გადაწყვეტილების მექანიკურ შესრულებაზე. კერძოდ, სახკომსაბჭომ 1928 წელს დაადგინა, რომ თბილისის ეკლესია-მონასტრებიდან მოხსნილი ისტორიული ღირებულების არმქონე ზარების გადამუშავებით და რეალიზებით მიღებული შემოსავალი განათლების სახალხო კომისარიატის სახელოვნებო და სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს ფონდში სიძველეთა და ძეგლთა დაცვისათვის საჭირო რესურსების გასაძლიერებლად გადარიცხულიყო. ზარების რეალიზაცია თბილისის აღმასკომს დაევალა. 1930 წელს, როდესაც ზარების გადამუშავება უკვე სრულდებოდა, სახკომსაბჭომ დადგენილების აღსრულება მოითხოვა. ამას კომუნალური მეურნეობის პროტესტი მოჰყვა, რომელიც ამტკიცებდა, რომ წლების განმავლობაში, ზარების რეალიზაციიდან მოსალოდნელი თანხის ამოღებამდე აღმასკომი პატიოსნად რიცხავდა თანხებს სხვადასხვა ობიექტების მშენებლობაზე, მათ შორის ზოოპარკისაც, რომლის პარტნიორი განათლების სახალხო კომისარიატიც იყო. შემდეგ კი აღმოჩნდა რომ გადამუშავებული ლითონის რაოდენობა იმდენად მცირე იყო, რომ გაწეულ ხარჯებთან სასაცილოდ ჩანდა. აღმასკომს სურდა, ეს თანხა განათლების სახალხო კომისარიატისათვის გადარიცხვის ნაცვლად საკუთრივ შეენარჩუნებინა და ზოოპარკის მშენებლობაზე ასიგნებული თანხის ნაწილი ჩამოეწერა, თუმცა სახკომსაბჭომ შუამდგომლობას უარი მიაკერა. აღმასკომს თანხის გადაცემა განათლების სახალხო კომისარიატისათვის მოუხდა.

1930-იანი წლებიდან, ფინანსური პრობლემების გარდა, ზოოპარკის შიდა საორგანიზაციო ხარვეზებმაც იჩინეს თავი. საყოველთაო უნდობლობამ და შურმა მწვანე სივრცეშიც შეაღწია. პირველი დირექტორი მარკოვი ზოოპარკის ცხოველების ხშირი „დაცემის“ და სამუშაოების შეფერხების გამო გადაყენეს. მალე ზოოპარკის თანამშრომელთა შორის „ხალხის მტრების“ ძიება და გამოვლენა დაიწყო, რაც ზოგისთვის სიცოცხლის დასასრულად, ზოგიერთისათვის კი კარიერულ კიბეზე აღმასვლის დასაწყისად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილუსტრაცია ინტერნეტ ბანერიდან

ღვინო და მისაყოლებელი

ლევან ბერძენიშვილი

ყველამ იცის, ლუდი ის სასმელია, რაღაც რომ უნდა მიაყოლო. ჩვენ, როგორც ყოფილ საბჭოთა ქვეყანას, ჯერ კიდევ საბჭოთა გარკვეული ტრადიციები გვაქვს გამოყოლილი. ჩვენი, როგორც ქართველი ლუდის მსმელების ტრადიციები ძალიან ჰგავს დღევანდელი რუსების, უკრაინელების და თუნდაც მოლდოველების ტრადიციას, ვინაიდან, საბჭოთა პერიოდში ჩვენთან კლასიკურად მიიჩნეოდა, რომ ლუდის სმისას ძირითადი მისაყოლებელი იყო თევზი.

თევზეული, როგორც ლუდზე მისაყოლებელი, ძალიან სერიოზული თემა იყო: ლუდი, თევზი, მაგალითად, ე.წ. ტარანი, ლეშა, როგორც წესი, გამხმარი; გაზეთი; ამ გამხმარი თევზის გარჩევის უმაღლესი ტექნოლოგია, როდესაც ისე უნდა მოაშორო კანი და ქერცლი, რომ ხორცი არ აჰყვეს და რაც დარჩება, იმასაც სერიოზული დამუშავება – ფხებისაგან ხორცის გარჩევა და იმ ადგილებში, სადაც ეს შეუძლებელია, ძვალ-ხორცის ერთობლივი დანაწევრება ლუდზე მისაყოლებლად, გემოს მისაცემად.

იყო წითელი კიბოც, რომელიც დიდი ხანია თვალით არ მინახავს, ადრე კი ჩვეულებრივი რამე იყო ჩვენს ბაზრებში, განსაკუთრებით ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ბათუმი, ფოთი და სხვა. ამჟამად ის ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა. თუმცა ლუდი და კიბო საქართველოში ჯერ კიდევ კარგ კომბინაციად ითვლება.

ჩვენი გამოცდილების ფონზე, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა გერმანია და ჩეხეთი, ლუდისთვის თევზეულის დაყოლება საერთოდ არ არის მიღებული. ზოგადად, მთელ მსოფლიოში, ლუდთან დაკავშირებულია თევზი, ჩიფსი, ორცხობილა, კიბო, კრევეტები, პიცა და ასე შემდეგ, მაგრამ გერმანიასა და ჩეხეთში, თევზი, როგორც ასეთი, ლუდთან არ ფიგურირებს. ისინი თვლიან, რომ თევზის გემო თავად სასმელის გემოს თრგუნავს.

არადა, ჩვენთან ასეთი კომბინაციაც კი ჩამოყალიბდა: ღია ფერის ლუდთან მიდიოდა მშრალი და გამხმარი თევზი, ან თევზის მარინადი, შავ ლუდთან კი – შებოლილი თევზი. როდესაც ამას გერმანელებსა და ჩეხებს ვუხსნით, მათთვის ეს სრულიად წარმოუდგენელია.

გერმანიაში ლუდს მარილიან ორცხობილას აყოლებენ. ეს არის პატარა ნაჭრებად დაჭრილი მარილიანი ორცხობილა და მისი სხვადასხვა ვერსიები: მარილიანი და ნივრიანი, ნივრიანი, თეთრი ორცხობილა თეთრი პურისგან, ორცხობილა შავი პურისგან და ა.შ. საერთოდ, პურეული და ლუდი ძალიან სერიოზული გერმანული კომბინაციაა. ამ ყველაფრის მწვერვალია მარილის კრისტალებიანი გერმანული ბრეტცელი. წარმოიდგინეთ საბჭოთა ბუბლიკი, ოღონდ არა ტკბილი, არამედ მარილიანი და მლაშე, სპეციალურად ლუდისთვის განსაზღვრული. გერმანიაში და განსაკუთრებით ბალტიის ქვეყნებში ლუდისთვის ღორის შებოლილი ან მარინადში ჩადებული ყურების მიყოლება უყვართ.

გარდა ამისა, შეიძლება ვთქვათ, რომ კლასიკად იქცა და მთელმა მსოფლიომ აითვისა– მარილიანი თხილეული, რომელიც ძალიან კარგად მიდის ლუდთან. ეს ჩვენთანაც ძალიან დამკვიდრებული ამბავია. მლაშე არაქისი ან არამლაშე ფისტა, იგივე ბუსტუღი, ფისტაშკას რომ ეძახიან რუსები. მლაშე თხილეული, მათ შორის ქართული, ე.წ. ტყის თხილი, მშვენივრად მიდის ლუდთან. ექსპერტები ამბობენ, რომ ნიგოზსაც არაუშავს, თუმცა კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ მლაშე არაქისი და ბუსტუღი, იგივე ფისტაშკა, ჟანრის კლასიკაა.

საინტერესოა ამერიკის შეერთებულ შტატების ამბავი, სადაც უთვალავი რაოდენობის ლუდს სვამენ – რიგითი ამერიკელების 95-96% ძალიან ბევრ ლუდს სვამს. არასდროს მინახავს ვინმე 6 ბოთლზე ნაკლებს ყიდულობდეს. აი, ამ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ლუდთან მისაყოლებელი ძალიან სპეციფიკური პროდუქტი – ყველის ჩხირები. ეს არის ყველი, რომელიც ამოვლებულია სპეციალურ ამოსავლებში. ის შეიძლება შედგებოდეს – წიწაკისაგან, ფქვილისგან, ან რაიმე ტიპის დაფქვილი ორცხობილისგან, პლუს კვერცხი, მერე ეს იწვება და მიიღება ყველის ჩხირები, შესანიშნავი Fast-food-ი ამერიკული აქცენტებისა, რომელიც ბრწყინვალედ მიდის ლუდთან.

გარდა ამისა, ლუდთან ერთად ამერიკელებს ძალიან უყვართ ყველანაირი სახეობის ჩიფსი, განსაკუთრებით კი მლაშე და წიწაკიანი ვერსიები.

ჩიფსების გარდა, ისეთ ქვეყნებში როგორიცაა, მაგალითად, მექსიკა, ცენტრალური ამერიკის ქვეყნები, ლუდის საქმეში სერიოზულ როლს თამაშობს სიმინდისგან დამზადებული სპეციალური ორცხობილები, რაც დაახლოებით ჰგავს ღომის მორჩენილ ქერქს. ამ ტიპის უამრავი სახეობის ჩიფსი არსებობს.

გარდა ამისა, ლუდისთვის სპეციალურად ცხელი კერძიც კი არსებობს. გერმანიაში, რომელიც ლუდის ერთ-ერთი კლასიკური ქვეყანაა, მოიფიქრეს კერძი, რომელიც გერმანული ცხოვრებისა და ეკონომიის მთელი ფილოსოფიაა. წარმოიდგინეთ, რომ მოგრჩათ რაღაც-რაღაცები, მაგალითად: ხორცი, თევზი, სოკო, კარტოფილი, რომლითაც პიურე შეიძლება გავაკეთოთ. წარმოიდგინეთ, გერმანელი ამ ყველაფერს ასე გამოიყენებს – მოთუშავს ხახვს, რომელშიც ჩააწყობს უკვე მზა, მორჩენილ ხორცს, ამას დააწყობს ნებისმიერ მწნილს, ყველაფერს კი დაემატება მორჩენილი ბოსტნეული და სხვა. ეს მასა დაიფარება კარტოფილის პიურეთი, მოთავსდება თიხის ჭურჭელში, მოახეხავენ ყველს და დგამენ ღუმელში. ამ კერძს "აინტოპფი" ჰქვია. 5 წუთში მზადდება და საუცხოო კერძია ლუდისთვის.

ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ბელგია, სადაც ყველაფრისგან მზადდება ლუდი და სპეციალური ჩამონათვალი არსებობს – რას რა უხდება, ერთადერთი პროდუქტი, რასაც ლუდთან არასოდეს მოიხმარენ არის თევზი.

ლუდის ყველა სახეობას საკუთარი კერძი აქვს. ამაზე საუბარი უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ყველაზე კარგი ის იქნება, თუკი ადამიანები, რომლებიც ხშირად მოგზაურობენ, დააკვირდებიან, სად რას აყოლებენ ლუდს.

დასასრულ კი უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენთან, მთაში, ლუდის მთავარი კერძი ხინკალია და მგონი ახალს არაფერს ვიტყვი იმით, რომ ხინკლის, მწვადის, ქაბაბისა და ლუდის კომბინაცია ფაქტობრივად ეროვნული თვითმყოფადობის ნიშანია საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუჰი ზაჰესჯის ჯოლექსია

თბილისი და თბილისური ცხოვრების წესი არაერთხელ გამხდარა უცხოეთიდან სტუმრად ჩამოსულ ხელოვანთა შემოქმედების შთაგონების წყარო. ბევრი მათგანისათვის თბილისი მშობლიურ ქალაქადაც იქცა. სწორედ ასეთი იყო ცნობილი ბალეტმეისტერის, XX საუკუნის 60-80-იანი წლების არაერთი საუკეთესო ქართული სპექტაკლისა თუ ფილმის ქორეოგრაფის, ეროვნებით რუსი (დაიბადა ქ. ზაპოროჟიეში) იური ზარეცკის შემთხვევაც.

იური ზარეცკი ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერიც იყო. 1985 წელს, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, მის მიერ 30 წლის განმავლობაში ნაგროვები კოლექცია თავისთვის ესოდენ ახლობელ და საყვარელ ქალაქს, თბილისს უანდერძა. ეს გახლავთ XIX-XX საუკუნეებით დათარიღებული ქართული, რუსული და ევროპული წარმოშობის არტეფაქტები – სხვადასხვა სტილის ევროპული ავეჯი; სახვითი ხელოვნების ნიმუშები – ფერწერა, გრაფიკა, ხატწერა, მინიატურა, მცირე პლასტიკა; გამოყენებითი და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები – ფაიფურის, ბროლის, მინის, ფრაჟეს, ბრინჯაოს ლარნაკები და შანდლები. სულ 400-მდე ნივთი.

სკამი, XX ს-ის დასაწყისი, ხე, სადაფი, ინკრუსტაცია, ქსოვილი, 90×40×40 სმ.

ბუხრის საათი, XIX-XX სს. ბრინჯაო, ფაიფური, 41×38×15 სმ.

სუფრა, XX ს-ის დასაწყისი, შალი, აბრეშუმი, აბრეშუმის ძაფები, 2×2მ.

ბიურო, XX ს-ის დასაწყისი, ხე, ტექნიკა მარკეტრი, ინკრუსტაცია, ბრინჯაო, 137×75×47 სმ.

თეფში, XIX ს-ის ბოლო – XX ს-ის დასაწყისი, ფაიფური, პარიზი, 27×24 სმ.

თეფში პეს დე ლამბალის პორტრეტით, XIX ს-ის ბოლო XX ს-ის დასაწყისი, ფაიფური, პარიზი,

სავარძელი, XIX ს-ის ბოლო, ხე, ძვალი, ინკრუსტაცია, 102×70×55 სმ.

ქირმანშალი, XIX ს-ის ბოლო, შალი, 2×2მ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო სარეკლამო ბუკლეტიდან

ჰეჯვიემი მონაზვნისათვის

"ობოლი ეჩის" ჯიღევ ეჩთი მუსიჯაღუჩი ამბავი - შავი ბოტებისა და ნითელი ვაჩღების თანხლებით



დავით ბუხრიკიძე

შორიდან მოვუაროთ, შინ მშვიდობით რომ მივიდეთ: რობერტ უაიზის ლამის მითოლოგიურ ფილმში „მუსიკის ჰანგები“, ბარონესა შრედერი, რომელსაც სურს მონასტერში აღზრდილი მარია როგორმე გზიდან ჩამოიშოროს, ჯული ენდრიუსის გმირს ასეთ ფრაზას ეუბნება – „ვიმედოვნებ, რომ თქვენგან კარგი მონაზონი დადგება, მარია!“ მაგრამ მარია მონაზონი მაინც არ გახდება, ის მრავალშვილიან ქვრივს, ბარონ ფონ ტრაპს მიჰყვება ცოლად და ფილმიც ბედნიერად მთავრდება. მოკლედ, როგორც ჰოლივუდს ჩვევია, ობლის კვერი ბოლოს მაინც გამოცხვება.

როდესაც თბილისის საკონცერტო დარბაზში რეჟისორ დავით დოიაშვილის დადგმულ დრამატულ კონცერტ-პერფორმანსს, გნებავთ, სოციალურ-მუსიკალურ შოუს სახელწოდებით „INTROსპექცია – ამბავი ჩვენზე“ ვუცქერდი, სწორედ „მუსიკის ჰანგების“ ეს ეპიზოდები მახსენდებოდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ პერფორმანსის მთაავარი პერსონა, მომღერალი ნატო მეტონიძე, ბავშვების აღმზრდელი მარიას მსგავსად, დიდი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ მივიდა სევდანარევ, მაგრამ მაინც დღესასწაულამდე და, მეორეც, ვისაც მუსიკისა და დრამის თეატრის სპექტაკლი „მუსიკის ჰანგები“ (რეჟისორი ასევე დავით დოიაშვილი) უნახავს, უთუოდ გაახსენდება, რომ მარიას როლს სწორედ ნატო მეტონიძე ასრულებდა. მოკლედ რომ ვთქვათ, მარიას მეტაფორა მომღერლისთვის მხოლოდ მეტაფორა არ არის, ის მკაცრი რეალობის ანარეკლიცაა.

ზოგჯერ ფერადი, უფრო ხშირად კი გრაფიკული ინტრიგებით ნაქსოვ სამამულო ესტრადაზე ნატო მეტონიძის სივრცე მაინც შეზღუდულ-შემოფარგლულია. მისი დრამატული, მსუყე, თხრობითი, ობერტონებით მდიდარი და ცოტათი მელანქოლიური ხმა არ ესადაგება ფრივოლურ-ფილარმონიულ ოპტიმიზმს. ალბათ იმიტომ, რომ ბაზარზე კარგად არ „იყიდება“ და მისი რეპერტუარიც რთულად მოსანელებელია. თანაც, აშკარად არ არის მეინსტრიმული და არ ექვემდებარება მოდისა თუ დროის ჭირვეულ ცვალებადობას. ის თითქოს ჩვენი საესტრადო არეალის ცალკე ბინადარია. უცნაურობამდე ეული, მიუჩვეველ-მოუთვინიერებელი, ზედმეტად ჩაღრმავებული, სახიფათოდ დრამატული და ცოტათი მაზოხისტურიც.

დაახლოებით 12 წლის წინ, როდესაც კომპანია „არტ-იმედის“ მხარდაჭერით ოპერისა და ბალეტის თეატრში გია ყანჩელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი დაუვიწყარი საღამო გაიმართა, მაშინ ნატო მეტონიძე ლამის მთავარ პერსონად იქცა (რეჟისორი დავით დოიაშვილი, მუსიკალური პროექტის ავტორი მარინა ბერიძე) და ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამდენი დრო დასჭირდებოდა თბილისის საკონცერტო დარბაზის დასაპყრობად. პირდაპირ რომ ვთქვათ, მომღერლის არამხოლოდ „რთული“ მუსიკალური იმიჯი, არამედ საჯარო-პოლიტიკური შეხედულებები საკმაო მიზეზი იყო, რომ საკონცერტო სივრცე მისთვის იოლად შესაღწევი არ ყოფილიყო.

თბილისის საკონცერტო დარბაზში დანიშნული კონცერტის სახელწოდება – „INTROსპექცია – ამბავი ჩვენზე“ არ გამოირჩეოდა მაინცდამაინც დიდი ოპტიმიზმით. მით უმეტეს, თუ სატელევიზიო-სარეკლამო რგოლს გავითვალისწინებთ, მოცარტის „რეკვიემის“ თანხლებით. 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო

ივნისს მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ კონცერტის თარიღმა დაახლოებით ორი კვირით გადაიწია, ხოლო მისი ტონალობა კიდევ უფრო დრამატული გახდა. სხვათა შორის, ორგანიზატორებმა კონცერტზე უშუალოდ სტიქიით დაზარალებულებიც მიიწვიეს, რითაც საღამო ერთგვარ არტთერაპიულ სეანსად აქციეს.

და მაინც რატომ „INTROსპექცია – ამბავი ჩვენზე“?

„ინტროსპექცია“ წმინდა ფსიქოლოგიურ-სამეცნიერო ტერმინია და პიროვნების საკუთარ ფსიქიკურ მდგომარეობასა და ქმედებებზე დაკვირვებას, ფსიქიკური მოქმედების შესწავლას ნიშნავს. რეჟისორმა ამ ტერმინით ფაქტობრივად განსაზღვრა კიდეც საკონცერტო საღამოს სპეციფიკა და ჟანრი – მომღერალი ნატოს მუსიკალური, პერსონალური, სოციალური და ფსიქოლოგიური ანალიზი. და იმისათვის, რომ ეს არცთუ მარტივი ამოცანა-ჩანაფიქრი პუბლიკისათვის მტანჯველ სანახაობად არ ქცეულიყო, მუსიკისა და დრამის უკვე მოშინაურებული თეატრიდან მსახიობები, ანუ დამხმარე კუდრაჭა-კუდიანები (ეს „მაკბეტით“ ნაკარნახევი ჩემი სუბიექტური ასოციაციაა) სინქრონული გარჯისათვის მოიხმო!

ასე რომ, „ამბავი ჩვენზე“ ეს არის ისტორია შვიდ სხვადასხვა პერსონად განაწილებულ თუ გახლეჩილ არტისტზე, ხელოვანზე, რომლის შინაგან ხმას, ანუ ტექსტებს დრამატული მსახიობები ინაწილებენ. ხოლო თავად ნატო მეტონიძეს ძირითადად სასიმღერო არეალი აქვს დათმობილი. ამ ყველაფერს თან ერთვის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის დიდი ნაწილი, რომელიც უშუალოდ ავანსცენის მარცხნივ და მარჯვნივ არის განლაგებული და რომელსაც დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი შემართებული, გამამხნევებელი ჟესტებით დირიჟორობს.

ნიკოლოზ რაჭველმა სპეციალურად ამ სოლოკონცერტისათვის შექმნა საორკესტრო ვერსიები ქართველ კომპოზიტორთა მუსიკალურ თემებსა და სიმღერებზე.

გარდა ამისა, ნატო მეტონიძისთვის დაწერა ახალი სიმღერა მთების მოტივებზე. და უფრო მეტიც... ერთ-ერთ ეპიზოდში ის მეტონიძესთან ერთად სცენაზე ამღერდა.

ის, რომ კონცერტი-პერფორმანსი თავისი შინაგანი განწყობითა და კონცეფციით მინორული იქნებოდა, უკვე რეკლამიდანაც იგრძნობოდა. მოცარტის „რეკვიემის“ ყველაზე პირქუში და მთავარი ნაწილი – „ლაკრიმოზა“, ერთგვარი კამერტონია, რითაც იწყება და მთავრდება საღამო. რაც მაყურებელში ცოტა არ იყოს დამაბნეველ და დეპრესიულ განწყობას ბადებს. ცნობილი ფრანგი რეჟისორით, ფილიპ ჟანტით ინსპირირებული თუ შთაგონებული დოიაშვილი საკონცერტო დარბაზის მთელ სცენას მუყაოს გიგანტური დეკორაციებით და შავი პეპლებით აგებს, რითაც „რეკვიემის“ დრამატულ ტონალობას ეპასუხება. ისევე როგორც, ანანო მოსიძე, რომელიც 60-იანი წლებითა და ჟივანშის ცნობილი კაბით შთაგონებული შავი ფერის კოსტიუმებს ქმნის.

„INTROსპექციის“ მონაწილეებს წარმოდგენის ბოლომდე ერთნაირი, შავი ფერის კაბები აცვიათ, რაც ყველა დროის თბილისური მოდის ერთდროულად ირონიული და დრამატული გამოძახილია. 50-60-იანი წლების ატმოსფერო გაცოცხლებულია იმდროინდელი ქართული ფილმებით (პირველ რიგში „ჭრიჭინა“ და „აბეზარა“ გაგახსენდებათ), რაც გარდასული სოციალისტური წარსულისადმი დამოკიდებულებას არათუ აგრილებს, არამედ უცნაურად ამძაფრებს კიდეც. სულხან ცინცაძის ცნობილ სიმღერას ფილმიდან „ჭრიჭინა“ („მშვენიერმა მაისმა...“) მეტონიძე ახალი ვერსიით, გაცილებით სწრაფად, ცოცხლად და რიტმულად მღერის, ხოლო მონაწილე მსახიობები (ვუწოდოთ მათ თუნდაც ჟივანში-ქორო) ირონიული რეპლიკებით შემოიფარგლებიან.

„INTROსპექცია“ თორმეტ „კარად“ არის წარმოდგენილი და მასში ჭარბობს ლირიკული თუ ფსიქოლოგიური ტერმინებით გაჯერებული სახელწოდებები: „თბილისი“,

„მზიური“, „პირველი სიყვარული“, „ომი, „აპათია“, „ილუზია“ „ციხე“. „უსათაურო“.... გასაგებია, რომ ეს მარტო ნატო მეტონიძის ცხოვრება მისი აზრები, აღსარება, მისი დრამატული განცდები არ არის. ეს არის მისი თაობის, ანუ „გამოტოვებული თაობის“ დრამაც, რასაც მაყურებელი თითქმის ორი საათის განმავლობაში გრძნობს და ალბათ განიცდის კიდეც. თუმცა თავიდანვე არჩეული „რეკვიემული“ (დო მინორული) ტონალობა უფრო აღვივებს დეპრესიულ განწყობას.

სცენასა და პარტერს შორის სივრცე რეჟისორმა ახლებური შინაარსით შეავსო. ეს თითქოს დროის ორმოა, უფრო ზუსტად – „დროის მდინარე“, რომელსაც წარმოდგენის განმავლობაში ხან ძვირფასი და ხანაც უსარგებლო ნივთებით ავსებენ უბავშვოდ დარჩენილი თოჯინებით, პიონერების ყელსახვევებით, გატეხილი სკამებით, დოლებით, შავი ბოტებითა და ოდესღაც საამაყო რევოლუციის სიმბოლოთი – წითელი ვარდებით! ჰო, ალბათ ეს არის „ობოლი ერის“ (როგორც ერთი მწერალი იტყოდა ქართველებზე) ერთ-ერთი მთავარი მეტაფორა დოიაშვილის კონცერტ-პერფორმანსში: შავ ბოტებში ჩალაგებული წითელი ვარდები. თუმცა ორივე დროის მდინარემ თუ პოლიტიკურმა წყალდიდობებმა შეიწირა.

„დროის მდინარეს“ ხან ბობოქარი, ხან პროზაული და ხან დამცინავი პოლიტიკური მოვლენებით ვავსებთ, რომელიც ჩვენი ისტორიაა და მას ვერსად გავექცევით. ისვე როგორც ნოსტალგიას 60-იანი წლების თბილისზე, რომელიც გაცოცხლებულია ფოტოებზე ასახული არქიტექტურით. იმდროინდელი ატმოსფეროს ბოლომდე შეხსენება-შეგრძნებისათვის სცენაზე პატარა „მოსკვიჩიც“ შემოისეირნებს.

ალბათ პარადოქსია, რომ დავით დოიაშვილის პერფორმანსის ყველაზე სახასიათო, სახალისო თუ მხიარული სცენები სწორედ საბჭოთა პერიოდს ემთხვევა, რაც შემთხვევითი სულაც არ არის და მომღერლის ბიოგრაფიით არის ნაკარნახევი. ნატო მეტონიძის ბავშვობა ხომ სწორედ „მზიურისა“ და ანსამბლ „75“-ის უზომო პოპულარობას ემთხვევა.

მაყურებელთა ნაწილისათვის არაერთმნიშვნელოვნად და ზედმეტად სერიოზულად აღიქმება საბჭოთა ეპოქის სიმბოლოები: დაფდაფები, პიონერთა ყელსახვევები და ალისფერი დროშის ფრიალი, თუმცა სრულიად გასაგებია რეჟისორული ირონიის ის დოზაც, რომელიც ამ სცენას თან ახლავს.

საღამოს მინორულ ტონალობას ბუნებრივად ერწყმის გია ყანჩელის შედევრი „სევდა“, რომელიც, ჩემი აზრით, არა მხოლოდ ამ კონკრეტული პერფორმანსის საუკეთესო ნომერია, არამედ ნატო მეტონიძის რეპერტუარის საუკეთესო სიმღერაც. ისევე როგორც გემოვნებითა და შინაგანი დრამატიზმით გამოირჩევა იოსებ ბარდანაშვილის შესანიშნავი სიმღერა „რამ შემქმნა ადამიანად?“ და ბიძინა კვერნაძის ერთ დროს საკულტო სიმღერა „თოვს“, რომელმაც პუბლიკას ფილმი „თეთრი ბაირაღები“ გაახსენა და დიდი სიამოვნება მოჰგვარა.

ვერ გეტყვით რამდენად საინტერესო და გამართლებული იყო შორეული გადაძახილი ინოლა გურგულიას ცნობილ ქალაქურ რომანსთან და გაცილებით ახლობელ – მანანა მენაბდესთან, რომლის „სტვენს ბულბული“ ფაქტობრივად ფინალური ნომერი იყო. თუმცა ამ ცნობილი სიმღერის მოცარტის „ლაკრიმოზასთან“ გადასვლა-გარითმვა ხელოვნური მეჩვენება. გასაგებია, რომ თბილისის წყალდიდობამ თავისი გავლენა ნატო მეტონიძის საღამოზეც მოახდინა და ამიტომ ფინალური კარი სახელწოდებით „სტიქია“ რეჟისორმა „ლაკრიმოზათი“ დაასრულა სოლისტის, შერეული გუნდისა და ორკესტრის თანხლებით.

ერთი ძალიან კარგი ან თუნდაც ჩვეულებრივი შემოქმედის ბიოგრაფია ზოგჯერ მთელი ქვეყნის სოციალურ და ფსიქოლოგიურ ბიოგრაფიას ირეკლავს და ესაა „INTROსპექციის“ მთავარი არსიც. ნატო მეტონიძე, რომელიც კონცეპტუალურად ქართული ესტრადის აქტიური მონაზონი უფროა, ვიდრე მისი მრევლის პასიური წევრი, ამ პერფორმანსით ამტკიცებს, რომ შესაძლოა ბევრი რამ დაკარგო, მაგრამ ყველაფერი აინაზღაურო, ჩარაზული ციხის კედლები გაარღვიო, დიდ ხანს ჩუმად იყო, მაგრამ მაინც ბევრი თქვა, რეკვიემი ისმინო და მხოლოდ სიცოცხლეზე იმღერო... მარიაც ხომ სწორედ ასეთია „მუსიკის ჰანგებში“.



დუნგა, დუნგა, დუნგა

აბა, ისევ ბრაზილიის ნაკრების გამოა ლაპარაკები. აღარ ვარგა ბრაზილიაო, ხომ ხედავთ, რაც ემართებაო. მსოფლიო ჩემპიონატზე ხომ ისტორიული ერთით-შვიდი წააგო და ამის შემდეგ პირველივე დიდ ტურნირზე ისეთი უვარგისობა გამოამჟღავნა, რომ იმისი კვლავაც ერთადერთი რამ დაგვამახსოვრდა – ის, რომ ერთადერთ ფეხბურთელს, ნეიმარს და იმასაც მხოლოდ ხანდახან, შეუძლია გადაარჩინოს მსოფლიოს უდიადესი საფეხბურთო ისტორიის და უმდიდრესი საფეხბურთო წარსულის მქონე გუნდიო.

მოკლედ, ახალი მწვრთნელის, დუნგას ხელქვეით ბრაზილიის ნაკრებმა უვარგისად ჩაამთავრა კოპა ამერიკა. პენალტებში წააგო მეოთხედფინალი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ პარაგვაისთან, მანამდე დამარცხდა კოლუმბიასთან, მანამდე კი ვითომ რაღაცები მოიგო. ეს კიდევ უფრო უარესი გუნდი იყო, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატზე. საერთოდ, დუნგა უარესი მწვრთნელია, ვიდრე სკოლარი, ბრაზილიის ფეხბურთის მესვეურებს კი ჩვევად აქვთ ნაკრების ყოფილი მწვრთნელების ხელახლა მოწვევა.

ეს ძველი, ერთგვარად ამოუხსნელი ტრადიციაა, რომელიც დიდად გამარჯვებული ხშირად ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ასე ხდება და მორჩა.

როგორც ჩანს, იქ საკმაოდ ძნელია ხოლმე რაიმე ახლის მოძებნა. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კი ნაკრების სათავეში დუნგას მობრუნება თითქოს იმას ნიშნავს, რომ ბრაზილია უარს ამბობს ყოველგვარ სიახლეზე, ყოველგვარ ზედმეტ რისკზე და სურს ნაცადი, მცირედსახიფათო გზით იაროს. ამ გზას ბევრი აღარავინ აღიარებს მსოფლიოში, მაგრამ ბრაზილიაში ის სრულიადაც არ ითვლება უარყოფილად.

ამ გზის გამოხატულებაა სწორედ დუნგა-მწვრთნელის ფეხბურთი, რომელმაც, მაგალითად, პარაგვაისთან ოთხი ცენტრალური მცველი გამოიყვანა.

ისევ და ისევ ასეა, რომ ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა თავიანთი განსაკუთრებული მონაცემები იმდენად უნდა გამოიყენონ, რამ-

გიო ახვლედიანი

ი 53/67

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ და ისევ ასეა, რომ ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა თავიანთი განსაკუთრებული მონაცემები იმდენად უნდა გამოიყენონ, რამდენადაც ეს მათ ჯავშგურსა და სირბილში არ შეუშლის ხელს. განა ცუდია, როცა ამდენი ჯარისკაცი გყავს? უბრალოდ, როგორღაც ისე გამოდის, რომ ჯარისკაცებს ყვითელი მაისურები არ უხდებათ.

დენადაც ეს მათ ჯავშგურსა და სირბილში არ შეუშლის ხელს. განა ცუდია, როცა ამდენი ჯარისკაცი გყავს? უბრალოდ, როგორღაც ისე გამოდის, რომ ჯარისკაცებს ყვითელი მაისურები არ უხდებათ. ყოფილა რომ მოხდენიათ. ასე, მსოფლიო ჩემპიონებიც გამხდარან ამ ოცი წლის წინათ და მერეც ყოფილა. მაგრამ ახლა აღარ გამოდის.

ისე ჩანს, რომ საერთოდ აღარაფერი გამოდის.

დუნგა იმ მწვრთნელთა რიგშია, რომლებიც ისეთივე მწვრთნელები არიან, როგორებიც ფეხბურთელები იყვნენ და საერთოდ, ეს ტრადიციაც საკმაოდ ძველია, სამოცდაათიანი წლებიდან იღებს სათავეს და საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია.

1969 წელს ბრაზილიაში სამხედრო გადატრიალება მოხდა და გენერლებმა ქვეყანაში მრავალი რამის შეცვლა დაიწყეს. მათ შორის ერთ-ერთი ის იყო, რომ ხუნტა თანამდებობებზე ტექნოკრატებს ნიშნავდა. აი, ჩვენთან რომ იტყვიან, ყველგან არაპროფესიონალები არიანო, ისინი პროფესიონალებს ნიშნავდნენ. კაცმა თავისი ხელობა იცის, პოლიტიკაზე დუმს და ზედმეტი შეხედულებების და ლაყბობის გარეშე გაუძღვება დარგსო.

მაშინ დამკვიდრდა ერთგვარი ხისტი, მეცნიერულისავით სტილი, რომ ყველა საქმეს სჭირდება მხოლოდ მეცნიერული მომზადება, ციფრები, ანალიზი, მოქმედება და სხვა არაფერი, არც ერთი წვეთი პოეზიისა. შემოქმედება დაბლა, დათვლა მაღლა.

ეს ამბავი ფეხბურთსაც გვარიანად გადაედო და მგონი სამუდამოდაც.

ჟოაო სალდანიას მომზადებული 1970 წლის ჩემპიონი ნაკრები მსოფლიოს საოცარ გუნდთაგან კვლავაც რჩება ერთ-ერთ პირველად, თუმცა ის გუნდი მექსიკის მინდვრებზე მარიო ზაგალომ გაიყვანა. იმის მერე ბევრ გულშემატკივარს ახსოვს 1974 წლის ზაგალოსავე ნაკრები, რომელშიც წიხლი და რბენა მეტი იყო, ვიდრე თუნდაც მკრთალი ანარეკლი ოთხი წლის წინანდელი გუნდისა. ამ ნაკრებს ფიზმომზადების მწვრთნელად ჰყავდა კაპიტანი კალუდიო კუტინიო, რომელიც ზაგალოს შემდეგ მთავარ მწვრთნელად გამოცხადდა და 1978 წელს ტექნოკრატიული ნაკრები ჩაიყვანა მსოფლიო ჩემპიონატზე.

მისი ფეხბურთელები „ხმელ ფოთლებს“ კი გენეტიკურად ზღაპრულად ურტყამდნენ, მაგრამ სიტყვა გაიხსენის ნაცვლად მწვრთნელი მათ ეუბნებოდა, მომავლის წერტილი დააფიქსირეო და გუნდი მთლად ყოჩაღად ვერ იგებდა, რაზე ელაპარაკებოდა ინტელექტუალი ოფიცერი, რომელიც მოვლენათა პოლივალენტობას ახსენებდა ხოლმე.

ამ დროიდან მოყოლებული, ერთი დიდი და განუმეორებელი გამონათების გარდა, ბრაზილიის ნაკრებს სულ ჯავშგურისტი და დაცვის და ომის მრწმენი ძიაკაცები წვრთნიდნენ. ტელე სანტანა და მისი გუნდი იყო ერთადერთი გამონაკლისი და ბოლო ნამდვილი, საუკეთესო და ძვირფასი ბრაზილია.

შუალედებში ნაირგვარი ხალხი ინიშნებოდა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატებზე ნდობა ჰქონდათ ისევ ზაგალოს, პარეირას, სკოლარის.

ახლაც ასეა, ისევ დუნგა.

ამ მძიმეხელიანი მწვრთნელების ხელში, ბრაზილიამ ორჯერ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონობა და ბევრად მეტჯერ გადამწყვეტ ბრძოლებში წააგო, თუმცა რომარიოს, რონალდოს, რონალდინიოს გენია საქმეს ძალიან შველოდა.

ახლა ესენი აღარ არიან. დღეს მოქმედთა შორის ნაკრებში ყველაზე მეტი, 99 თამაში რობინიოს ჩაუტარებია, რომლის კვალიც ეროვნულ გუნდში, ამ შთამბეჭდავი ციფრის მიუხედავად, უკიდურესად მიახლოებითია და საერთოდ, მას შესამჩნევი ფეხბურთის „სანტოსიდან“ ევროპაში პირველი გადმობარგების შემდეგ სულ ნაკლებად და ნაკლებად უთამაშია. ერთიც არის, რომ დღევანდელი ნაკრების ძირითადი შემადგენლობის არცერთ ფეხბურთელს არ უთამაშია ბრაზილიურ საკლუბო ფეხბურთში ორმოცდაათ მატჩზე მეტი. ანუ ადრიდანვე მიჰყავთ და ისინი საბოლოო ჯამში ევროპულ გუნდებში იზრდებიან.

ჰო, ახლა აღარ არიან ზიკო, სოკრატესი, ტონინიო, სერზეო, ფალკაო და ჟუნიორი, მაგრამ ვინც არიან, იმათგანაც სამწვრთნელო მოთხოვნა სხვაა. ლათინური ფეხბურთი ჩილედან დაწყებული და კატალონიამდე, დიდი სიახლეების და ტიკი-ტაკების შემოქმედი შეიქნა, თუმცა ბრაზილიასთან ამას არ ჩაუვლია.

ეგებ ეს არც იყოს გასაკვირი. ბრაზილია ბრაზილიაა და თავისი აქვს, მაგრამ აგერ ბურთი, აგერ მოედანი, აგერ ყვითელი მისური, აგერაც პელე, გარინჩა და ფეხბურთი.

სამწუხაროდ, ის რასაც ბრაზილია თამაშობს, ვეღარ იგებს. ეს რაღაცნაირი ნაწვალები ფეხბურთია. თორემ ბრაზილია ბრაზილიაა. გამოვა უცებ ვინმე ჟოსიმარი, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც განთქმული დაიმტვრა, დააჯახებს სასწაულ გოლს და წავა თავის გზაზე.

სადაა, თორე, სიხარულით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

CELEBRATING

130 years

CONGRATULATIONS

Years

ANNIVERSARY

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ ვაკეთებთ
ორგანიზაციულ სტრუქტურებს, სადაც
ინიციატივები თანამშრომლებისგან მოდის

15 წლის განმავლობაში

ორგანიზაციული განვითარების 300-მდე პროექტი

100-ზე მეტ წარმატებულ ორგანიზაციასთან საქართველოში

www.synergy.